ამჯერად რატომ დაუპირისპირდა შევარდნაძე აბაშიძეს A8

სტილი B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 21 ოქტომბერი, 2002 წელი. №141

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### რას მოიტანს მაკონტროლებელი სამსახურების რაოდენობის შემცირება?

სახელმწიფო მაკონტროლებელი სამსახურების ნუსხა უახლოეს მომავალში, შესაძლოა, შეიკვეცოს. ზოგიერთი მათგანის გაუქმებას საქართველოს პრეზიდენტის ანტიკორუფციული საბჭო ითხოვს. იუსტიციის სამინისტროში მომზადებული კანონპროექტი მთავრობას ერთ კვირაში წარედგინება.

A4

## უცხოეთი

### გასული კვირა მსოფლიო პოლიტიკაში

21-ე საუკუნის მსოფლიოს ორი დიდი საფრთხე – ტერორიზმი და მასობრივი განადგურების (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური) იარაღი ემუქრება, – ამტკიცებდნენ მეცნიერები და ექსპერტები, – და ერთი ძალიან დიდი – მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტის ხელში.

A5

## საზოგადოება

### წვრილმანი მსხვილმანები

ჩვენი პრეზიდენტის ბოლო საპარლამენტო გამოსვლის შემდეგ, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ადგილობრივ პოლიტიკოსთა ქილიკის საგნად, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას რამე შეაკრთობდა.

A6

## სამართალი

### მოტაცებულ ავტომობილს ცხინვალისკენ პოლიციელი მიაცილებდა

*ყაჩაღობის კვალმა გამოძიება პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულამდე მიიყვანა. ამჟამად კი იმის დადგენას ცდილობენ, უშუალოდ მონაწილეობდა აწ უკვე ყოფილი სამართალდამცველი ყაჩაღობაში თუ, როგორც თავად ამტკიცებს, მართლაც შემთხვევით მოხდა გაუგებრობაში.*

A7

## თვალსაზრისი

### ოპოზიციონერობა ბათუმურად და ... რეალურად

ბათუმური ალიანსი გულმოდგინედ ცდილობს ოპოზიციის ბანაკში მონოპოლისტური მდგომარეობის მოპოვებას. იგი დაჟინებით ირწმუნება, რომ მხოლოდ ის წარმოადგენს დღევანდელი ხელისუფლების ღირსეულ ოპონენტს და ყველა სხვა დანარჩენი ძალა მხოლოდ ფსევდოოპოზიციაა.

A8

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | |
| ქუთაისი | 18 | |
| ბათუმი | 17 | |
| სოხუმი | 16 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 18 | |
| ზუგდიდი | 18 | |
| გორი | 14 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1751 |
| ევრო | 2.1105 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3584 |
| რუბლი | 0.0687 |

# შევარდნაძე დღეს სხვა რეალობაში ცხოვრობს და ოპოზიციას თვითონ ინიშნავს

## ხელისუფლება დაადგა იმ გზას, როცა პროცესები, შესაძლოა, უმართავი გახდეს



ირინა სარიშვილი-ჭანტურია



ზურაბ ჟვანია



მიხეილ სააკაშვილი



დავით გამყრელიძე



ალექსანდრე შალამბერიძე

*ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთთან დიალოგის დაწყების მცდელობა ჯერ კიდევ ზაფხულში ჰქონდათ. თუმცა, პირველი სერიოზული ნაბიჯი პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს გადაიდგა, როცა ოპოზიციის ნაწილმა დემონსტრაციულად დატოვა დარბაზი და პრეზიდენტის პოლიტიკის მიმართ ერთიანი პოზიცია გამოხატა. რამდენად გრძელვადიანია ეს თანამშრომლობა, რა არის მათი მთავარი მიზანი და რას უპირისპირებენ ისინი ხელისუფლების პოლიტიკას - ამ კითხვებზე პასუხები "24 საათის" სადისკუსიო კლუბში დავით გამყრელიძემ ("ახლები"), მიხეილ სააკაშვილმა ("ნაციონალები"), ზურაბ ჟვანიამ ("დემოკრატები"), ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ (ედპ) და ალექსანდრე შალამბერიძემ ("ტრადიციონალისტები") გასცეს.*

ეკა ქვესიტაძე

**- რა გახლავთ თქვენი გაერთიანების მთავარი მიზანი და არის თუ არა ეს მიზანი ისე მნიშვნელოვანი თქვენთვის, რომ მან ყველა ის უთანხმოება გადასძალოს, რომელიც თქვენს პარტიებს შორის არსებობს?**

**ზურაბ ჟვანია:** მე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ დღეს ჩვენ არ ვლაპარაკობთ გაერთიანებაზე. ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ ეს არის მხოლოდ პარტიათა დიალოგი და დღეს ამ დიალოგის არც ერთი მონაწილე პარტია არ ფიქრობს, რომ საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი სიით გავიდეთ ან საერთო საარჩევნო პლატფორმა ჩამოვაყალიბოთ. მაგრამ ჩვენ ერთნაირად გვაწუხებს ის პრობლემები, რასაც ამ ქვეყანაში თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება ჰქვია. ყველას გვაწუხებს ის, რომ ხელისუფლება ყველა საშუალებების უზურპაციას ახდენს და ძალადობა პოლიტიკური დისპუტების მოგვარების ერთადერთი საშუალება ხდება.

ჩვენ ვიწყებთ თანამშრომლობას, რათა ამ ტენდენციას წინ აღვუდგეთ. ალბათ, მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ერთმანეთის კონკურენტები ვიქნებით, მაგრამ გვინდა, ერთმანეთს კონკურენცია თავისუფალი არჩევნების პირობებში გავუწიოთ. ამდენად ამ საკითხებში ჩვენს შორის უთანხმოება არ არსებობს. ხოლო იმ საკითხებმა, რომლებზეც აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს, ამ ეტაპზე მეორე პლანზე გადაიწია.

**დავით გამყრელიძე:** ჩვენი თანამშრომლობა მაშინ გამოიკვეთა, როცა საჭირო გახდა პოზიციების დაფიქსირება ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორებიცაა რუსეთთან ურთიერთობა, ნატო-ში გაწევრიანება, ადამიანის უფლებებისა და პრესის თავისუფლების დაცვა. ამ საკითხებზე ჩვენი მოსაზრებები, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, დაემთხვა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს ის ფუნდამენტური ფასეულობები, რომელიც ერთნაირად ძვირფასია ჩვენთვის.

ბუნებრივია, ჩვენს პარტიებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ამიტომ ვართ დღეს ცალ-ცალკე, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ არ ვითანამშრომლოთ იმ ძირითადი პრობლემის გარშემო, რასაც შევარდნაძის პოლიტიკა ჰქვია.

შევარდნაძის გამოსვლა პარლამენტში თითოეული ჩვენგანისათვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა. ამ გამოსვლამდე მეტ-ნაკლები მოლოდინი მაინც არსებობდა, რომ პრეზიდენტი რაღაც ნაბიჯს გადადგამდა და იტყოდა, რომ ის დღეიდან ახალი პოლიტიკის გატარებას იწყებს.

სამწუხაროდ, იმედები ყველას გაგვიცრუვდა, შევარდნაძემ მოსახლეობას და პოლიტიკურ ძალებს უარი უთხრა იმ პრობლემების შესახებ საუბარზე, რომელიც დღეს ყველაზე მწვავედ დგას ქართული საზოგადოებისათვის.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ხარაგაული საკრებულოს გარეშე დარჩა

*ადგილობრივი არჩევნები და, მთლიანად, თვითმმართველობის ინსტიტუტი პარტიების დაპირისპირებას ეწირება. თბილისის საკრებულოს საკითხმა თითქოს გადაფარა რაიონებში ამ მხრივ შექმნილი ურთულესი ფონი. არადა, პერიფერიებში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები აშკარად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ, პარტიული თამაშების გამო, ქვეყანაში სრულყოფილი თვითმმართველობის შემოღებას სერიოზული საფრთხე ემუქრება.*

თამარ მჭედლიშვილი

### კანონის სახელით

გუშინ დაბა ხარაგაული თვითმმართველობის გარეშე დარჩა. ცესკოს მიერ დანიშნული განმეორებითი არჩევნები არ შედგა, რადგან კენჭისყრამდე სამი დღით ადრე უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა სოციალისტური პარტიის სარჩელი და გააუქმა ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება "ხარაგაულის საარჩევნო ოლქში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს – საკრებულოს ხელახალი არჩევნების ახალი ვადის განსაზღვრის თაობაზე". ეს კი ნიშნავს, რომ დაბა ხარაგაულს საკრებულო არ ეყოლება და მის გამგებელს პრეზიდენტი დანიშნავს.

ბუნებრივია, უზენაესი სასამართლოს ვერდიქტი შესაბამის კანონს ეფუძნება. თუმცა, ისიც ცხადია, რომ საკანონმდებლო ლაბირინთებში გარკვევა საკმაოდ რთულია, მით უფრო, ამ შემთხვევაში, როცა კონკრეტული კანონი პარტიებსა და საარჩევნო ადმინისტრაციებს ლავირებისთვის შესანიშნავ საშუალებას აძლევს. ასე მაგალითად, "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენელი ნუგზარ კუპრეიშვილი ამბობს, რომ საარჩევნო კანონმდებლობაში აღრეულია ისეთი ცნებები, როგორებიცაა ხელახალი კენჭისყრა და განმეორებითი არჩევნები.

გაგრძელება A2 გვერდზე

# პარლამენტი მთავრობის დასასჯელად ემზადება

## დეპუტატები საბიუჯეტო კრიზისმა შეაშფოთა

სოფო ქვინტრაძე

ეს კვირა საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის საკმაოდ დაძაბული და მნიშვნელოვანი იქნება - პარლამენტში სახელმწიფო მინისტრს ავთანდილ ჯორბენაძეს და ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ელიან. პარლამენტარების წინასწარი განწყობა ცალსახად კრიტიკული და უკომპრომისოა. როგორც ცნობილია, ბიუჯეტის გარღვევა საშემოსავლო ნაწილში 82 მილიონ ლარს აღწევს, ხოლო ხარჯვითში - 110 მილიონ ლარს. ამ დღეებში მთავრობა ეროვნული ბანკიდან 42 მილიონი ლარის გადმორიცხვას ელოდება, რაც მსოფლიო ბანკის ტრანშის ნაწილია, თუმცა, ცხადია, ამ თანხით არსებული საბიუჯეტო კრიზისის დაძლევა ვერ მოხერხდება.

გაგრძელება A4 გვერდზე

# თბილისი უკვე ხუთვარსკვლავიანი ქალაქია

## ანსამბლი "ივერია" 35 წლის იუბილეს ზეიმობს



ლევან ხერხეულიძის ფოტო

თამარ მურვანიძე

გუშინდელი თარიღი – 2002 წლის 20 ოქტომბერი ფილარმონიის წინ გახსნილ ვარსკვლავზე დაფიქსირდა და ასე შევიდა ისტორიაში. ამ დღეს თბილისში უკვე მეხუთე ვარსკვლავი გაიხსნა. ვარსკვლავთა ქრონოლოგია ასეთია:

I ვარსკვლავი - ნინო რამიშვილი - 2000 წლის 19 ოქტომბერი;

II ვარსკვლავი – ნანი ბრეგვაძე – 2000 წლის 29 ოქტომბერი;

III ვარსკვლავი - ლიანა ისაკაძე – 2001 წლის 29 დეკემბერი;

IV ვარსკვლავი – "ორერა" – 2001 წლის 26 მაისი;

V ვარსკვლავი - "ივერია" – 2002 წლის 20 ოქტომბერი.

გაგრძელება B2 გვერდზე

# გენერალური პროკურატურა „კულინარიელების" საქმის ხელახალ გამოძიებას იწყებს

## დაჯგუფების ლიდერს ცნობილი ექიმის - ნოდარ ბოხუას მკვლელობაში ადანაშაულებენ

ინგა ალავიძე

*წლების მანძილზე ერთ-ერთ ყველაზე გახმაურებულ საქმედ მიჩნეულ "კულინარიელების" საქმის გამოძიებას გენერალური პროკურატურა კიდევ ერთხელ მიუბრუნდება.*

*გუშინწინ სამართალდამცველებმა საკუთარი სახლის სადარბაზოში დააკავეს "კულინარიელთა" სახელით ცნობილი დაჯგუფების ლიდერი დათო ძებნიაური. კანონდამცველები ძებნიაურს, რომელიც თბილისში, საკუთარ სახლში, უკვე 5 წელია, მშვიდად ცხოვრობს, 1995 წლის 24 მარტის, ანუ მას შემდეგ "ეძებენ", რაც რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ მომხდარი თავდასხმისას შემთხვევითმა ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა მსოფლიოში სახელგანთქმული დასტაქარი ნოდარ ბოხუა. კანონდამცველთა ბრალდებით, დათო ძებნიაური "მხედრიონელი" იუზა თოფურიას მკვლელობაშიცაა დადანაშაულებული. არადა, "კულინარიელთა" საქმის გამოძიება გენერალურმა პროკურატურამ 4 წლის წინ დაასრულა. შესაბამისად, სასჯელები ჩამოურიგა ნოდარ ბოხუას მკვლელობაში ბრალდებულ "კულინარიელებსაც".*

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 სტილი B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# ხარაგაული საკრებულოს გარეშე დარჩა

## მადლობა უზენაეს სასამართლოს!

პირველი გვერდიდან

**"თუ მოინდომებ, არჩევნებს ჩაშლილად გამოაცხადებ, თუ მოინდომებ – არჩატარებულად,"** – აცხადებს იგი.

ხარაგაულში ხელახალი არჩევნების მოწინააღმდეგენი და სასარჩელო განცხადების ავტორები, ქართველი სოციალისტები ამტკიცებენ, **"რომ დაბა ხარაგაულში ცესკოს არჩევნები აღარ უნდა დაენიშნა, რადგან იქ წინა ორი კენჭისყრა ჩაიშალა".** პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი მინდელი ამბობს: **"კანონის თანახმად, ხარაგაულში პირდაპირი მმართველობა უნდა განხორციელდეს".**

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ხარაგაულში "უკანონოდ დანიშნული განმეორებითი არჩევნების" თაობაზე პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიაც საუბრობს. ვახტანგ ხმალაძის მიერ გაკეთებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ **"გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან, განმეორებითი კენჭისყრის ბათილად ცნობის შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს ხელახალი არჩევნების გამართვას... ასეთ შემთხვევაში უნდა ამოქმედებულიყო "ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 44-ე მუხლი, რომლის თანახმად პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება, თუ კანონით დადგენილი წესით ვერ აირჩიეს საკრებულო. ცესკოს უნდა ეცნობებინა საქართველოს პრეზიდენტისათვის, რომ საკრებულო ვერ აირჩიეს, ხელახალი არჩევნების გამართვას საარჩევნო კოდექსი არ ითვალისწინებს და ამიტომ უნდა განხორციელდეს პირდაპირი სახელმწიფო მმართველობა. ხელახალი არჩევნების დანიშვნის უკანონობის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ცესკოს თავმჯდომარეს, საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულს შაშიაშვილსა და საარჩევნო დარღვევების მიზეზების შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს კოლექტიური განცხადებით მიმართეს საოლქო საარჩევნო კომისიის ექვსმა წევრმა, პარტიების რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეებმა და რაიონის ასოცირებული საკრებულოს ათმა წევრმა. ამ მიმართვას შედეგი არ მოჰყოლია..."**

თავის მხრივ, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამტკიცებენ, რომ არჩევნების დანიშვნით მათ კანონი არ დაურღვევიათ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გია ზესაშვილი ამ "გაუგებრობას" შესაბამისი კანონმდებლობის ხარვეზით ხსნის, სადაც ნათლად არ არის განსაზღვრული, რას ნიშნავს ხელახალი თუ განმეორებით არჩევნები და რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს არჩევნები ჩაშლილად. იგი ასევე ამბობს, რომ **"ასეთი საკანონმდებლო კოლიზიის პირობებში, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნების დანიშვნისას საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნით იხელმძღვანელა, რომელიც მოსახლეობის არჩევანის უფლების უზენაესობას ქადაგებს".**

### დიდების თამაშები

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წესით, ამის შემდეგ პრეზიდენტმა დაბა ხარაგაულში პირდაპირი მმართველობა უნდა შემოიღოს, ანუ გამგებელი თავის შეხედულებისამებრ დანიშნოს (საკრებულოს არჩევის შემთხვევაში კი, მას დაბის პატრონის შერჩევა ამ ორგანოს შემადგენლობიდან მოუწევდა). საგულისხმოა, რომ უზენაესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება რაიონის გამგებლის დანიშვნაზეც მოახდენს გავლენას.

საქმე ის არის, რომ რაიონში 20 საარჩევნო უბანია. დაბა ხარაგაული, ანუ რაიონული ცენტრი ერთ-ერთი მათგანია. კანონის თანახმად, პრეზიდენტი ნებისმიერი რაიონის გამგებელს რაიონული, ანუ მეორე დონის საკრებულოს შემადგენლობიდან ნიშნავს. რაიონული საკრებულო კი პირველი დონის (სოფელი, თემი, დაბა, ქალაქი, რომელიც შედის რაიონულ დაქვემდებარებაში) საკრებულოს თავმჯდომარეებისაგან შედგება. იმის გამო, რომ დაბა ხარაგაულის მოსახლეობამ საკრებულო ვერ აირჩია, პრეზიდენტი გამგებელს რაიონული საკრებულოს დანარჩენი 19 წევრისაგან შეარჩევს.

თუმცა, არ არის გამორიცხული, მოვლენები სრულიად სხვა სცენარით განვითარდეს და არჩევნები დაბაში მაინც შედგეს. მით უფრო, თუკი ეს პროცესები დიდი პოლიტიკური თამაშების განუყრელი ნაწილია.

**"სასამართლოს გადაწყვეტილება იყო თავიდან ბოლომდე პოლიტიკური შეკვეთა. იგი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მიღებული გადაწყვეტილების შედეგია და ურცხვი და თავხედურია თავისი ფორმითაც და შინაარსითაც. სასამართლომ ხალხს არჩევანის კონსტიტუციური უფლება წაართვა",** - აცხადებს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ჭიპაშვილი, რომელიც, ამავდროულად, "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი აქტივისტია. იგი ამბობს, რომ დაბაში პრეზიდენტის მმართველობის შემოღება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ხელახალი არჩევნები არ ჩატარდებოდა. **"ხარაგაულში ხელახალი არჩევნები არ ყოფილა და ჩაიშალა განმეორებითი არჩევნები. განმეორებითი არჩევნები სხვაა, ხელახალი – სხვა,"** - ამტკიცებს ჭიპაშვილი. იგი სოციალისტებისა და ხელისუფლების ფარულ ალიანსზე საუბრობს და აცხადებს, რომ დაბაში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში გაიმარჯვებდა ის კანდიდატი, რომელსაც მოსახლეობა უჭერს მხარს და რომელსაც რაიონის გამგებლობის რეალური შანსი ექნებოდა, განსხვავებით სოციალისტების კანდიდატისაგან. ჭიპაშვილი ამბობს, რომ სოციალისტების მიმართ ხელისუფლების ასეთი ღია მხარდაჭერა **"ჯილდოა იმ პროშევარდნაძისტული პოლიტიკისათვის, რომელსაც პარტია მიზანმიმართულად ატარებს".**

თავის მხრივ, სოციალისტები მადლობას უხდიან უზენაეს სასამართლოს, რომელიც თავისუფალია პოლიტიკისაგან და რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებს.

ამასთან, პარტიის წარმომადგენლები ახალ ფარულ ალიანსზე საუბრობენ. ირაკლი მინდელი აცხადებს, რომ **"ერთმანეთს შეეკვრნენ თემურ შაშიაშვილი, "ნაციონალური მოძრაობა" და "ახალი მემარჯვენეები" და მათ საკუთარი კანდიდატის გაყვანა სურთ"** (ეს კანდიდატი რაიონის ყოფილი გამგებელი დავით სახვაძეა). ირაკლი მინდელს უკვირს ამ ახალი ალიანსის შექმნა, რადგან ვერ ხსნის, **"თუ რა საერთო შეიძლება ჰქონდეთ მის სუბიექტებს. განსაკუთრებით, თემურ შაშიაშვილსა და მიხეილ სააკაშვილს."** თავის მხრივ, ამ ბრალდებას "აბსურდულს" უწოდებენ "ნაციონალები" და ასე დაუსრულებლად...

### პროტესტი

გუშინ დილიდან ხარაგაულის რაიონის გამგეობის წინ 2000-მდე ადამიანი შეიკრიბა. ისინი თბილისიდან მათ მიერვე მოწვეულ სტუმრებს ელოდნენ. მოსახლეობასთან მხოლოდ სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, პრეზიდენტის რწმუნებული იმერეთის მხარეში თემურ შაშიაშვილი და რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი ლადო ჭიპაშვილი ჩავიდნენ. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ჯუმბერ ლომინაძის ჩაუსვლელობის გამო ხარაგაულელები ცენტრალური რკინიგზის მაგისტრალის გადაკეტვასაც კი აპირებდნენ.

სახალხო დამცველი მოსახლეობას დაჰპირდა, რომ **"აუცილებლად დაიწყებს ხარაგაულის არჩევნების საკითხის შესწავლას."** საგულისხმოა ისიც, რომ ამომრჩეველთა ნაწილი ხარაგაულში განმეორებითი არჩევნების ჩაშლას სოციალისტებს აბრალებს და არჩევნების გამართვას ითხოვს...

## მოკლედ

**ქუთაისი.** ჭიათურის მაღალი ძაბვის ქვესადგურის მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც ხელფასების მოთხოვნით გუშინ მორიგი საპროტესტო აქცია გამართეს, შესაძლოა, სასამართლოში მოუწიოთ ახსნა-განმარტების მიცემა.

გაფიცვის მიმდინარეობისას ჭიათურაში უმძიმესი ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, მსუბუქი ავტომობილი "კრაზის" ტიპის მანქანას შეეჯახა. 4 ახალგაზრდა, მათ შორის ერთი-უგონო მდგომარეობაში, გაფიცვის გამო უშუქოდ დარჩენილ ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს. საპროტესტო აქციის მონაწილეებს საავადმყოფოს მედ. პერსონალმა და დაზარალებულების ახლობლებმა ელექტროენერგიის მიწოდების აღდგენა სთხოვეს, თუმცა მათმა მუდარამ არ გაჭრა.

"საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარეს პირადად ვესაუბრე, ავუხსენი მდგომარეობა და ვთხოვე, რამდენიმე საათით ელექტროენერგია საავადმყოფოსთვის მაინც ჩაერთო, რაზეც მტკიცე უარი მივიღე," - განაცხადა საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ჯამბულ კურცხალიამ.

საჩხერის რაიონის მკვიდრის, უგონო მდგომარეობაში მყოფი დავით ტეტეშიძის სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე დაემუქრა, რის გამოც დღეს, დილის 5 საათზე იგი თბილისში გადმოიყვანეს.

ენერგეტიკოსების საქციელით აღშფოთებული ტეტეშიძის ნათესავები ამ ფაქტის რეაგირების გარეშე დატოვებას არ აპირებენ და სასამართლოში იჩივლებენ. **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოსა და რუსეთის მესაზღვრეებმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის ერთობლივი პატრულირება დაიწყეს. ამის შესახებ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი ვალერი ჩხეიძე აცხადებს.

20 ოქტომბრიდან საქართველოსა და რუსეთის მესაზღვრეების ერთობლივი თანამშრომლობა განხორციელდება შემდეგი მიმართულებით - მოხდება ოპერატიული ინფორმაციის გაცვლა, საგუშაგოებს შორის კომუნიკაციების პირდაპირი არხების გაყვანა, ასევე სხვა ღონისძიებები ერთობლივი ქმედებების განსახორციელებლად.

შეგახსენებთ, რომ საზღვრის ერთობლივი დაცვის განხორციელების შესახებ შეთანხმება მოხდა დსთ-ს კიშინიოვის სამიტზე საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ვერცხლის ქუჩის 23-ში მდებარე წმინდა ნიშნის სომხურ ეკლესიას 20 ოქტომბერს ღამის სამ საათზე ხანძარი გაუჩნდა. როგორც ქალაქის სახანძრო სამსახურში აცნობეს, შენობა დიდი ხანია, ეკლესიის ფუნქციას არ ასრულებს, საბჭოთა პერიოდიდან იქ მოთავსებული იყო საჯარო ბიბლიოთეკის წიგნსაცავი.

ისედაც ავარიული შენობა აპრილში მომხდარმა მიწისძვრამ უფრო მეტად დააზიანა. შენობის ჩამონგრევის საშიშროების გამო მეხანძრეები შიგნით შესვლას და ხანძრის ლიკვიდაციას ვერ ახერხებდნენ. მეხანძრეებმა შესაბამისი ზომები მიიღეს, რომ ცეცხლი ახლომდებარე საცხოვრებელ სახლებსაც არ გადადებოდა.

ხანძრის მიზეზი, ჯერჯერობით, დაუდგენელია. არსებობს ვერსია, რომ ხანძარი ბავშვებმა გააჩინეს, რომლებიც შენობას სათამაშო ტერიტორიად იყენებდნენ. ამის გასარკვევად ხანძრის ლიკვიდაციის შემდეგ საჯარო ბიბლიოთეკის ლაბორატორიის მუშაკების გამოძახებას აპირებენ.

საქართველოს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პრესცენტრის უფროსის ავთო მახარაშვილის თქმით, ცეცხლი ლოკალიზებულია, თუმცა, ნამწვავები ჯერ კიდევ ხრჩოლავს. **მედია-ნიუსი. კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**გურჯაანი.** სოფელ საქობოსა და სიღნაღის გამგეობას შორის დაპირისპირება კულმინაციას აღწევს. საქობოელები 1999 წელს პრივატიზაციის დროს არასწორად განაწილებულ ნაკვეთებს ითხოვენ. მათი თქმით, სოფლის მცხოვრებთა 75 პროცენტს მიწები არ მიუღია, რადგან რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ხალხის კუთვნილი ნაკვეთები მიითვისა.

საქობოელებმა პროტესტის ნიშნად 19 ოქტომბერს სოფლის საგზაო მაგისტრალი გადაკეტეს, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. აქციაზე მისულმა რაიონის გამგებელმა გიორგი ჭუჭულაშვილმა კი ხალხი იმით დააიმედა, რომ პარლამენტში შეტანილია ახალი კანონპროექტი მიწის პრივატიზაციის შესახებ, რომლის მიღებისთანავე რაიონის ადმინისტრაცია სოფელს სახნავ-სათესებით დააკმაყოფილებს.

საქობოელ გლეხებს პარლამენტის და მთავრობის არ სჯერათ და იმუქრებიან, რომ მიტაცებულ ნაკვეთებში იძულებით შეიჭრებიან, ხოლო გამგებელს კარებს აუჭედავენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მყოფი ლტოლვილების ჩეჩნეთში დაბრუნება, სადაც საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობს, კატეგორიულად გამორიცხულია, აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის "ჩეჩენი ლტოლვილების საქმეთა საზოგადოებრივი კომიტეტის" თავმჯდომარე ჰუსეინ საიდოვი.

მისი თქმით, ჩეჩნეთში დაბრუნება "ნაღდ სიკვდილს ნიშნავს".

ამასთან, იგი ეჭვს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლება, რომელმაც თავის დროზე ჩეჩენი ლტოლვილები შეიფარა, ბოლომდე გაუძლებს რუსეთის ზეწოლას ამ საკითხში.

მისი თქმით, ჩეჩენი ლტოლვილები ვარაუდობენ, რომ ქართული და რუსული მხარეები უკვე შეთანხმდნენ მათ დაბრუნებაზე.

"ლტოლვილები წავლენ ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც მათ მიიღებს და რომელზეც არ ვრცელდება რუსეთის გავლენა, რასაც ამჟამად საქართველოზე უკვე ველარ იტყვი", თქვა ჰუსეინ საიდოვმა.

იგი ამტკიცებს, რომ პანკისის ხეობაში ამჟამად 2 ათასზე მეტი ლტოლვილი არ იმყოფება, რაც რამდენიმე თვის წინ არსებული რაოდენობის ნახევარია.

"ზოგი ჩეჩნეთში დაბრუნდა, დანარჩენები სხვა ქვეყნებში გაემგზავრნენ, საქართველოში დარჩენა კი არავის სურს", თქვა მან.

პარასკევს საქართველომ ოფიციალურად შესთავაზა რუსეთს მოლაპარაკებების განახლება ჩეჩენი ლტოლვილების დაბრუნების საკითხზე, რომლებიც საქართველოში 1999 წლიდან იმყოფებიან. **პრაიმ-ნიუსი.**




# შევარდნაძე დღეს სხვა რეალობაში ცხოვრობს და ოპოზიციას თვითონ ინიშნავს

პირველი გვერდიდან

**- როგორც ბატონმა დავითმა აღნიშნა, და ამას, ალბათ, ყველა ეთანხმება, მთავარი პრობლემა შევარდნაძის ხელისუფლებაა და ცვლილებები აუცილებელია. მაგრამ საკითხი ასე დგას: როგორ უნდა განხორციელდეს ეს ცვლილებები? არსებობს ორი მოსაზრება: ერთი, რომ ქვეყანა აღარ ითმენს და ამიტომ კონსტიტუციური ვადების ამოწურვას ვერ დაველოდებით; მეორე მოსაზრების მიხედვით კი, ყველა შემთხვევაში უნდა დავიცადოთ, სანამ პრეზიდენტი საკონსტიტუციო ვადას ამოწურავს. თქვენ შორის არსებობს თუ არა ერთიანი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით?**

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** შევარდნაძის ხელისუფლების ვადის ამოწურვამდე არცთუ ისე ბევრი დროა დარჩენილი. უფრო მნიშვნელოვანი საკითხის ასე დასმაა: ამ ვადის ამოწურვის შემდეგ რას გავაკეთებთ?

ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, რა მიზანი დავისახოთ. თუ ჩვენი თვითმიზანი პარლამენტში მოხვედრაა, მაშინ არაფერი არ დაშავდება, ცალ-ცალკე თუ ვიქნებით, რადგან პარლამენტში მოსახვედრ გზას ყველა ჩვენგანი მოძებნის. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებზე, მაშინ უნდა ვიფიქროთ ალტერნატიული ძალის ჩამოყალიბებაზე. მე ვფიქრობ, რომ დღეს არც ერთ პარტიას დამოუკიდებლად არ აქვს იმის შანსი, ხელისუფლების ალტერნატივა გახდეს.

ვადამდე შეწყდება შევარდნაძის ხელისუფლება თუ ვადები დაცული იქნება, ეს ძალიან სერიოზული თემაა და უნდა გავაანალიზოთ, რომელი რას მოგვიტანს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თუ ვადამდელ არჩევნებზე ვფიქრობთ, მაშინ ძალიან სწრაფად უნდა განვახორციელოთ საკონსტიტუციო ცვლილებები, რომელიც გახდება გარანტი სტაბილურობისა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისა. გარდა ამისა, ეს უნდა გახდეს იმის გარანტი, რომ დღეს არსებულმა პარტიებმა მშვიდობიანი თანაარსებობა შესძლონ. პირადად მე დღეს ამ გარანტიებს ვერ ვხედავ.

**მიხეილ სააკაშვილი:** პრეცედენტები იმისა, რომ ოპოზიციური ძალები ერთიანდებიან, უკვე არსებობს. ასეთი იყო, მაგალითად, მილოშევიჩის ოპოზიცია, რომლის ლიდერები დღეს ერთმანეთის კონკურენტები არიან და ეს ნორმალურიცაა. ასეთი გაერთიანებაა დღეს უკრაინაში და მინდა ვთქვა, რომ ამ გაერთიანებაში მყოფ ძალებს გაცილებით ნაკლები აქვთ საერთო ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენ, აქ შეკრებილ პარტიებს. ეს ერთი საკითხი.

ახლა რაც შეეხება შევარდნაძის შეუცვლელობას. დღეს “ნაციონალურ მოძრაობას”, “ახალ მემარჯვენეებსა” და “გაერთიანებულ დემოკრატებს” არჩევნებში ხმათა სრული უმრავლესობის მოპოვება შეუძლიათ. ეს უკვე ნიშნავს იმას, რომ, შევარდნაძის არყოფნის შემთხვევაში, საქართველოში ნამდვილად არ იქნება პოლიტიკური უდაბნო. კონფრონტაციის რეჟიმში მუშაობა - ეს შევარდნაძის სტილია. მან შექნა ისეთი სიტუაცია, როცა სხვადასხვა რეგიონებში შეიარაღებული ფორმირებები ყალიბდება. ასე რომ, ეს ის თამაშის წესებია, რომელიც შევარდნაძემ თავზე მოგვახვია.

მე მიმაჩნია, რომ ჩვენ შეგვიძლია, შევარდნაძის ალტერნატივა ვიყოთ, თუნდაც ერთპიროვნულად. ასევე ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ “ახალ მემარჯვენეებსა” და “გაერთიანებულ დემოკრატებს”. საუბარია იმაზე, რომ შევარდნაძის ალტერნატივის არარსებობა ხელოვნურად მოგონილი მითია. დღეს საქართველოში, მინიმუმ, სამი პარტია არსებობს, რომელიც ნაციონალური მასშტაბით არის წარმოდგენილი და დიდი გავლენით სარგებლობს. ამომრჩეველიც ბევრად უფრო დახვეწილია და არჩევნებში მონაწილეობის ხარისხიც გაცილებით უფრო მაღალი იქნება.

შევარდნაძე დღეს სხვა რეალობაში ცხოვრობს და, ნიაზოვის მსგავსად, თვითონ ინიშნავს ოპოზიციას. გუშინ მისი ოპოზიცია პუტინი იყო, დღეს ასლან აბაშიძეა, ხვალ იგორ გიორგაძე იქნება და მომავალში მთიელთა რომელიღაც პარტია. ამავდროულად, ის ქრონიკულად ახდენს ჩვენს იგნორირებას. მაგალითად, პრეზიდენტს პერმანენტულად ავიწყდება, რა ჰქვია “ნაციონალურ მოძრაობას”. ალბათ, სულ მალე დაავიწყდება “ახალი მემარჯვენეების” სახელი და იმასაც ველარ გაიხსენებს, ვინ არის ზურაბ ჟვანია.

ის ჰქმნის რეალობას, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ხალხის რეალობასთან.

სხვათა შორის, ის, რაც “ახალმა მემარჯვენეებმა” გააკეთეს, ძალიან მნიშვნელოვანია. შევარდნაძის აზრით, ამ პარტიის ლიდერებმა მისი ხელშეწყობითააწყვეს ბიზნესი, ამიტომ ვერ წარმოედგინა, რომ ეს პარტია მისი თამაშის წესებს უარყოფდა და მას გაემიჯნებოდა.

ის, რაც რამდენიმე დღის წინ პარლამენტში მოხდა, ქართულ პოლიტიკაში მართლაც ახალი ეტაპის დასაწყისია. ყველა ანგარიშგასაწევი ძალის ლიდერი ერთ მხარეს აღმოჩნდა, პრეზიდენტის გვერდით კი არც ერთი სერიოზული პოლიტიკური ძალა არ დარჩენილა.

**- რაც შეეხება საკონსტიტუციო ვადების დაცვა–არდაცვას?**

**მიხეილ სააკაშვილი:** ჩვენ, რა თქმა უნდა, პატივი უნდა ვცეთ კონსტიტუციას, მაგრამ კონსტიტუცია უნდა დაიცვას ხელისუფლებამაც. მისი ლეგიტიმურობის ხარისხი კი სულ უფრო და უფრო ეცემა. ხოლო თუ ხალხი კონსტიტუციური სივრცის გარეთ დარჩა, მაშინ ვერც ერთი სერიოზული პოლიტიკური ძალა ვერ აღმოჩნდება ხალხის მიღმა. ჩვენ არავის არ მოვუწოდებთ რევოლუციისკენ. ძალა, რომელსაც ხალხის ქუჩაში გამოყვანა შეუძლია, მხოლოდ ხელისუფლებაა.

შარშან ვინ მოახდინა იმის პროვოცირება, რომ ხალხს ქუჩის დემონსტრაციები მოეწყო? ხელისუფლებამ, რომელმაც “რუსთავი 2”-ის დახურვა მოინდომა.

**ზურაბ ჟვანია:** პირადად ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ქვეყანაში კონსტიტუციური ვადების და ჩარჩოების დაცვა მოხდეს. მაგრამ ცალსახად მინდა დავაფიქსირო, რომ ეს არა ოპოზიციაზე, არამედ ბევრად უფრო მეტად ხელისუფლებაზეა დამოკიდებული. ჩვენი შეშფოთების საგანს დღეს ის წარმოადგენს, რომ ხელისუფლება ძალიან ხშირად უპასუხისმგებლოდ, უმეტეს შემთხვევაში კი - პროვოკაციულად იქცევა. ის აქცევს ავტომატიან ადამიანებს საარჩევნო პროცესში თანამონაწილედ, მისი მფარველობის ქვეშ მყოფი ადამიანები იტაცებენ საარჩევნო ყუთებს და ამისათვის არავინ ისჯება. ხოლო პრეზიდენტის მიერ შეწყალებული მკვლელები სახელმწიფო ტელევიზიის ეთერით ოპოზიციის ლიდერებს ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან.

ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ხელისუფლება დაადგა იმ გზას, როცა პროცესები, შეიძლება, უმართავი გახდეს. ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბოლომდე გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომ კონსტიტუცია არ დაირღვეს, რომ ხელისუფლება, ამ ჩვენი ერთიანობის ძალით, რეალობაში დავაბრუნოთ და ვაიძულოთ, მიიღოს თამაშის ის წესები, რომელიც ყველას კონსტიტუციის ჩარჩოებში დაგვტოვებს.

მაგრამ მე ერთადერთი რამ ვიცი - ამ ქვეყნის ხალხს აღარ სურს, იცხოვროს ისე, როგორც აქამდე ცხოვრობდა და არ არსებობს ძალა, რომელიც მას აიძულებს, მოითმინოს მმართველობის დღევანდელი სისტემა. ხალხს, ბუნებრივია, ურჩევნია, თავისი ნება საარჩევნო უბნებთან დააფიქსიროს და არა ქუჩის დემონსტრაციებზე, მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, მისცემს თუ არა ხელისუფლება მას ამის საშუალებას.

**დავით გამყრელიძე:** მე მთლიანად ვიზიარებ აქ გამოთქმულ მოსაზრებებს. მაგრამ ირინას ვერ დავეთანხმები ერთ რამეში, რომ პრეზიდენტის მმართველობის დასრულებამდე ბევრი დრო არ არის დარჩენილი. სამი წელი, შესაძლოა, სრულიად დამანგრეველი აღმოჩნდეს ამ ქვეყნისათვის. ხაზს ვუსვამ იმ ფაქტს, რომ ჩვენ ისეთ ელექტორატს წარმოვადგენთ, რომელიც ძალიან უფრთხილდება სტაბილურობას. მაგრამ ის, რაც პრეზიდენტმა პარლამენტში გამოსვლის დროს განაცხადა, რომ ის ჩაატარებს საპარლამენტო არჩევნებს და განსაზღვრავს, ვინ იქნება მომავალი პრეზიდენტი, არის ბრძოლის გამოცხადება საზოგადოებისათვის. ეს უკვე იმას ნიშნავს, რომ შევარდნაძეს ძალისმიერი მეთოდებით სურს, გაანადგუროს ოპოზიცია და ხელისუფლება ამ გზით შეინარჩუნოს. ჩვენი ამოცანა კი ის გახლავთ, რომ ეს არ დავუშვათ და ხელისუფლების გამოსაფხიზლებლად ყველაფერი გავაკეთოთ.

**ალექსანდრე შალამბერიძე:** საშიშროება იმისა, რომ შევარდნაძის წასვლის შემდეგ სიტუაცია აირევა, არ არსებობს. საქართველოში უკვე არსებობენ ის ძალები, რომლებიც მისი ალტერნატივა იქნება. თუ დღეს შევარდნაძემ სიტუაციის ადეკვატურად არ იმოქმედა, ეს ნიშნავს იმას, რომ ის წერას ატანილი კაცია.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** მე ძალიან ვწუხვარ, რომ აქ ისეთი შთაბეჭდილება დავტოვე, თითქოს შევარდნაძე თუ წავა, ქვეყანა დაინგრევა. მე საუბარი მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე მაქვს, რადგან ახალმა პარლამენტმა, შეიძლება, ძალიან დიდი როლი ითამაშოს, თუ როგორ გაგრძელდება ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებამდე. მე იმ პარლამენტს გაცილებით უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ვიდრე ნებისმიერ ჩვენს აქციას, რაც არ უნდა ეფექტური იყოს ის. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ქვეყანა ხელისუფლების რადიკალურ ცვლილებამდე, რაც შეიძლება, ნაკლები კატაკლიზმებით მივიდეს. ამ გზაზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი მომავალი საპარლამენტო არჩევნების წარმატებით დასრულება იქნება. საპარლამენტო არჩევნებამდე კი ცოტა დრო დარჩა.

**დავით გამყრელიძე:** შევარდნაძე მართლაც ჰქმნიდა იმ სტერეოტიპს, რომ მის გარეშე ქვეყანა დაიღუპება. ერთიანობისაკენ გადადგმული ჩვენი ეს ნაბიჯი კი სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ ეს სტერეოტიპი დავანგრიოთ.

საპარლამენტო არჩევნები ამ სიტუაციაში გადამწყვეტ როლს ითამაშებს. ამიტომ, მე დარწმუნებული ვარ, ხელისუფლება შეეცდება, თავისი უმეცრებით ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც, შესაძლოა, დამღუპველი აღმოჩნდეს ამ საზოგადოებისათვის.

დღეს კანცელარიაში ჯორბენაძე საარჩევნო კოდექსის ისეთ ვარიანტს ამზადებს, რომლითაც შეეცდება, მთელი საარჩევნო პროცესი მის მიერ კონტროლირებადი გახადოს.

**მიხეილ სააკაშვილი:** თუკი ვინმეა დაინტერესებული დღეს თავისუფალი არჩევნებით, ეს ჩვენი პარტიაა. მაგრამ დღეს საქართველო ხეიბარი ქვეყანაა, რადგან, როცა ქვემო ქართლი მთლიანად ოკუპირებული აქვს ლევან მამალაძეს, ხოლო აჭარა - ასლან აბაშიძეს, ეს ნიშნავს, რომ ხმების 30-40 პროცენტი ავტომატურად დაკარგულია. ანუ, ოპოზიცია დღეს ძალიან შეზღუდულ სივრცეშია მოქცეული. თუ ყველაფერი ასე დარჩა, საქართველოში არანაირი თავისუფალი არჩევნები არ ჩატარდება.

ქუჩის აქცია, ბუნებრივია, არ არის სასურველი, მაგრამ ის პოლიტიკის ერთ-ერთი ფორმაა. ამ რეალობაში კი ის ერთადერთი ფორმაა ხელისუფლებასთან სასაუბროდ.

**- ქუჩის აქციების გარდა, კიდევ რა მექანიზმები შეიძლება დაუპირისპიროთ ამ ყველაფერს?**

**დავით გამყრელიძე:** მთავარი მექანიზმი პარტიებს შორის დაწყებული დიალოგია, ის, რომ პოლიტიკურ პარტიებს აქვთ სურვილი, თავიანთი ამბიციები უკანა პლანზე გადადონ და ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე ითანამშრომლონ.

ხელისუფლება, შესაძლოა, კიდევ უფრო უკეთესად ხედავს, რომ, თავისუფალი არჩევნების შემთხვევაში, ისინი ყველაფერს დაკარგავენ. აქედან გამომდინარე, მე სწორედ ის მაშინებს, რომ ეს ადამიანები ყველაფერზე წავლენ – არჩევნების ჩაშლაზე, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებაზე, შეიძლება, საომარ მოქმედებებზეც კი. რადგან, თუ თავისუფალი არჩევნები ჩატარდა, ხელისუფლებას არანაირი შანსი არ აქვს, საარჩევნო ბარიერი გადალახოს. ადგილობრივმა არჩევნებმა დაადასტურა, რომ ოპოზიციური პარტიები ელექტორატის ხმების 100 პროცენტს ფლობენ.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** მე აბსოლუტურად ვეთანხმები დათოს. ერთადერთი გარანტია, რომ საპარლამენტო არჩევნებზეც ის არ მოხდეს, რაც ადგილობრივ არჩევნებზე მოხდა, ეს პარტიათა შორის კოორდინაციაა. ამისათვის კი არ არის აუცილებელი, რომ ჩვენ ერთ ბლოკში ვიყოთ.

**დავით გამყრელიძე:** ამ არჩევნებში ხელისუფლება არა მარტო საარჩევნო პროცედურის გაყალბებით, არამედ პირდაპირი ძალადობით დაგვიპირისპირდა.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** ადგილობრივი არჩევნების დროს ხელისუფლება არ აღმოჩნდა მარტო. მის გვერდით აღმოვჩნდით პარტიები, მათ შორის – “ნაციონალური მოძრაობა”. ჩვენ აბსოლუტურად სამართლიანად ვასაჩივრებდით არჩევნების შედეგებს, მაგრამ ეს სარჩელი საიმისოდ იყო გამოყენებული, რომ ხელისუფლებას საკრებულოს ახლანდელი შემადგენლობის პარალიზება მოეხდინა. ამიტომ ჩვენმა პარტიამ სარჩელი შეაჩერა და, თუ მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის კოორდინაცია და ერთიანობა შევინარჩუნეთ, მაშინ ხელისუფლება ველარ შესძლებს, ასე მარტივად მოახდინოს საპარლამენტო არჩევნების ბლოკირება.

**ზურაბ ჟვანია:** მე დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანად ჩატარებული არჩევნები წერტილს დაუსვამს შევარდნაძის დღევანდელ მმართველობას. როგორ გაფორმდება ეს კონსტიტუციურად და როგორი საკანონმდებლო გადაწყვეტილებები იქნება ამისათვის მიღებული, ეს მეორე საკითხია. ამ ხანმოკლე დისკუსიამაც ცხადყო, რომ ამ საკითხის მიმართ სხვადასხვა მიდგომები არსებობს. მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: სამართლიანი არჩევნები ძირფესვიანად შეცვლის ამ ხელისუფლებას, რადგან არ შეიძლება, გყავდეს ხელისუფლება, რომელიც დღეს მთავარ პრობლემად ეროვნული ჰიმნის გაუმართაობასა და ციფრულ განხეთქილებას მიიჩნევს.

იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციური ძალების კოორდინაცია მოხდება, ვერავინ შესძლებს, არჩევნების გზით ხელისუფლების ცვლილების პროცესს ხელი შეუშალოს. ერთადერთი ხელის შემშლელი ფაქტორი მხოლოდ ცალკეული ლიდერების ამბიციები შეიძლება იყოს, რომლებიც აცხადებენ, რომ ამ გაერთიანებიდან ცალკე იდგებიან. ანუ, შეეცდებიან, ერთდროულად ხელისუფლებასაც დაუპირისპირდნენ და ოპოზიციურ ჯგუფსაც. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დღეს არ ვლაპარაკობთ იმაზე, თუ რომელ პარტიას რა როლი უკავია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, დღეს ჩვენ ვსაუბრობთ, რომ პოლიტიკური საკითხები საქართველოში არჩევნების გზით, პოლიტიკური არგუმენტებითა და მეთოდებით უნდა გადაწყდეს და არა ავტომატებითა და შეიარაღებული ძალებით. ეს თითოეული ჩვენგანის საერთო ინტერესია. მე არ მჯერა, რომ სამართლიანი არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა ცალკე რომელიმე პარტიამ მოახერხოს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს ის. ამის მიღწევა მხოლოდ ერთიანი ძალისხმევის შედეგად შეგვიძლია. ამიტომ, ვაფასებ იმ პროცესს, რომელიც პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს დაიწყო და მიმაჩნია, რომ ის უფრო უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს. ამ პროცესს უნდა შეუერთდნენ სხვა ჯგუფებიც, რომლებიც პარლამენტში ან მის გარეთაა დარჩენილნი. ამგვარი კოორდინაციის შემთხვევაში, ხელისუფლებას არ ექნება არანაირი შანსი, რომ საპარლამენტო არჩევნები გააყალბოს - ამისათვის მას ფართომასშტაბიან ტერორზე გადასვლა მოუწევს, რასაც ჩვენი საზოგადოება უკვე ნამდვილად აღარ მოითმენს.

ის, რაც ადგილობრივი არჩევნების დროს მოხდა, ეს არის იმის ნათელი მაგალითი, თუ რა შეიძლება დაგვემართოს არაკოორდინირებულობისა და დაქსაქსულობის შემთხვევაში.

**მიხეილ სააკაშვილი:** ის, რომ ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ და, ალბათ, “სახალხომაც” უარი თქვა სარჩელის შეტანაზე, იმას ნიშნავს, რომ კოორდინაცია ფუნდამენტურ საკითხებზე უკვე მოხდა. მზადდება სცენარი, რომ უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები გააუქმოს. რეპეტიცია უკვე ჩატარდა, როცა რამდენიმე დღის წინ ხარაგაულში არჩევნების შედეგები გაუქმდა. თუ შევარდნაძემ არჩევნების შედეგების თბილისში გაუქმებაც მოახერხა, ეს იქნება სერიოზული მასტიმულირებელი ფაქტორი, რომ ანტისახელისუფლებო პროტესტმა სულ სხვა ფორმები შეიძინოს. ეს არეულობა კი შევარდნაძეს ნამდვილად გადაიყოლებს.

ზურას ბოლომდე ვეთანხმები იმაში, რომ არც ერთი პარტია არ არის იმდენად ძლიერი, რათა თამაშის წესები შეცვალოს. მე ვფიქრობ, რომ ის პროცესი, რომელიც ახლა პარტიებს შორის ვითარდება, მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკური პარტიები უფრო დახვეწილები გახდნენ. შევარდნაძემ ვერ მოახერხა, საქართველო სერიოზული პოლიტიკოსების გარეშე დაეტოვებინა. იმ გეგმის განხორციელება, რომ თავის მემკვიდრედ რომელიღაც ოლიგარქი დატოვოს ან თვითონ გაიგრძელოს თავისი ხელისუფლების ხანა, ძალიან გაუჭირდება.

**ზურაბ ჟვანია:** იმ პრობლემათა შორის, რაც დღეს დგას, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ხელისუფლების მიერ სასამართლო ხელისუფლებით უპრეცედენტო და უხეში მანიპულირებაა. 2 ივნისის არჩევნები ამ მხრივაც სერიოზული განსჯისა და განგაშის საფუძველია. თუ სასამართლო ხელისუფლებას შეუძლია, ანტიკონსტიტუციური გადაწყვეტილებები მიიღოს და 5 თვე დაბლოკოს ხალხის მიერ არჩეული საკრებულოს ფუნქციონირება, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლების არსენალში ძალიან საშიში და ჩემთვის ძალიან სამწუხარო ინსტრუმენტი გაჩნდა. ამიტომ, პარლამენტში ჩვენი ძალისხმევა საკანონმდებლო ბაზის დახვეწისკენ უნდა იყო მიმართული, რათა სასამართლოს რომელიმე კანონის რომელიმე მუხლზე ყველანაირი აპელირების საფუძველი გამოეცალოს.

**- ამ ეტაპზე რამდენად შესაძლებელია, რომ არჩევნებამდე საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწა მოხდეს? არის თუ არა ამის რესურსი პარლამენტში ან პირიქით, შეძლებს თუ არა ხელისუფლება, პარლამენტს საარჩევნო კოდექსის მისთვის მისაღები ვარიანტი დაამტკიცებინოს?**

**დავით გამყრელიძე:** საარჩევნო კოდექსი არის ის საკითხი, რომლის შესახებ დიალოგშიც მონაწილეობა უნდა მიიღონ არა მარტო საპარლამენტო ფრაქციებმა, არამედ მთელმა პოლიტიკურმა სპექტრმა. ჩემი აზრით, თუ იქნება არასამთავრობო სექტორის, მასმედიის სრული მონაწილეობა და აქტიურობა ამ საკითხში, ჩვენ შევქმნით ისეთ სიტუაციას, რომ ვერავინ აღუდგება იმ სწორ და ჯანსაღ პროცესს, რომელსაც საარჩევნო კოდექსის დახვეწა ჰქვია. ჩვენ უნდა მოვიფიქროთ ისეთი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც გამორიცხული იქნება ხელისუფლების მხრიდან რაიმე მანიპულირება.

**ზურაბ ჟვანია:** თუ ხელისუფლება შეეცდება დრაკონული საარჩევნო კანონპროექტის გატანას, რაზედაც დათო საუბრობდა, რისი პროექტებიც გამზადებული უდევს ჯორბენაძეს, მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მიუხედავად ჩემი ძალიან მშვიდობიანი ხასიათისა, პირადად მეც გავალ ქუჩაში. ეს არის ის ბოლო ზღვარი, რომელსაც ნამდვილად ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** მე მხოლოდ ერთს დავამატებ. ყველა მოწვევის პარლამენტში ერთი და იგივე პრობლემა დგას - როცა საქმე საქმეზე მიდგება, პრეზიდენტის მხრიდან ძვლის გადაგდების შემთხვევაში, რამდენად შენარჩუნდება ამა თუ იმ ჯგუფის ერთიანობა. რეალისტები რომ ვიყოთ, დღესდღეობით ხელისუფლებას, ალბათ, ისევე უნდა გაუჭირდეს თავისი პროექტის გატანა პარლამენტში, როგორც ოპოზიციას კანონმდებლობის დასახვეწად აუცილებელი ხმების მოგროვება. ამიტომ, ზურას სიტყვები რომ გავიმეორო, თუ ხელისუფლება კოდექსში დრაკონული ცვლილებების შეტანას მოინდომებს, ჩემი აზრით, ოპოზიციის დამსახურება, როგორც მინიმუმ, ის მაინც იქნება, რომ ასეთი ცვლილებები არ მიაღებინოს პარლამენტს.

**დავით გამყრელიძე:** ხარაგაულში რომ არჩევნები ჩაიშალა, ეს არის ის პირველი ძვალი, რომელიც გადაუგდეს სოციალისტებს. პრეზიდენტმა სოციალისტები კარგი საქციელისთვის ასე დააჯილდოვა.

თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პარლამენტშიც არიან ძალები, რომლებსაც მოსახლეობის ნდობის შენარჩუნება სჭირდებათ. ამიტომ არ არის გამორიცხული, მათაც ჩვენი პოზიცია დაიკავონ...

**- გარანტიები, რომ პარლამენტი საარჩევნო კოდექსს დახვეწს, დღეს არ არსებობს. მაგრამ შეგიძლიათ თუ არა აქ წარმოდგენილ პარტიებს საზოგადოებისათვის იმ გარანტიის მიცემა, რომ ეს კოორდინაცია და ერთსულოვნება შენარჩუნებული იქნება? რა შეიძლება, ხელისუფლებამ თითოეულ თქვენთაგანს შესთავაზოს, რის სანაცვლოდაც ერთმანეთთან თანამშრომლობაზე უარს იტყვით?**

**დავით გამყრელიძე:** ჩვენი იარაღი – ჩვენი გამოცდილებაა. ალბათ, ყველას უნდა ეყოს იმდენი გონიერება, რომ გააცნობიეროს: დღეს არ შეიძლება იმ ანკესზე წამოგება, რომელსაც ხელისუფლება მრავლად გადმოაგდებს.

**მიხეილ სააკაშვილი:** მთავარი გარანტი - ეს შევარდნაძის ხასიათია. იგი არაფერს პატიობს იმ ადამიანებს, ვინც მას ზედიზედ სამჯერ ცუდად მოიხსენიებს. მასთან უკან დასაბრუნებელი გზა არავის არ რჩება. შევარდნაძესთან ფლირტის საშუალება ყველას მიეცემა, მაგრამ ეს ფლირტი ყოველთვის ცალმხრივი იქნება.

**ირინა სარიშვილი-ჭანტურია:** მთავარია, რამდენად რეალისტები იქნებიან პოლიტიკოსები. რამდენად რეალურად აფასებენ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს და მომავალ სიტუაციას. მე არ გამოვრიცხავ, თითოეულ ჩვენგანს სერიოზული ამბიცია გვქონდეს, მაგრამ ეს ამბიცია უნდა დავთმოთ, რადგან ამას კარგი დასასრული არ ექნება.

**ალექსანდრე შალამბერიძე:** მე ვიტყოდი, რომ ეს გარანტია ჩვენი გამოცდილებაა, რომელმაც დღეს ყველა გაგვაერთიანა.

**ზურაბ ჟვანია:** გარანტია იმისა, რომ ეს გაერთიანება იქნება სიცოცხლისუნარიანი, ჩემი მხრიდან ის ძალისხმევაა, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა გავწიეთ, ეს პროცესი რომ დაწყებულიყო. გარწმუნებთ, ადვილი არ იყო, მე და ირინას ან მე და “ახლებს” თანამშრომლობა დაგვეწყო. მაგრამ ჩვენ ყველამ გავაცნობიერეთ, რომ მივაღწიეთ იმ მიჯნას, რომლის მიღმაც არა მარტო პოლიტიკური პარტიები, არამედ მთელი ქართული საზოგადოება და მისი მომავალი განვითარება ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. არა მგონია, რომელიმე ჩვენთაგანმა პოზიციები ხელისუფლების მიერ გადმოგდებული რაიმე სასუსნავის საფასურად შეცვალოს.




ლევან ხერხეულიძის ფოტოები

ჩვენ ყველამ გავაცნობიერეთ, რომ მივაღწიეთ იმ მიჯნას, რომლის მიღმაც მთელი ქართული საზოგადოების განვითარება დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

---

სვეტი

## აპათიური მეზობელი

მიხაილ შეველიოვი
„მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მთ. რედაქტორის მოადგილე სპეციალურად „24 საათისათვის“



გასული კვირა რუსეთის დედაქალაქისათვის, ხმაურიანი მკვლელობების მხრივ, გამორჩეული გამოდგა.

დაქირავებულმა მკვლელმა მოსკოვის ცენტრში ტყვია დაახალა მაგადანის ოლქის გუბერნატორს ვალენტინ ცვეტკოვს.

მოსკოვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ რაიონში, “მაკდონალდსის” სასადილოს მახლობლად, ასაფეთქებელი მასალითა და ლურსმნებით დაძეძგილი ავტომობილი აფეთქდა.

ფორმალური მსხვერპლი ორია. რეალური – მეტი.

მაგრამ ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება თავად მომხდარმა ფაქტმა კი არა, ამ ფაქტზე რეაქციამ გამოიწვია.

გუბერნატორის მკვლელობაც და “მაკდონალდსის” მახლობლად მომხდარი აფეთქებაც საინფორმაციო სააგენტოების წამყვან თემად მხოლოდ ერთი საათის, ანუ ორი გამოშვების განმავლობაში რჩებოდა. მერე კი ისინი სულ სხვა მოვლენებმა შეცვალა: არჩევნები ყალმუხეთში, რუსული კალათბურთის მესვეურების შეცვლა, მიუზიკლ “ნორდ-ოსტის” იუბილე, “ჟიგულის” ფასის ზრდა და კიდევ უამრავი, უამრავი რამ, რამაც რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყურადღება მიიპყრო. და ეს შემთხვევითი სულაც არ გახლავთ – მათ თავიანთი ბაზარიც იციან და თავიანთ კლიენტებსაც იცნობენ.

იმ დღეს, როცა ეს მოვლენები მოხდა, შემთხვევით უცხო ადამიანების სატელეფონო საუბარში ჩავერთე (მოსკოვსა და თბილისში კავშირგაბმულობის ხარისხი ჩვენი ერების ისტორიული სიახლოვის კიდევ ერთი დადასტურებაა). ის-ის იყო იმის გარკვევა დავაპირე, თუ სად მოვხვდი, რომ ორი დაქალის საუბრის დასაწყისი გავიგონე: “გაიგე, “მაკდონალდსი” რომ აუფეთქებიათ? საშინელებაა!” “გავიგე, გავიგე. შენ ის თუ გაიგე, სვეტამ საფულე რომ დაკარგა?” მეგაპოლისში აფეთქების განხილვაც ამით დაიხურა. თვით “ჩეჩნურ კვალზე” სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების ტლანქმა მინიშნებებმაც ვერ შესძლო ამ თემაზე განსაკუთრებული ყურადღების კონცენტრირება. ისევე, როგორც მაგადანის გუბერნატორის მკვლელობა ვერ იქცა სენსაციად თუ ჭორების აგორების საბაბად: აბსოლუტურად რიგითი, სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა, დიდი ამბავი, ერთი გუბერნატორით მეტი იქნება თუ ნაკლები. რას ვიზამთ, ასეთი ძაღლუმადური სამუშაო აქვთ.

თუ შეკვეთილი მკვლელობები და ტერაქტები განვითარებული პოსტინდუსტრიული ქვეყნის დამახასიათებელი ნიშანია, მაშინ რუსეთსაც ჰქონია საამაყო.

აი, საზოგადოებრივი რეაქციით სიამაყე კი ნამდვილად არ ღირს. აპათია და განწირულობის შეგრძნება, სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი უნდობლობა, საკუთარი თავისა და ქვეყნის ფატალური დაუცველობის სინდრომი მძიმედ დაავადებული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანია.

ეს მძიმე დაავადება, ალბათ, მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის შიდა პრობლემა იქნებოდა, იგი მთელ ქვეყნიერებას მოწყვეტილი, სადღაც გრენლანდიის ცენტრში რომ მდებარეობდეს. მაგრამ ამ ქვეყნის საზოგადოებრიობის უძლურება მისი ახლო თუ შორეული მეზობლებისთვის ცუდის ნიშანია. საზოგადოება, რომელიც ამისთანა სამოქალაქო პროსტრაციამდე დაეშვა, მაინცადამაინც კარგი მეზობელი ვერ იქნება. ადრე თუ გვიან ეს საზოგადოება თავისი გენერლების, თავისი ნავთობისა და გაზის ანგარებიანი ბარონების, თავისი პოლიტიკური აფერისტების გაკონტროლებას შეწყვეტს და მაშინ ესენიც მთელ თავიანთ “ბრწყინვალებას” მარტო ქვეყნის შიგნით კი არა, მის საზღვრებს გარეთაც წარმოაჩენენ. ვისაც მარტო ჩეჩნეთი და საქართველო არ ჰყოფნით, იმათ, ვშიშობ, სხვა მაგალითების დანახვაც მოუწევთ.

## ბიზნესის ამბები

### იაპონია ნავთობის ალტერნატიულ მიმწოდებელს ეძებს

იაპონიის უმსხვილესმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანიამ Nippon Oil-მა რუსეთიდან ნედლი ნავთობის პირველი პარტია მიიღო. ერაყში ომის დაწყების საშიშროებიდან გამომდინარე, იაპონიაში ნავთობის ალტერნატიული მიმწოდებლის ძიებას შეუდგნენ. "ჩვენი სურვილია, ნავთობის მოწოდების დივერსიფიცირება", - აღნიშნეს Nippon Oil-ის წარმომადგენლებმა.

საქმე ისაა, რომ იაპონია მოხმარებული ნავთობის 80 პროცენტს ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან იღებს.

### Ericsson-ის ზარალმა 540 მილიონი დოლარი შეადგინა

კომპანია Ericsson-მა მიმდინარე ფინანსური წლის მესამე კვარტალი 540 მილიონი დოლარის (4,9 მილიარდი შვედური კრონი) ზარალით დაასრულა. შარშან, ანალოგიურ პერიოდში, ზარალი 3,96 მილიარდი კრონი იყო. მობილური კავშირგაბმულობის ტექნიკის ამ უმსხვილესი კომპანიის გაყიდვები 38,5 პროცენტით შემცირდა. კომპანიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, Ericsson-ი 2003 წელს მოგებაზე გასვლას გეგმავს. ამ მიზნით, კომპანიის ხარჯების მკვეთრი შემცირება მიმდინარეობს. მაგალითად, თუ წელს კომპანიაში 107 ათასი ადამიანი მუშაობს, 2003 წლისთვის მათი რიცხვი 60 ათასამდე შემცირდება.

### ირანმა და ევროკავშირმა ორი მემორანდუმი გააფორმეს

ირანმა და ევროკავშირმა გააფორმეს ორი მემორანდუმი, რომელიც ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობას შეეხება. დოკუმენტებს ხელი მოაწერეს ირანის ისლამური რესპუბლიკის ნავთობის მინისტრის მოადგილემ ხადი ნეჯად ჰოსეინიანმა და ევროკავშირის ენერგეტიკისა და ტრანსპორტის გენერალურმა დირექტორმა ფრანსუა ლამურუმ.

ხელმოწერის ცერემონიალზე ფრანსუა ლამურუმ აღნიშნა, რომ ევროკავშირი მზადაა, ითანამშრომლოს ირანთან ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და სხვა სფეროებში სამეცნიერო ტექნოლოგიების გადაცემის თაობაზე.

### "NTVRU.com" სახელს იცვლის

ახალი ამბების საიტი NTVRU.com-ი სახელწოდებას იცვლის. დღეიდან ინფორმაციის მიღება შეიძლება ახალ მისამართზე – NewsRu.com-ზე. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა იმ შეთანხმების შედეგად, რომელსაც ხელი მოაწერეს ვლადიმირ გუსინსკიმ და კომპანია "გაზპრომ-მედიამ". შეთანხმების თანახმად, დომენი NTV.ru გადადის "გაზპრომ-მედიას" საკუთრებაში. შესაბამისად, უახლოეს მომავალში ამ მისამართის მეშვეობით შესაძლებელი იქნება ტელეკომპანია "ენტევეს" ოფიციალურ საიტზე მოხვედრა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში გაერო-ს კვირეულის ფარგლებში დაიწყო ადგილობრივი ფერმერების მიერ წარმოებული ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა. ეს გამოფენა ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის რეკლამირების მიზნით ტარდება. "აუცილებლია, ეს პროდუქცია ვაწარმოოთ, ვინაიდან ის ყველაზე კონკურენტუნარიანი და მოსახლეობისათვის უსაფრთხოა," - განაცხადა სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა დავით კირვალიძემ.

თავის მხრივ, გაერო-ს წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა ლანს კლარკმა აღნიშნა, რომ აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მიღება, რათა განვითარდეს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება. "ამისათვის საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ამ ტიპის პროდუქტის რეგისტრაციისა და ლიცენზირებისათვის," - განაცხადა მან. ***"კავკას-პრესი"***

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანთან თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მსოფლიო ბანკმა 531 მილიონი დოლარი გამოჰყო. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ფარხად ალიევმა ჟურნალისტებს განუცხდა, ამჟამად ძირითადი მუშობა სიღარიბის შემცირების პროგრამის შემუშავებაზე მიმდინარეობს. პროგრამის შემუშავება თითქმის დამთავრებულია, მალე შედგება საბოლოო ვარიანტის განხილვა.

დოკუმენტში "საერთაშორსო სტანდარტების შესახებ" განსაზღვრულია სიღარიბის ზღვარი - ადამიანზე 120 ათასი მანათი თვეში. ამ მაჩვენებლის მიხედვით, მოსახლეობის 49 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ალიევმა აღნიშნა, რომ, სამწლიანი პროგრამის ფარგლებში, მთავრობა ქვეყანაში ცხოვრების დონის ცოტათი მაინც გაუმჯობესებას აპირებს.

ალიევის თქმით, მსოფლიო ბანკმა მხარი დაუჭირა 2003 წლის მარტში ბაქოში საერთაშორისო კონფერენციის ჩატარებას საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ***"კავკას-პრესი"***

■ ■ ■

**მოსკოვი.** 21-23 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართება დსთ-ს ქვეყნების სათბობ-ენერგეტიკის მინისტრების შეხვედრა. იგი ჩატარდება კიშინიოვის სამიტის გადაწყვეტილებათა თანახმად, სადაც დსთ-ს ქვეყნების პრეზიდენტებმა პრიორიტეტად მიიჩნიეს სათბობ-ენერგეტიკული სისტემების თანამშრომლობა, როგორც ეკონომიკური ურთიერთობების წინაპირობა.

22 ოქტომბერს შედგება შეხვედრა რუსეთის ენერგეტიკის მინისტრს იგორ იუსუპოვსა და საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას შორის, სადაც განიხილება ორ ქვეყანას შორის სათბობ-ენერგეტიკის სფეროში გასაფორმებელი ხელშეკრულების საკითხი. ***"24 საათი"***

■ ■ ■

**რუსთავი.** რუსთავის მერმა მერაბ ტყეშელაშვილმა, ქალაქში ათეულობით უკანონოდ მიმდინარე მშენებლობის გამო, „არქმშენინსპექციის" ქვემო ქართლის განყოფილების უფროსი გივი მაზმიშვილი გააკრიტიკა.

მერის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია მეგობრობის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ შენობაზე უნებართვოდ განხორციელებულმა მიშენებამ, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, სამორინეს სველი წერტილი უნდა იყოს.

გივი მაზმიშვილის განცხადებით, სამორინეს ოფიციალური მეპატრონის ვინაობა მისთვის უცნობია, მაგრამ ოქმი მშენებლობის შეჩერების თაობაზე უკვე შედგენილია, თუმცა, როგორც მაზმიშვილისთვის გახდა ცნობილი, მეპატრონე უნებართვო მიშენების დანგრევას არ აპირებს, რის გამოც „არქმშენინსპექცია" საჯარიმო სანქციის (2.000 ლარის ოდენობით) დაკისრებას ან სასამართლოს გზით მშენებლობის დაუყოვნებლივ შეჩერებას მოითხოვს.

მაზმიშვილის თქმით, იგი დარწმუნებული იყო, რომ სამორინეს პროექტი რუსთავის არქიტექტორთან მალხაზ ჯეირანაშვილთან და რუსთავის მერთან მერაბ ტყეშელაშვილთან იყო შეთანხმებული, სწორედ ამიტომ მაზმიშვილისთვის გაუგებარია, რატომ მისცა მას შენიშვნა ქალაქის მერმა.

როგორც არაოფიციალური წყაროებით გახდა ცნობილი, ზემოაღნიშნული სამორინე ტყეშელაშვილთან დაახლოებულ ერთ-ერთ პირს ეკუთვნის, თუმცა საჯარო რეესტრში ოფიციალური მეპატრონე არსად არის დაფიქსირებული. უნებართვო მშენებლობა კი რუსთავის ცენტრალურ მაგისტრალზე ხორციელდება და ტროტუარზე ფეხით მოსიარულეთა გადაადგილებას აფერხებს. ***"მედია-ნიუსი"***

**ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 15 - 21 ოქტომბრის მდგომარეობით**




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6467 | 0.629 | 0.0052 |
| US$ | 1.5462 | | 0.972 | 0.008 |
| €uro | 1.5895 | 1.0288 | | 0.0082 |
| ¥en | 194.09 | 125.56 | 122.05 | |

**2002 წლის 21 ოქტომბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1105 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3584 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4373 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1751 | ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3162 | ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1736 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0687 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4443 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2384 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0816 | ლარი |

# პარლამენტი მთავრობის დასასჯელად ემზადება

## დეპუტატები საბიუჯეტო კრიზისმა შეაშფოთა


*ვანო მერაბიშვილი*


*დემურ გიორხელიძე*


*ავთანდილ ჯორბენაძე*


*მიხეილ მაჭავარიანი*


*გიორგი ისაკაძე*

პირველი გვერდიდან

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საკანონმდებლო ხელისუფლება არ აპირებს, შეეგუოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის მუდმივი შეუსრულებლობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას. პარლამენტარების უკმაყოფილებას ისიც ზრდის, რომ რამდენიმე თვის წინ, როცა ავთანდილ ჯორბენაძე საკანონმდებლო ორგანოში ბიუჯეტის ოთხი თვის შედეგებით წარსდგა, პირობა დადო, რომ არათუ შეასრულებდა ბიუჯეტს, არამედ გადააჭარბებდა კიდეც. თუმცა, ჯორბენაძემ პირობა ვერ შეასრულა და, შესაბამისად, პარლამენტარების დიდი ნაწილის აზრით, მისი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს. მეტიც, ფრაქცია "ახალი მემარჯვენეები" სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის ინიციატივითაც გამოდის. როგორც "ახლების" ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს, სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის დასაყენებლად სერიოზული მიზეზები არსებობს. პირველი - ეს გახლავთ ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც არ შესრულდა და მეორე, სახელმწიფო მინისტრის მხრიდან სახელმწიფო სახსრების არამიზნობრივი ხარჯვა. როგორც გამყრელიძე აცხადებს, ჯორბენაძე სახელმწიფოს კუთვნილ თანხებს თავისი პარტიის - "მოქალაქეთა კავშირის" პოპულარიზაციისათვის იყენებს. "მემარჯვენეები" ასახელებენ ავთანდილ ჯორბენაძის ვიზიტებს კოდორის, პანკისისა და ლიახვის ხეობაში, სადაც იგი სახელმწიფო მინისტრის რანგში იმყოფებოდა, თუმცა, ამასთანავე, "მოქალაქეთა კავშირის" რაიონულ ორგანიზაციებსაც აფუძნებდა.

"ახალი მემარჯვენეების" ინიციატივას უერთდებიან "ტრადიციონალისტები", "გაერთიანებული დემოკრატები" და "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" ("ნაციონალური მოძრაობა"). როგორც "ნაციონალების" ერთ-ერთი ლიდერი ვანო მერაბიშვილი აცხადებს, ისინი არა მარტო სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტს, არამედ, საერთოდ, მთავრობის ნებისმიერი წევრის გადაყენების საკითხს დაუჭერენ მხარს. **"თუმცა, ეს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ნაკლებად შეცვლის, რადგან მთავარი დამნაშავე არის პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელსაც არც სურვილი აქვს და არც საშუალება, რომ დაუპირისპირდეს იმ კლანებსა და ოლიგარქებს, რომელთა ხელშიცაა დღეს ქართული ეკონომიკა,"** – აცხადებს მერაბიშვილი.

სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის საკითხის დაყენებას აუცილებლად მიიჩნევს "გაერთიანებული დემოკრატების" წევრი მიხეილ მაჭავარიანიც. იგი აგრეთვე აცხადებს, რომ არა მარტო ჯორბენაძის, არამედ ბიუჯეტის შესრულებაზე პასუხისმგებელი სამინისტროების პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხიც უნდა დადგეს. მიხეილ მაჭავარიანი იმედოვნებს, რომ პარლამენტის ზოგიერთი ოპოზიციური ფრაქცია არ გამოიყენებს სირაქლემას მრავალნაცად პოზას და მთავრობის კრიტიკას, ამჯერად, ისინიც შეუერთდებიან.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის დემურ გიორხელიძის განცხადებით, საქართველოში განხორციელებულ საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკაში უამრავი სერიოზული შეცდომაა დაშვებული. ამას ემატება მთავრობის პირველი პირების უპასუხისმგებლობა და არაპროფესიონალიზმი, შედეგი კი ქვეყანაში არსებული ღრმა საბიუჯეტო კრიზისია, რაც მთლიან ეკონომიკურ კრიზისში გადადის. გიორხელიძის აზრით, ლარის კურსის შენარჩუნების შემდეგ, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. გიორხელიძის კომიტეტი მომავალ კვირას მწვავე კრიტიკულ გამოსვლებს გეგმავს სახელმწიფო ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

ბიუჯეტის გარღვევაზე კრიტიკულ მოხსენებას გააკეთებს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძეც.

საინტერესოა, როგორი შემართებით მიდიან სახელმწიფო მოხელეები მათდამი საკმაოდ კრიტიკულად განწყობილ კანონმდებლებთან შესახვედრად. როგორც სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე აცხადებს, ისინი, ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, მზად არიან, პარლამენტარების პრეტენზიები მოისმინონ და ბიუჯეტის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით საკუთარი არგუმენტებიც წარადგინონ. ისაკაძე ბიუჯეტის დეფიციტის მთავარ მიზეზებად მიუღებელ გრანტებს, აჭარიდან გადმოურიცხავ საბაჟო-საგადასახადო შემოსავლებსა და არასაგადასახადო შემოსავლების ამოუღებლობას ასახელებს. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე აცხადებს, რომ წლევანდელ ბიუჯეტში, შესრულების მხრივ, უფრო მეტი წინსვლაა, ვიდრე შარშან იყო.

ასე რომ, მთავრობისა და პარლამენტის პოზიციები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. მომავალ კვირაში გამოჩნდება, დარჩებიან თუ არა პარლამენტარები ისეთივე უკომპრომისოები, როგორც ახლა არიან, ან შეძლებს თუ არა პარლამენტში მისული სახელმწიფო მინისტრი ბიუჯეტის შეუსრულებლობის ობიექტური მიზეზებით დეპუტატების დარწმუნებას.

# ანტიმონოპოლიური სამსახური ახალი მონოპოლისტების დასახელებას აპირებს

## მონოპოლისტები ბაზარზე პოზიციების დათმობას არ აპირებენ

სოფიკო ოხანაშვილი

*ნოემბრის დასაწყისში ახალი მონოპოლისტების ვინაობა გახდება ცნობილი. ადრე დასახელებული მონოპოლისტები კი ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ურთიერთობებს კვლავ სასამართლოებში არკვევენ.*

ანტიმონოპოლიური სამსახური, ბაზრების შესწავლის შემდეგ, წელიწადში ორჯერ ასახელებს მონოპოლისტების ვინაობას; ოქტომბერ-ნოემბერში და თებერვალ-მარტში. 2002 წლის თებერვალ-მარტში ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად, ცხრა მონოპოლისტი გამოვლინდა, ნოემბერში ძველ სიას კიდევ ექვსი მონოპოლისტი დაემატება. ორი ეტაპის ჯამში, შესწავლილ იქნა 27 ბაზარი, რის შედეგადაც გამოვლინდნენ მონოპოლისტები.

რაც შეეხება ახალი მონოპოლისტების ვინაობას, ამ ეტაპზე, ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი არმაზ თავაძე თავს იკავებს მათი დასახელებისგან. თუმცა, გაზეთ "24 საათთან" საუბარში მან რამდენიმე ახალი შესწავლილი ბაზარი დაასახელა. არმაზ თავაძის თქმით, განახლებულ სიაში სპირტის, კომპიუტერული ტექნიკის, ბავშვის კვებისა და ჰიგიენის, ფქვილის, მარილის, მაკარონი-ვერმიშელის, მაიონეზის, საშენი მასალებისა და საღეჭი რეზინის ბაზრების მონოპოლისტებიც იქნებიან. **"ყოველ გამოცხადებაზე ჩვენ, მინიმუმ, ბაზრის ათ მონოპოლისტს ვასახელებთ. მათ შორის იქნებიან როგორც ძველი, ასევე ახალი მონოპოლისტები",** - განაცხადა ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსმა.

ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ მინიჭებული მონოპოლისტის "ტიტული" რამდენიმე მსხვილმა კომპანიამ გააპროტესტა, მათ შორის "მონოპოლისტობა" პირველად "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ" უარყო და გაზაფხულზე სასამართლოში სარჩელი შეიტანა იმ ბრძანებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ეს კომპანია ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა მონოპოლისტ საწარმოთა რეესტრში შეიყვანა.

ამ საქმის შესწავლა თავდაპირველად მთაწმინდა–კრწანისის რაიონულმა სასამართლომ დაიწყო, შემდეგ საოლქო სასამართლოს გადაეცა, ბოლოს, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ საკითხის განხილვა ისევ პირველ ინსტანციას დაევალა, ასე რომ, სექტემბერში განახლებულ პროცესს კვლავ მთაწმინდა–კრწანისის რაიონული სასამართლო შეეჭიდა. ამ საქმის განხილვა ახლაც გრძელდება.

მომჩივანი კომპანიის მიზანია, გაარკვიოს, თუ რა პრინციპით და მეთოდებით ხელმძღვანელობდა ანტიმონოპოლიური სამსახური, როცა კომპანია მონოპოლისტ საწარმოთა რიცხვში დაასახელა.

არმაზ თავაძის ინფორმაციით, "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას" ახალი მომჩივანიც დაემატა, რომლის ვინაობას ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი, ჯერჯერობით, არ ასახელებს.

# რას მოიტანს მაკონტროლებელი სამსახურების რაოდენობის შემცირება?

გიორგი კალანდაძე

*სახელმწიფო მაკონტროლებელი სამსახურების ნუსხა უახლოეს მომავალში, შესაძლოა, შეიკვეცოს. ამჟამად იუსტიციის სამინისტროში რეგისტრირებულია 63 მაკონტროლებელი უწყება. ზოგიერთი მათგანის გაუქმებას საქართველოს პრეზიდენტის ანტიკორუფციული საბჭო ითხოვს. იუსტიციის სამინისტროში მომზადებული კანონპროექტი მთავრობას ერთ კვირაში წარედგინება.*

საქართველოს ხელისუფლებამ მაკონტროლებელი სამსახურების ფუნქციათა შეზღუდვისკენ პირველი ნაბიჯი "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონის მიღებით გადადგა. ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გია გეწაძე აცხადებს, რომ ამ კანონმა თავისი ფუნქცია შეასრულა და დღეს მაკონტროლებლები ისე თავისუფლად ველარ აწუხებენ მეწარმეებს, როგორც ამას კანონის მიღებამდე ახერხებდნენ. ამჟამად, მაკონტროლებლებს, საწარმოებში შემოწმების მიზნით შესასვლელად, სასამართლოს ნებართვა სჭირდებათ. გია გეწაძე აღნიშნავს, რომ ახალი კანონპროექტით, რომელიც მაკონტროლებელთა რაოდენობის შემცირებას ითვალისწინებს, მეტწილად, მცირე და საშუალო მეწარმეთა უფლებები იქნება დაცული, რადგან, მისი თქმით, **"მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს მაკონტროლებლებთან ურთიერთობა არც არასდროს უჭირდათ."**

კანონპროექტი "მაკონტროლებელი ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნისა და კონტროლის შესახებ" იუსტიციის სამინისტროში მომზადდა. იგი ანტიკორუფციულმა საბჭომ უკვე განიხილა და მოამზადა კონკრეტული წინადადებები მაკონტროლებელ ორგანოთა რაოდენობის ოპტიმიზაციისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ.

ანტიკორუფციული საბჭო, პირველ ეტაპზე, შემდეგი სტრუქტურული ცვლილების განხორციელებას უჭერს მხარს: მაკონტროლებლების ფუნქციათა დუბლირების აღმოფხვრის მიზნით, ცალსახად უნდა განისაზღვროს, რომ საწარმოო უსაფრთხოების კონტროლს ახორციელებენ მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს საწარმოო უსაფრთხოების ინსპექცია და ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო; ამასთან, იმ სუბიექტებზე, რომელსაც შეამოწმებს ნავთობისა და გაზის მარეგულირებელი სახელმწიფო სააგენტო, საწარმოო უსაფრთხოების სახელმწიფო ინსპექციას აღარ ექნება უფლება, განახორციელოს კონტროლის ღონისძიებანი და პირიქით. შესაბამისად, ტექნიკური უსაფრთხოების კონტროლის უფლება უნდა ჩამოერთვას ყველა სხვა სტრუქტურას; უნდა გაუქმდეს ფასების სახელმწიფო ინსპექცია; სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროში უნდა გაერთიანდეს ფიტოსანიტარული და ვეტერინარული კონტროლის სამსახურები. მოგვიანებით კი, განხილულ უნდა იქნას კონტროლის კონკრეტული ფორმის არსებობის აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის საკითხი.

"სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონის მიხედვით, **"მაკონტროლებელი ორგანო უფლებამოსილია, კონტროლი გაუწიოს სამეწარმეო საქმიანობას (მათ შორის, შევიდეს საწარმოში, მოითხოვოს დოკუმენტები, შეაჩეროს საწარმოს საქმიანობა, დალუქოს მეწარმის კუთვნილი ქონება, დაათვალიეროს საწარმო, შეამოწმოს მეწარმის მიერ გამოშვებული ნაწარმის ხარისხი ან საწარმოში გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან შესაბამისობა) მხოლოდ მოსამართლის ბრძანების საფუძველზე."**

ანტიკორუფციული საბჭოს წევრი გია გეწაძე აღნიშნავს, რომ ახალ კანონპროექტს წინააღმდეგობა შეხვდება როგორც მთავრობაში, ასევე პარლამენტში.

**"მე არ ვიზიარებ მოსაზრებას, რომ პარლამენტის მიერ "სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" კანონისა და, ამ კანონის ბაზაზე, პრეზიდენტის მიერ გამოცემული ბრძანებულებებით რაიმე შედეგი მივიღეთ,"** – მიიჩნევს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარე დავით სალარიძე. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად, კომიტეტის თავმჯდომარეს თბილისში, გარე ვაჭრობის სფეროში არსებული მდგომარეობა მოჰყავს. მისი თქმით, თბილისის ქუჩებში, სულ მცირე, 30 ათასიდან 50 ათასამდე ადამიანი ვაჭრობს. **"თითოეული მათგანიდან ყოველდღიურად ერთი ლარის აკრეფის შემთხვევაში, მინიმუმ, 30 ათასი ლარი გროვდება, რომელიც მაკონტროლებლებზე ნაწილდება. ეს თანხა ბიუჯეტამდე არ მიდის. იზრდება მხოლოდ ჯიბის შემოსავლები,"** – აცხადებს დავით სალარიძე. მისი თქმით, ყველა გადაწყვეტილება მაკონტროლებლების რაოდენობისა თუ ფუნქციების შემცირების თაობაზე სპონტანურად, მოუფიქრებლადაა მიღებული. **"თავად იდეა უაღრესად კეთილშობილურია, თუმცა, მიმაჩნია, რომ პრეზიდენტისთვის მხოლოდ იდეების მიწოდება შედეგს არ მოიტანს",** - აღნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე და შენიშნავს, რომ ასეთი სერიოზული გადაწყვეტილების მიღებისას სახელისუფლებო სტრუქტურებს კომპეტენცია არ ჰყოფნით. მისი თქმით, **"სამეწარმეო გარემოს შემსუბუქების თვალსაზრისით აქამდე მიღებულმა ყველა გადაწყვეტილებამ ეფექტი ვერ მოიტანა."**

ანტიკორუფციულ საბჭოში კი მიიჩნევენ, რომ მათ მიერ შემუშავებული სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ახალი სისტემის აგების შემთხვევაში, კონტროლის უფლება ერთდროულად ექნება მხოლოდ ექვს, მაქსიმუმ, შვიდ მაკონტროლებელ ორგანოს.

# გასული კვირა მსოფლიო პოლიტიკაში

შოთა უტიაშვილი

21-ე საუკუნის მსოფლიოს ორი დიდი საფრთხე – ტერორიზმი და მასობრივი განადგურების (ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური) იარაღი ემუქრება, – ამტკიცებდნენ მეცნიერები და ექსპერტები, – და ერთი ძალიან დიდი – მასობრივი განადგურების იარაღი ტერორისტის ხელში.

გასული კვირის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღს უკავშირდება, თუმცა, პირიქითაც შეიძლება ითქვას, ყველაფერი, რაც ტერორიზმსა და მასობრივი განადგურების იარაღს უკავშირდება, ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია.

■ ■ ■

თუ მუდმივად ცხელ წერტილებს - პალესტინასა და ჩეჩნეთს არ ჩავთვლით, გასულ კვირაში სამი დიდი ტერაქტი მოხდა: ინდონეზიაში, კუნძულ ბალიზე, ფილიპინებზე, ქალაქ ზამბოანაში და ფინეთში. "ღმერთების კუნძულზე" ღამის კლუბში მომხდარი აფეთქება მათგან ყველაზე ტრაგიკული იყო. დაღუპულთა რაოდენობამ, რომელთა შორის სამი მეოთხედი უცხოელები იყვნენ, ორასს გადააჭარბა. ტერაქტის ჩამდენთა ზუსტი ვინაობა ჯერაც უცნობია, მაგრამ გამომძიებელთა მტკიცებით, ყველა კვალი "ალ ქაიდასა" და მისი ადგილობრივი "ფილიალის" – "ჯემაა ისლამიასკენ" მიდის. ამ უკანასკნელის სულიერი ლიდერი დააკავეს. პოლიცია აცხადებს, რომ ასაფეთქებელი მასალა "ალ ქაიდას" ფულით იქნა შეძენილი.

ზუსტად არავინ იცის, რამდენად ძლიერი და სიცოცხლისუნარიანია ახლა "ალ ქაიდა." ცხადია, რომ მის წინააღმდეგ მიმართულ საერთაშორისო კამპანიას ამაოდ არ ჩაუვლია, მაგრამ ავღანეთიდან გაძევების შემდეგ, ამ ორგანიზაციამ მოახერხა ტუნისში გერმანელი ტურისტებით სავსე სინაგოგის აფეთქება, იემენის სანაპიროებთან ფრანგული ტანკერის დაწვა და ატლანტიკის თავზე სამგზავრო ლაინერის ჩამოგდებაც სცადა. ექსპერტების მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ "ალ ქაიდას" 11 სექტემბრის მსგავსი ტერაქტების მოწყობა აღარ ძალუძს, ამგვარი პატარ-პატარა სიურპრიზების შემოთავაზება ჯერ კიდევ შეუძლია, სხვათა შორის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზეც. "მოსადის" თქმით, ყაზახეთის უშიშროების სამსახურებმა აღკვეთეს ისრაელის საელჩოს წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტი.

ბოლო ხანს ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ანტიტერორისტული კამპანია, რეალურად, მხოლოდ ამრავლებს ტერორისტებს, რადგან მუსულმანებს შორის ანტიქრისტიანულ, ანტიდასავლურ თუ ანტიამერიკულ განწყობებს აძლიერებს. თუმცა, ეს არგუმენტი, ჯერჯერობით, არცთუ დამაჯერებლად გამოიყურება. დღეისათვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის მთავრობას, რომელსაც ამის სურვილი აქვს, შეუძლია საკუთარ ტერიტორიაზე ტერორიზმის აღკვეთა. ბევრი ფიქრობს, რომ ტერორისტი არ არის მხოლოდ გაბრაზებული მუსულმანი. ტერორისტული ორგანიზაცია – ეს გახლავთ მთელი ინფრასტრუქტურა, რომელსაც აქვს თავისი ქცევის წესები, ტერიტორია, რომელზეც მეტ-ნაკლებად თავისუფლად მოქმედება შეუძლია და კონკრეტული პოლიტიკური მიზნები.

თუ ტერორისტული ორგანიზაცია ამ ყველაფერს დაჰკარგავს, მის წევრებს შეუძლიათ, როგორც უნდათ, ისე "გაბრაზდნენ", მათ დიდი ზიანის მოტანა აღარ შეეძლებათ.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ბალის აფეთქება. ამ ტრაგედიამდე ჯაკარტა კატეგორიულად გამორიცხავდა ქვეყანაში ტერორიზმისა და რელიგიური ექსტრემიზმის არსებობას. დასავლეთი ინდონეზიას საყვედურობდა, რომ, მთავრობის "სირაქლემის პოლიტიკის" გამო, ქვეყანა ტერორისტების თავშესაფრად იქცა. ახლა მთავრობა აცხადებს, რომ ყველა ტერორისტსა და მათ ხელშემწყობს ულაპარაკოდ სიკვდილით დასჯა ელის.

საყურადღებო მაგალითია ავღანეთიც. თუ ტერორიზმს სადმე უნდა მიეღწია აპოგეისთვის, ეს სწორედ ავღანეთი უნდა ყოფილიყო, მას შემდეგ, რაც იქ ამერიკელები შევიდნენ. ქვეყანაში იყვნენ რადიკალი ისლამისტებიც, იყო დიდძალი იარაღიც, დამარცხებით გამოწვეული იმედგაცრუებაც და უამრავი შიდა თუ გარე პოლიტიკური ძალა, რომელიც სიამოვნებით აამღვრევდა წყალს. თუმცა, ჯერჯერობით, ავღანური ტერორიზმი ყარზაიზე თავდასხმის რამდენიმე მცდელობით შემოიფარგლება.

და, სხვათა შორის, არც საქართველოს მთავრობის მიერ პანკისში წესრიგის დამყარების მცდელობას გამოუწვევია "განრისხებული და სასოწარკვეთილი" ტერორისტების მიერ თბილისში შენობების აფეთქება.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, რომლებშიც მთავრობა აცხადებს, რომ ტერორისტებს ვერაფერს უხერხებს, ანუ ეს უკანასკნელნი, ფაქტობრივად, პოლიტიკურ ძალად არიან ქცეულნი (კოლუმბია, ჩეჩნეთი, ფილიპინები), აქ ტერორიზმის საფრთხე, ძირითადად, ქვეყნის შიგნით არის მიმართული.

ანუ, ის მოსაზრება, რომ ტერორიზმთან ბრძოლა, პრინციპში, შეუძლებელია და ამერიკა ამის იმიტაციას მხოლოდ მსოფლიო ბატონობის დასამყარებლად აკეთებს, მცდარია. თუმცა, ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აშშ-ს ერთადერთი მიზანი ტერორიზმთან ბრძოლაა.

■ ■ ■

რაც შეეხება მეორე მთავარ საფრთხეს – მასობრივი განადგურების იარაღს - გასულ კვირას ჩრდილოეთ კორეამ აღიარა, რომ, 1994 წელს დადებული პირობის მიუხედავად, აგრძელებს ბირთვულ იარაღზე მუშაობას. ოღონდ, აღიარა არა საკუთარი ინიციატივით, არამედ მხოლოდ მას შემდეგ, რაც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ - კელიმ უტყუარი მტკიცებულებები წარუდგინა. ფხენიანმა განაცხადა, რომ, თუ მოხერხდება აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება, იგი მზად არის, უარი თქვას ბირთვული იარაღის პროგრამაზე. ამაზე ვაშინგტონი არ წავიდა. ამერიკელებმა კორეისაგან ატომური იარაღის შექმნის შეწყვეტა უპირობოდ მოითხოვეს.

მართალია, ბირთვული იარაღის პროგრამა, ერაყის შემთხვევაში, ამერიკელებისათვის ომის საბაბს წარმოადგენს, მაგრამ თითქმის არავინ ვარაუდობს, რომ ამავე მიზეზით ამერიკა ჩრდილოეთ კორეასთანაც დაიწყებს ომს (მიუხედავად იმისა, რომ ორივე ქვეყანა "ბოროტების ღერძად" ითვლება). ჯერ ერთი, ამ ქვეყანას მილიონიანი არმია ჰყავს და საკმაოდ დიდი სარაკეტო არსენალიც გააჩნია, რომლითაც, შეიძლება, ამერიკას ვერაფერი დააკლოს, მაგრამ მის ერთ-ერთ უახლოეს მოკავშირეს - სამხრეთ კორეას სერიოზულ ზიანს მიაყენებს. მეორე და მნიშვნელოვანი მიზეზი: ჩრდილოეთ კორეის სამხედრო ოკუპაცია იმას ნიშნავს, რომ წლობით უნდა გამოკვებო 25 მილიონი მშიერი კორეელი, რომლებიც ამჟამად დღეში 200 გრამი ბრინჯით სულდგმულობენ და ომის შემთხვევაში ესეც აღარ ექნებათ. თანაც, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის თითქმის ყველა ექსპერტი ვარაუდობს, რომ ორი კორეის მშვიდობიანი გაერთიანება მხოლოდ დროის საქმეა. სამხრეთ კორეის მთავრობაში "გაერთიანების მინისტრის" პოსტიც კი არსებობს. რეუნიფიკაცია თავისთავად მოხსნის ფხენიანისა და მისი იარაღის პრობლემას.

■ ■ ■

გასული კვირის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ისიც, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოზე ერაყთან დაკავშირებით კომპრომისის კონტურები გამოიკვეთა. ამერიკელებმა უკან წაიღეს რეზოლუციის პირველი პროექტი, რომელიც ერაყის მიერ ინსპექტირების რეჟიმის დარღვევის პირველსავე შემთხვევაში, მათ, ფაქტობრივად, ომის დაწყების უფლებას აძლევდა. როგორც ჩანს, კომპრომისზე წავლენ ფრანგებიც, რომლებიც ორი რეზოლუციის მომხრენი იყვნენ.

მიუხედავად ამისა, ცოტა ვინმეს თუ ეპარება ეჭვი, რომ ჰუსეინის რეჟიმს, მიუხედავად იმისა, რომ მან მსოფლიო რეკორდი დაამყარა და პრეზიდენტისთვის ხმათა 100 პროცენტის მოგროვება მოახერხა, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ უწერია.

იმის შესახებ, თუ რამდენად ლეგიტიმური იქნება ამერიკის სამხედრო აქცია ერაყში, უამრავი მოსაზრება გამოითქვა. ბუშის მომხრენი მიიჩნევენ, რომ ჰუსეინი სისხლიანი ტირანია, რომელმაც დაიპყრო ერთი სუვერენული ქვეყანა (ქუვეითი), ომი გამოუცხადა მეორეს (ირანი), ორჯერ გამოიყენა ქიმიური იარაღი (ირანისა და ერაყელი ქურთების წინააღმდეგ), ქვეყანაში შექმნა სასტიკი დიქტატურა და ცდილობს ბირთვული იარაღის შექმნას. და კიდევ, ეზიზღება ამერიკა და ისრაელი. სანამ მთლად კაპიტოლიუმს არ აგვიფეთქებს, იქამდე ვერ უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ კაცის გაჩერება აღარ შეიძლება? - კითხულობენ ბუშის ბანაკიდან.

ამის საპასუხოდ, მეორე ბანაკი აცხადებს, რომ ჰუსეინი, შეიძლება, ყველაზე საშინელი დიქტატორიც იყოს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ გაერო-ს სანქციები მოქმედებს, იგი არათუ სხვა სახელმწიფოებს ველარ ემუქრება, საკუთარ ტერიტორიაზე, ქურთების წინააღმდეგაც კი უძლურია. მათი აზრით, არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ ერაყი აგრძელებს ბირთვულ იარაღაზე მუშაობას ან რაიმე კავშირი აქვს "ალ ქაიდასთან". გარდა ამისა, – ამბობენ ისინი, – სადამის წინააღმდეგ ყველა ბრალდება სწორიც რომ იყოს, რატომ უნდა დაამხოს იგი მაინცდამაინც ამერიკამ და რატომ უნდა ჩაიგდოს ხელში ეს სტრატეგიულადაც და ენერგეტიკულადაც უმნიშვნელოვანესი ქვეყანა?

კითხვაზე - რამდენად გამართლებულია ომი - ალბათ, ყველაზე სწორი პასუხი გასცა ცნობილმა ამერიკელმა ისტორიკოსმა ჯონ ლუის გედისმა თავის ამასწინანდელ სტატიაში. მისი თქმით, თუ ჰუსეინის დამხობის შემდეგ, ერაყში ამერიკელებს, როგორც განმათავისუფლებლებს, ისე შეხვდნენ, ესე იგი, ინტერვენცია გამართლებული იყო, ხოლო თუ ერაყელებმა ამერიკელები არ მიიღეს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ეს უსამართლო ომი გახლდათ. გედისი ავღანეთის მაგალითსაც იხსენებს, სადაც ომის ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი 11 სექტემბერს მოჰყვა, არამედ იმიტომაც, რომ თავად ავღანელებს თითქმის არ გაუწევიათ წინააღმდეგობა ამერიკელებისათვის.

■ ■ ■

ერაყის გამო სერიოზულ უსიამოვნებებში გაეხვა ჩვენი მეგობარი უკრაინაც. კუჩმას კაბინეტში გაკეთებული აუდიო ჩანაწერები მოწმობს, რომ კიევმა ერაყს 100 მილიონ დოლარად პასიური თვალთვალის სამი რადარი - "კალჩუგა" მიჰყიდა. ეს მოწყობილობა მოწინააღმდეგის თვითმფრინავს 1000 კილომეტრის სიშორეზეც კი აფიქსირებს. ამერიკელები აცხადებენ, რომ ჩანაწერების ნამდვილობაში ეჭვი არ ეპარებათ და, თუ გაყიდვის ფაქტი სხვა წყაროებითაც დადასტურდა, უკრაინის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს უნდა ველოდოთ.

უკრაინის პრეზიდენტს შიდა ფრონტზეც სერიოზული პრობლემები აქვს თავის ოპოზიციასთან, რომელიც სულ უფრო მრავალრიცხოვან დემონსტრაციებს აწყობს და პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვს. მართალია, ოპოზიციამ ჯერჯერობით არ იცის, რა გზებით უნდა მიაღწიოს მიზანს, მაგრამ პრეზიდენტიც ძალზე არასახარბიელო მდგომარეობაშია. მით უმეტეს, რომ მისი ყოფილი პირადი მცველი მელნიჩენკო ერთმანეთის მიყოლებით აქვეყნებს კუჩმას მაკომპრომეტირებელ ჩანაწერებს.

# სადამ ჰუსეინმა საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა

გუშინ ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ქვეყანაში საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა, რომელიც პოლიტპატიმრებსაც შეეხო. ასეთი ფორმით აღნიშნა ერაყელმა დიქტატორმა თავისი ასპროცენტიანი გამარჯვება ერაყში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც მას კონკურენტი არ ჰყავდა.

20 ოქტომბერს ერაყის რევოლუციური სარდლობის საბჭოს მიერ გამოცემული დეკრეტი ტელევიზიით პირდაპირ ეთერში ერაყის ინფორმაციის მინისტრმა საიდ ალ სახაფამ წაიკითხა. მასში ნათქვამია, რომ ერაყის ხელისუფლება საპყრობილეებიდან ათავისუფლებს ყველა პატიმარს და სამხედრო დეზერტირს; ასევე, თავისუფლება მიენიჭება ყველა სიკვდილმისჯილ პატიმარს. ამნისტიაში ერთადერთი გამონაკლისი არსებობს: კერძოდ, მკვლელობისათვის გასამართლებული პატიმრები გათავისუფლდებიან იმ შემთხვევაში, თუკი ამაზე თანხმობას მოკლულთა ნათესავები და ოჯახები განაცხადებენ. აღსანიშნავია, რომ ეს სადამ ჰუსეინის 23-წლიანი მმართველობის პერიოდში ერაყში გამოცემული პირველი ამნისტიაა. საერთაშორისო ექსპერტები ამ აქციას აშშ-ს მხრიდან მოახლოებულ სამხედრო საფრთხეს უკავშირებენ. ჰუსეინს ამ ეტაპზე, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ერაყელი ხალხის მხარდაჭერა.

# ისრაელის ხელისუფლება კომპრომისზე მიდის



პალესტინელები შარონის სურათებს საჯაროდ წვავენ.

ისრაელის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მზად არის, მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ჰებრონიდან თავისი ჯარების ეტაპობრივად გაყვანა დაიწყოს. თუმცა, ისრაელის არმიის ქვედანაყოფები კვლავ დარჩებიან ორ პალესტინურ ქალაქში, რომლებიც ებრაულ დასახლებულ პუნქტებს ესაზღვრება. "ბი-ბი-სის" კორესპონდენტის განცხადებით, ისრაელზე ძლიერი საერთაშორისო ზეწოლა ხორციელდება. დასავლეთი არიელ შარონს პალესტინური ტერიტორიებიდან ჯარების გაყვანას კატეგორიულად სთხოვს. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე, სადაც ისრაელის არმიის ქვედანაყოფების მიერ შვიდი პალესტინური დასახლებული პუნქტია ოკუპირებული. ამ ეტაპზე ისრაელის არმიამ მხოლოდ ქალაქი ბეთლემი დასტოვა. პალესტინურ ქალაქებში ძლიერი საპროტესტო გამოსვლები მიმდინარეობს. პალესტინელები თავიანთი ტერიტორიიდან ისრაელის ჯარების გაყვანას ითხოვენ.

## მოკლედ

**უკრაინა**. უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველმა მოადგილემ ვალერი ხოროშკოვსკიმ განაცხადა, რომ თანამშრომლობა უკრაინულ მხარესა და საერთაშორისო ექსპერტებს შორის, "კოლჩუგას" სისტემის შესაძლო გაყიდვის საკითხთან დაკავშირებით, "კონსტრუქციულ რეჟიმში" მიმდინარეობს.

"ჩვენ ამ საკითხის გასარკვევად ჩამოსულ ექსპერტებს ყველანაირ დახმარებას ვუწევთ", - განაცხადა ხოროშკოვსკიმ უკრაინის ტელეარხ ICTV-ით გამოსვლისას. მისი თქმით, უკრაინის მხარე ყველაფერს აკეთებს ექსპერტთა დასახმარებლად, იქნება ეს ამა თუ იმ ადგილების მონახულება, თუ ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიწოდება. უკრაინის ხელისუფლების მიზანია, დაარწმუნოს დასავლეთი, რომ კიევს ერაყისათვის არანაირი იარაღი არ გადაუცია.

საერთაშორისო ექსპერტები უკრაინაში 14 სექტემბრიდან მუშაობენ. მათი მისიის მიზანია, დაადგინონ, მიჰყიდა თუ არა ამ ქვეყნის ხელისუფლებამ ერაყს "კოლჩუგას" ტიპის სარადარო დანადგარები. თუ ეს ბრალდება დადასტურდა, უკრაინის პრეზიდენტ კუჩმას საერთაშორისო თანამეგობრობის რისხვა ელის, რასაც უკრაინის გაერთიანებული ოპოზიცია მოუთმენლად ელოდება.

■ ■ ■

**ირლანდია.** ირლანდიისა და ევროკავშირის პოლიტიკურმა ელიტამ, როგორც იქნა, შვებით ამოისუნთქა. ირლანდიაში 19 ოქტომბერს ჩატარებული რეფერენდუმის წინასწარი შედეგების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირის ნიცის ხელშეკრულებას დაუჭირა მხარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა ევროკავშირის შემდგომი გაფართოებისა და სტრუქტურული ცვლილებების საკითხი. გაურკვეველი პერიოდით გადაიდებოდა ევროკავშირში ახალი წევრების მიღება, რომლებიც ევროგაერთიანებას 2004 წელს უნდა შეუერთდნენ. ვითარებას კიდევ უფრო ართულებდა ის ფაქტი, რომ წინა რეფერენდუმზე ირლანდიელებმა ევროკავშირის ნიცის ხელშეკრულებას მხარი არ დაუჭირეს.

ამჟამად, წინასწარი მონაცემებით, რომელიც ირლანდიის შვიდი ყველაზე მსხვილი საარჩევნო ოლქის შედეგებს ეყრდნობა, ევროკავშირის გაფართოებას მხარი დაუჭირა ამომრჩეველთა 67 პროცენტმა. დამკვირვებლები ვარაუდობენ, რომ ეს მონაცემები დიდად აღარ შეიცვლება.

■ ■ ■

**ჩეჩნეთი.** ჩეჩნეთში დისლოცირებული რუსეთის ფედერალური 58-ე არმიის შტაბის წარმომადგენელთა განცხადებით, ფედერალებმა ჩეჩნეთ-ინგუშეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე ჩეჩენ მებრძოლთა ჯგუფის განადგურება შესძლეს. რუსეთის არმიის შტაბის მონაცემებით, ლიკვიდირებული ბოევიკები რამდენიმე ხნის წინ ინგუშეთის სოფელ გალაშკისთან ბრძოლებში მონაწილე ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის რაზმის წევრები იყვნენ. **"ამ ეტაპზე 58-ე არმიის ქვედანაყოფები აგრძელებენ სამხედრო ოპერაციას დარჩენილი ბოევიკების განადგურების მიზნით. ბლოკირებულია დასახლებული პუნქტი ბამუტი, სადაც ძებნითი ღონისძიებები ტარდება,"** - განაცხადა 58-ე არმიის შტაბის ხელმძღვანელმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩირკინმა. მისი ინფორმაციის თანახმად, ფედერალებმა გელაევის 200-კაციანი რაზმიდან ოთხმოც მებრძოლზე მეტის განადგურება შესძლეს.

■ ■ ■

**ფილიპინები.** ფილიპინების დედაქალაქ მანილაში პოლიციამ ტერორისტული დაჯგუფება "აბუ საიაფის" ერთ-ერთი გავლენიანი ლიდერის – მარკ ჰუმბაჰალის დაპატიმრება შესძლო. სამართალდამცავები ვარაუდობენ, რომ ის ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ტერაქტების აქტიური მონაწილეა. პოლიცია აპირებს, ჰუმბაჰალს ბრალი წაუყენოს 2000 წელს ოცდაერთი უცხოელი ტურისტის მძევლად აყვანაში. გარდა ამისა, სამართალდამცავების ხელთ არსებული ინფორმაციების თანახმად, ჰუმბაჰალი უშუალოდ ღებულობდა მონაწილეობას ორი მძევლისა და სამთავრობო ჯარების ცხრა ჯარისკაცის წამებასა და მკვლელობაში, მას შემდეგ, რაც ფილიპინების ხელსუფლებამ ტერორისტებს მძევლების გათავისუფლების სანაცვლოდ გამოსასყიდის გადახდაზე კატეგორიული უარი განუცხდა.

■ ■ ■

**სამხრეთ კორეა.** სამხრეთ კორეამ ჩრდილოეთ კორეის რესპუბლიკას ბირთვული შეიარაღების დაუყოვნებლივი შეწყვეტისა და აშშ-სთან ამ თემაზე მოლაპარაკებების გამართვისაკენ მოუწოდა. ოფიციალური ფხენიანის წარმომადგენელთა თქმით, მოლაპარაკებები ორ კორეას შორის საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ სეულის შეშფოთება ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების ოფიციალურმა აღიარებამ გამოიწვია, რომლის მიხედვითაც ფხენიანი ბირთვული იარაღის შესაქმნელად მუშაობას აქტიურად განაგრძობს. მოგვიანებით კი ვაშინგტონმა გაავრცელა განცხადება, რომ ჩრდილოეთ კორეის სამხედრო არსენალში უკვე ორი ატომური ბომბი ირიცხება.

ყოველივე ეს სამხრეთ კორეის შეშფოთების მიზეზად იქცა და სეულმა თავისი წარმომადგენლები მეზობელ სახელმწიფოში დაუყოვნებლივ გააგზავნა. სამხრეთ კორეის სამთავრობო დელეგაციას უნიფიკაციის მინისტრი ენ სეჰიუნი მეთაურობს. მან ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებით "ღრმა შეშფოთება" გამოხატა.

■ ■ ■

**ინდონეზია.** დიდ ბრიტანეთში გამომავალი ყოველკვირეული გამოცემის - "სანდი თაიმსის" ინფორმაციით, ინდონეზიის კუნძულ ბალიზე მომხადრი ტერაქტი ოსამა ბინ ლადენის მიერ იყო დაფინანსებული. ინგლისურმა გამოცემამ აღნიშნული ინფორმაცია აშშ-ს სპეცსამსახურების ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. სტატიის თანახმად, ბინ ლადენმა ტერორისტებს ამ სისხლიანი აქციის განსახორციელებლად 48 ათასი გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. ამ თანხით კი ტერორისტებმა დეტონატორები და რადიომართვადი მოწყობილობები შეიძინეს. "სანდი თაიმსის" ინკოგნიტო წყაროს თქმით, ასეთი ჩვენება აშშ-ის დაზვერვამ "ალ ქაიდას" ყოფილი წევრის და ამჟამად პატიმრობაში მყოფი პირისგან მიიღო.




*ვაჟა-ფშაველას N79-ში მდებარე ხუთსართულიანი კორპუსის გვერდით ერთი პატარა გაზონია, რომელსაც მთელი გულმოდგინებით ხუთავს ბორის სარქისიანის სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.*

*უკანონო მშენებლობა ვაჟა-ფშაველას N79-ში.*

# მთვარე არც ისე ბებერი ყოფილა

*ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბმა ოქტომბრისათვის უჩვეულოდ ცხელი დღე მეცნიერ გიორგი ბაღათურიას და მორწმუნეთა და ურწმუნოთა მარადიულ საკამათო საკითხს - სამყაროს შექმნის საიდუმლოს - ახსნას დაუთმო. რამდენიმე მეცნიერი ცდილობდა, პასუხი მოეძებნა შეკითხვისთვის: კრეაცია თუ ევოლუცია?..*

ლელა მარგიანი

ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ გიორგი ბაღათურიას კრედო ასეთია: „მინდა ათეისტებს ვესაუბრო და მათივე ენით დავუმტკიცო, რომ სამყარო შექმნილია ღმერთის მიერ". ამდენად, იგი აღიარებს კრეაციონიზმს - იდეალისტურ მიმართულებას ბიოლოგიაში, რომლის მიხედვითაც სამყაროს, დედამიწის, სიცოცხლის წარმოშობა, სამყაროს ფორმების მრავალფეროვნება ღვთის შემოქმედების შედეგია.

კრეაციისგან განსხვავებით, ევოლუცია გულისხმობს ბუნების უნარს განვითარდეს თავისთავად. მეცნიერმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ ევოლუციისათვის ორი პირობაა საჭირო - აუცილებელი და საკმარისი. აუცილებელი პირობაა - სამყარო არსებობდეს მრავალი მილიარდი წლის განმავლობაში. ზოგიერთი მეცნიერისთვის „მრავალი" - 4-5 მილიარდია, ზოგისთვის - 30. თუ აღმოჩნდება, რომ სამყარო არსებობს არა რამდენიმე მილიარდი, არამედ მხოლოდ რამდენიმე მილიონი წლის მანძილზე, მაშინ ევოლუციისთვის დრო აღარ რჩება.

მაგალითად, მეცნიერებაში მთვარის წარმოქმნის შესახებ სამი ჰიპოთეზა არსებობდა. ამერიკელებმა გააგზავნეს აპარატი მთვარეზე და მიაჩნდათ, რომ აპარატი იქ დაგროვებულ ოცი მეტრის სისქის კოსმოსურ მტვერში ჩაეფლობოდა. მტვერი კი რამდენიმე სანტიმეტრის სისქის ფენა აღმოჩნდა. მეცნიერებისთვის ეს იყო შოკი: ე.ი. მთვარე არც ისეთი ბებერი ყოფილა, როგორც „ეგონათ"! ამასვე ადასტურებს ის, რომ მთვარე კარგად გაციებული არაა და იქ მიწისქვეშა ბიძგები და მიწისძვრები ხდება. გიორგი ბაღათურიამ, თავის მოკლე მოხსენებაში, კიდევ რამდენიმე მაგალითი მოიტანა საკუთარი აზრის დასადასტურებლად: სამყარო შეიქმნა განგების ძალით, ზებუნებრივი ინტელექტის - ღმერთის მიერ.

დარბაზში დამსწრე ახალგაზრდა მეცნიერები რამდენჯერმე ჩაერთნენ მომხსენებელთან დისკუსიაში. საბოლოოდ, მოწინააღმდეგე მხარეები თავიანთ აზრებზე დარჩნენ, თუმცა ახალგაზრდა მეცნიერთა მცირე ნაწილმა მისაღებად მიიჩნია კამათის დროს გამოთქმული ის აზრი, რომ ევოლუცია მაინც არსებობს და ის ღვთის ნებაა. მიუხედავად ახალგაზრდების სურვილისა, რომ კამათი გაგრძელებულიყო, აზრთა შეჯერება, ან საბოლოო განაჩენის გამოტანა, „შემდეგისთვის" გადაიდო.

## მოკლედ

**თბილისი.** წლეულს 119 უცხოელმა გადაწყვიტა, საქართველოში ოჯახი შეექმნა. სწორედ ამ რაოდენობის უცხოელმა მიმართა საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს ნებართვისთვის - გააფორმოს ქორწინება. საქართველოში ოჯახის შექმნის მსურველთა შორის თითქმის თანაბრად არიან ქალები და მამაკაცები. უმრავლესობა აშშ-ს, უკრაინისა და ჰოლანდიის მოქალაქეა. წლის დასაწყისიდან იუსტიციის სამინისტროს მიმართა საქართველოს 1602 მოქალაქემ, რომლებმაც აიღეს ცნობა იმის შესახებ, რომ არ არსებობს მათი საზღვარგარეთ ქორწინებაში შესასვლელად დამაბრკოლებელი გარემოებები. სქესი აქაც თანაბრადაა წარმოდგენილი, თუმცა, ქვეყნების არეალი უფრო ფართოა. მათ შორის არის თურქეთი, რუსეთი, უკრაინა, საფრანგეთი, ბელგია, გერმანია, აშშ და სხვა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს საქართველოს დელეგაცია გაემგზავრება ლონდონში, სადაც 22 ოქტომბერს ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის ეკოლოგიური მონიტორინგი დაიწყება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიწვევით, ლონდონში შეიკრიბებიან: ბრითიშ პეტროლიუმის, მსოფლიო ბანკის, საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის, გარემოს დაცვის სამინისტროში მოქმედი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჰოლანდიურ-ქართული პროგრამის წარმომადგენლები. დელეგაციის შემადგენლობაში იქნება ასევე „მინისა და მინერალური წყლების კომპანიის" ხელმძღვანელი მამუკა ხაზარაძე. მისი ვიზიტი უკავშირდება ამ კომპანიის პრეტენზიებს ნავთობსადენის ბორჯომზე გატარებასთან დაკავშირებით. კომპანია მიიჩნევს, რომ მილსადენი ბორჯომის ტერიტორიაზე ეკოლოგიურ საფრთხეს შეუქმნის მინერალურ წყლებს. ლონდონში დელეგაციას შეუერთდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობაძე, რომელიც სამუშაო ვიზიტით იმყოფება ჩინეთში, სადაც გარემოს გლობალური ფონდის (JEF) ასამბლეის შეხვედრა მიმდინარეობს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარტვილის რაიონის პედაგოგთა ხელფასების დავალიანება 556 ათას ლარს აღემატება. რაიონის პედაგოგთა პროფკავშირების თავმჯდომარის ვივინა ძიძიგურის განცხადებით, მიმდინარე სასწავლო წელს მასწავლებლებმა მხოლოდ 2 თვის "გაყინული" ხელფასი მიიღეს, ბოლო სამი წლის განმავლობაში პერიოდულად გაუცემელი 9 თვის დავალიანება კი 556 ათას ლარს აღემატება. მისივე ინფორმაციით, ფერხდება სკოლების სათბობით მომარაგება. ადგილობრივ საკრებულოთა უმრავლესობა საგანმანათლებლო სტრუქტურებს მატერიალურად ვერ უზრუნველყოფს, რის გამოც ამ პრობლემაზე მშობელთა კომიტეტები ზრუნავენ. 19 ოქტომბერს სოფელ სერგიეთის საშუალო სკოლას 120 წელი შეუსრულდა. ამასთან დაკავშირებით, სკოლის სარემონტო სამუშაოები ამავე სკოლის სხვადასხვა თაობის კურსდამთავრებულებმა ითავეს და საიუბილეო შემოქმედებითი საღამოც გამართეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მცხეთა.** სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაღალმთიანი სოფლების სკოლებს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ინვენტარი არ ჰყოფნით, შენობები კი სავალალო მდგომარეობაშია. სამცხე-ჯავახეთის სასკოლო ოლქის სამმართველოს უფროსის მოადგილის გიორგი ივანიძის განცხადებით, ამ თვალსაზრისით პრობლემა არა აქვთ სომხურენოვან სკოლებსა და მოსწავლეებს, რომლებსაც სომხეთის ხელისუფლება აფინანსებს. სამცხე-ჯავახეთის 254 სკოლიდან 135 ქართულია. შარშან ამერიკულმა ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ „მერსი კორპმა" დაბა ასპინძის საშუალო და სოფელ მირაშხანის 8-წლიანი სკოლები გაარემონტა. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ამ რეგიონის პედაგოგთა ხელფასის დავალიანება 1.300 ათასი ლარია, რომლის გაცემა ეტაპობრივად, მაგრამ მაინც დაიწყო. ივანიძის თქმით, ქართული ენისადმი დაინტერესება ახალციხის რაიონში უკვე აშკარაა, რაც არ ითქმის ნინოწმინდისა და ახალქალაქის რაიონებზე. ნინოწმინდის რაიონში 39 სკოლიდან 4 ქართულია, 29 - სომხური, 3 - რუსული, 2 - რუსულ-სომხური და 1 - ქართულ-რუსულ-სომხური. ახალქალაქის რაიონში 69 სკოლიდან 8 ქართულია, 57 - სომხური, 1 - რუსული და 3 -ქართულ-სომხური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის არმაზ შამანაურის განცხადებით, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად, წლევანდელი ზამთარი რეგიონის მოსახლეობისთვის მძიმე იქნება; ელექტროენერგია სტაბილური, შვიდსაათიანი გრაფიკით მხოლოდ ქალაქ მცხეთას მიეწოდება. დანარჩენ რაიონებში კი გრაფიკის დაცვა ვერ ხერხდება. მისივე თქმით, ელექტროენერგიის მიწოდება გადახდის ადეკვატურია. გრაფიკი მცხეთის მოსახლეობასთან არის შეთანხმებული, რადგან, მისი გაზრდის შემთხვევაში, მცხეთელები მოხმარებული დენის საფასურს ვერ გადაიხდიან. ქალაქ მცხეთას ელექტროენერგია დილის 7 საათიდან 12-მდე, საღამოს კი 8-დან 10 საათამდე მიეწოდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** კახეთის რეგიონი რადიაქტიური ნივთიერებებისგან სუფთა აღმოჩნდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული სამსახურის უფროსის, სოსო კაკუშაძის განცხადებით, 10-დღიანი ექსპედიცია გუშინ დასრულდა და, პანკისის ხეობის გარდა, მან რეგიონის ყველა რაიონი მოიცვა. რამდენიმე დღეში ექსპედიცია რადიაქტიური ნივთიერებების ძებნას ქვემო ქართლში გააგრძელებს. შეგახსენებთ, რომ ექსპედიცია უკვე იმყოფებოდა სამცხე-ჯავახეთში, აჭარასა და სამეგრელოს რაიონებში. მაღალი გამოსხივების სტრონციუმ-90, რომლის პოვნაც ექსპედიციის ძირითადი მიზანია, ამ რეგიონებში არ აღმოჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2002 წლის ბოლოსთვის ქვეყნის რამდენიმე რეგიონში, მათ შორის, თბილისში, იმერეთსა და სამცხე-ჯავახეთში, შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდება. საქართველოში რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა, ბოლო მონაცემებით, 32.000 კაცს შეადგენს. უმუშევრობის დონე განსაკუთრებით მაღალია 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის. 2001 წლის მეოთხე კვარტლის მდგომარეობით, სამუშაოს რეგისტრირებულ მაძიებელთა რიცხვმა 113 ათას კაცს გადააჭარბა. მათგან 95 პროცენტი უმუშევარი იყო, ხოლო 3.126 კაცი შემწეობას იღებდა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ამირან გამყრელიძის ინფორმაციით, დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციის ფარგლებში, აღნიშნულ პერიოდში დასაქმების სახელმწიფო ფონდის განყოფილებამ 6.386 სამუშაოს მაძიებელი დაასაქმა, თუმცა, წლეულსაც, წინა წლების მსგავსად, აღრიცხული ვაკანსიების რაოდენობა რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რიცხვზე 13-14-ჯერ ნაკლებია. დევნილთათვის კვლევის სპეციალური პროგრამა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც იარსებებს. კვლევა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით განხორციელდება, მათ შორის, ჩატარდება იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, თბილისის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების შესაძლებლობებისა და მოსახლეობის პროფესიული ინტერესების, შრომითი ორიენტაციისა და სამუშაოსადმი წაყენებული მოთხოვნების მონიტორინგი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის განმავლობაში „ა" ჰეპატიტის 13 ახალი შემთხვევა დაფიქსირდა. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ამ დაავადების აფეთქება მოსალოდნელი იყო სექტემბერში, როცა სკოლებსა და ბაგა-ბაღებში ახალი სასწავლო წელი დაიწყო. საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარა ჩაილურში „ა" ჰეპატიტით სკოლის შვიდი მოსწავლე გახდა ავად. ერთი მათგანი ჰოსპიტალიზებულია, დანარჩენებს ამბულატორიული მკურნალობა უტარდება. ეპიდემიოლოგთა ინფორმაციით, დაავადება კონტაქტური გზით გავრცელდა. „ა" ჰეპატიტის ექვსი ახალი შემთხვევა აღინიშნა ადიგენში. სამი ავადმყოფი სკოლის მოსწავლეა. ამ შემთხვევაშიც დაავადება კონტაქტური გზით - ავადმყოფიდან ჯანმრთელ ადამიანზე გავრცელდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ცნობით, ორივე კერა დახურულია. კვირის ბოლოს ახალი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. **მედია-ნიუსი**

# წვრილმანი მსხვილმანები

## გასული კვირა - წვიმა, ახალი სახელმძღვანელო და სახელისუფლო ვოიაჟები

*ჩვენი პრეზიდენტის ბოლო საპარლამენტო გამოსვლის შემდეგ, რომელიც კიდევ დიდხანს დარჩება ადგილობრივ პოლიტიკოსთა ქილიკის საგნად, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოს ვიწროდ პოლიტიზებულ საზოგადოებრივ ცნობიერებას რამე შეაკრთობდა. შეაკრთო. ისეთი წვიმები მოვიდა, უნდოდა თუ არა, ხელისუფლებას უნდა გაეხსენებინა, რომ მისი ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა და არა ის, რაც უკვე კარგა ხანია ველარ იმალება გამოუსადეგარ ლოზუნგად ქცეული ამ სიტყვების უკან - თბილი კაბინეტებისთვის ბრძოლა.*

მაკა ჯაიანი

უხვნალექიანმა ქართულმა შემოდგომამ, ასევე უხვნალექიან ევროპულ ზაფხულს რომ მოჰყვა ფეხდაფეხ, მარტყოფში ორი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ათეულობით ადამიანი უსახლკაროდ დატოვა იქ თუ დედაქალაქში, დაანგრია ხიდები, ჩახერგა და დააზიანა გზები, წყალსაცავები, სანიაღვრეები... თბილისის მიწისძვრისა და ზაფხულის წყალდიდობის შემდეგ, საქართველოსთვის, რომელსაც აუცილებელი საჭიროებისთვის სახსრები არასდროს ჰყოფნის, ეს ნამდვილი ჩიხია. წინასწარი გათვლებით, ზარალი ათ მილიონამდე ლარს შეადგენს. ფული არ ჩანს.

დედაქალაქის მერმა ვანო ზოდელავამ გადაუღებელი წვიმის შედეგები ოთხშაბათს საკუთარი თვალით იხილა. მართალია, მერი განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილებს საცხოვრებელი ადგილების გამოცვლას იმ დღესვე შეჰპირდა, მაგრამ მისი შემოვლის ძირითადი მიზანი მაინც აყრილი ქუჩების საკითხის მოგვარება იყო. ამ კვირის ბოლოს ქალაქი თბილისობას ზეიმობს. 12 ყველაზე მეტად დაზიანებული ქუჩის აღდგენა სწორედ თბილისობისთვის არის დაგეგმილი. მათ რეაბილიტაციაზე, როგორც ამბობენ, მსოფლიო ბანკის თანხები იხარჯება.

მსოფლიო ბანკივე გამოყოფს 5 მილიონ დოლარს თბილისის მიწისძვრით დაზიანებული 100 სკოლისა და 22 საბავშვო ბაღის აღსადგენად. გაცილებით ნაკლებად, სულ 100.000 ლარად აპირებს იმავე მიზეზით მცხეთა-მთიანეთში დაზიანებული სკოლების აღდგენას პრეზიდენტის იქაური რწმუნებული. ამასაც - ცენტრალური ბიუჯეტიდან. საგანმანათლებლო თემატიკამ გასულ კვირას ერთგვარად წამოიწია. მერიამ ტენდერი გამოაცხადა ზამთრისთვის თბილისის სკოლების საწვავით მომმარაგებლის გამოსავლენად, რამდენიმე სკოლაში კი ახალი საგნის - საგზაო წესების სწავლება დაიწყება.

ამ ინიციატივით გამოვიდა არასამთავრობო ორგანიზაცია "პოლიციელი, მძღოლი, სამართალი". განათლების სამინისტროს მიერ მოწონებული 64-გვერდიანი ილუსტრირებული სახელმძღვანელოც მისი შემოქმედების ნაყოფია. ახალ საგანს სწავლებითაც ამ ორგანიზაციის წევრები ასწავლიან. მათ ითავეს თბილისელი მოსწავლეების ექსკურსიამძღოლობა მანქანებით გადატვირთულ ქუჩებში. ეს მაშინ გახდა ცნობილი, როცა ლეიბორისტ შალვა ნათელაშვილს მასწავლებლები ჰყავდა შეკრებილი და პოსტშევარდნაძისტულ საქართველოში უფასო ექსკურსიით დაატარებდა.

გაცილებით სერიოზული საქმეებით იყვნენ დაკავებული გასულ კვირას პედაგოგთა დამოუკიდებელი პროფკავშირების, "სოლიდარობის" წარმომადგენლები. ამერიკელ მასწავლებელთა ფედერაციის ფინანსური დახმარებით, ქუთაისში მათ დააარსეს პედაგოგთა დახმარების ფონდი „ურთიერთობისა და მეგობრობის სალარო" და პირველი სესხებიც გასცეს. ამ დროს თბილისში, სახელმწიფო კანცელარიის წინ, მრავალშვილიანი დედების ახალი ჯგუფი იყო შეკრებილი და მთავრობისგან, ერთჯერადი დახმარების სახით, 500-500 ლარის გაცემას ითხოვდნენ.

კუთვნილი ხელფასის მოთხოვნით, ისევ გაფიცვებით იმუქრებოდნენ ენერგეტიკოსები. გასულ კვირას ისიც გახდა ცნობილი, რომ საქართველოს ენერგოსისტემა მომავალ ზამთარს მოუმზადებელი ხვდება - „ელექტროგადაცემას" სარემონტო სამუშაოებისთვის ბიუჯეტიდან წლეულს არც ერთი ლარი არ მიუღია, რამდენიმე წელიწადია, კაპიტალურად არ შეკეთებულა ქვესადგურები, ელექტროგადაცემის ხაზები და სხვა დანადგარ-მოწყობილობები. სერიოზულადაა დაზიანებული მარნეულის, ხაშურის, ჭიათურის, სხვა ქვესადგურების შენობები და ა.შ.

გაირკვა ისიც, რომ ძაღლი, მით უმეტეს, უპატრონო, ჩვენს მოსახლეობას მეგობრობას ველარ გაუწევს, რადგან ქვეყანაში ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინის მარაგი ამოიწურა. ამ ვაქცინას საქართველო რუსეთიდან იღებს, მაგრამ ძვირფას ჩრდილოელ მეზობელს, თურმე, ვერც ამ ვაკუუმისთვის მოვთხოვთ პასუხს - ის თვენახევარი, რომელიც მოთხოვნა-მოწოდებას შორის ხელშეკრულებითაა განსაზღვრული, ჯერ არ ამოწურულა. სამაგიეროდ, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოავლინა კიდევ 242 პირი, რომელიც ულიცენზიოდ ეწეოდა საქმიანობას.



ქალაქის მერი ათვალიერებს დაზარალებულ ქუჩებს.

გასული კვირის მოვლენებს უდავოდ დაამშვენებს ის აღიარებაც, რომელიც ქალაქის მთავარი არქიტექტორის, ირაკლი ლოლაშვილისგან მოვისმინეთ. თურმე, ნუ იტყვით, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თბილისში მიმდინარე ყველა მშენებლობა კანონიერი ყოფილა; ისინი, "9 აპრილის ბაღში" მიმდინარე მშენებლობის ჩათვლით, მოთხოვნების დაცვით მიმდინარეობს! მიუხედავად ამისა, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი ამ კონკრეტული მშენებლობის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს. ეტყობა, ამ უწყებაში სხვა მოთხოვნებზეც მიუწვდებათ ხელი.

გასულ კვირას ოფიციალურად გაფორმდა კონკორდატი ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და მისი ზოგიერთი მუხლის მოწინააღმდეგენი იმავე დღეს გამოჩნდნენ; სახელმწიფო კანცელარიის მეათე სართულზე, სახელმწიფო მინისტრთან, რელიგიის შესახებ კანონის აუცილებლობაზე ისაუბრეს და ისიც თქვეს, გურიაში ვაჰაბიტებიც არიანო. გასულ კვირას სტარტი აიღო და ამ კვირას დასრულდება საქართველოში გაეროს კვირეული, რომლის მიმდინარეობისას "მწვანეები" მდინარე მტკვრის ორივე ნაპირს ასუფთავებენ.

დასასრულ, გასულ კვირას პარლამენტის თავმჯდომარე კახეთს, სახელმწიფო მინისტრი კი ყაზბეგს ეწვია. ამ ვოიაჟებს ბოლომდე პოლიტიზების საშუალება არ მისცა მოსახლეობამ, იმ ადამიანებმა, რომლებსაც ოცდამეერთე საუკუნისთვის შეუფერებელი, ყოფითი პრობლემები აწუხებთ. ყველაფერი, რაც მათთვის მსხვილმანია - ბავშვებისთვის შეუძენელი სახელმძღვანელოებით დაწყებული, გამოუზამთრებელი პირუტყვით დამთავრებული, - თბილი კაბინეტებიდან წვრილმანებად მოჩანს. საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დღეს ამ "წვრილმანებით" ცხოვრობს.

# კიდევ ერთი აუტკივარი თავი

*ვაჟა-ფშაველას N69-ში მდებარე ხუთსართულიანი კორპუსის გვერდით ერთი პატარა გაზონია, რომელსაც მთელი გულმოდგინებით ხუთავს ბორის სარქისიანის სავაჭრო ობიექტის მშენებლობა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

ბლოკით უკვე ამოშენებულია სართულნახევარი სიმაღლის სამი კედელი. საერთო ფართობი 40 კვ.მ-ია. მშენებლობა იმდენად კანონიერია, რამდენადაც უკანონოა გაზონებსა და სკვერებში მიწის ნაკვეთების კომერციული საქმიანობისთვის გაყიდვა და კიდევ: მშენებარე ობიექტი 2-3 მეტრით არის დაშორებული საცხოვრებელი კორპუსიდან. რატომ? იმიტომ, რომ, დადგენილი დისტანციით, დიდი მონდომების შემთხვევაშიც ვერ დააცილებდნენ - გაზონი არ ეყოფოდა. ერთი ბუჩქოვანი ნერგი, რომელიც მშენებლებს ხელს უშლიდა, მოთხარეს და უკან გადარგეს, ისე, რომ მის დამრგავს და დამცავს არაფერი ჰკითხეს. საშიშროება ემუქრებათ ჯერჯერობით გადარჩენილ ხეებსაც. კედლები ისეა მიბჯენილი მწვანე ნარგავებზე, რომ გადახურვას აუცილებლად შეეწირება რამდენიმე ხის ტოტი.

სამუშაოთა მწარმოებელმა კორპუსის აღშფოთებულ ბინადრებს უსაყვედურა, მიწას რომ ვთხრიდით, მაშინ გამოსულიყავით და მეც აღარ დავზარალდებოდიო.

სად გამოვსულიყავით, როცა ერთ ღამეში ააშენეო, იყვირა ამ მთავრობის ხელში მართლაც უბედურმა ხალხმა.

რას ვერჩით მთავრობას? ახლავე მოგახსენებთ. ქალაქის მუნიციპალიტეტმა და მისმა რეგიონულმა შვილობილებმა ისე თვითნებურად გაასხვისეს სახელმწიფო საკუთრება, თითქოს კანონი არც არსებობდეს. დღევანდელები ამბობენ, ეგ გუშინ მოხდა და ჩვენი ბრალი არ არისო. გუშინდელებს კი პასუხს არავინ სთხოვს. ასე გრძელდება მრავალწლიანი ქაოსი. ზარალდებიან უბრალო მოკვდავი მოქალაქენი, რომლებიც დაუნდობლად ასკდებიან ერთმანეთს და დემოკრატიის გზაზე შემხტარ ჩვენს ქვეყანაში ძალის კანონებით ცხოვრობენ.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სამართლიანობის აღდგენის ერთადერთი რეალური გზა, იცით, რომელია? ობიექტის დანგრევა ისევე ქურდულად, როგორც ააშენეს - ერთ ღამეში. ასე მივყავართ პირველყოფილ დონემდე ქალაქის ხელმძღვანელობის არხეინობას.

ამჟამად მშენებლობა შეჩერებულია. ხალხი გამოვიდა, "პრარაბსა" და ხელოსნებს მუშაობა აუკრძალა და შინ გაუშვა. დღეს ისინი მიხეილ სააკაშვილსაც ჩააყენებენ საქმის კურსში. შესაბამის ექსპერტებსაც მოიყვანენ, რომ უკანონობაზე აქტი შეადგენინონ. მოკლედ, ხალხი ეცდება, კანონიერება აღადგინოს. მაგრამ ისმის კითხვა: ამას მარტო ხალხი უნდა ცდილობდეს? აბა, იმან რაღა უნდა აკეთოს, ვისაც ვირჩევთ და ფულსაც ვუხდით, რომ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, გვემსახუროს? განცხრომაში უნდა მოკვდეს?!



უკანონო მშენებლობა ვაჟა-ფშაველას N69-ში.

**P.S.** იმ გაყოლებაზე სულ სავაჭრო ობიექტებია. საკვირველია, ვის რაღად უნდა კიდევ ერთი მაღაზია.

# გერმანელები მოსახლეობის პროფესიულ მომზადებაში გვეხმარებიან

*2002 წლის იანვრიდან გერმანიამ ამიერკავკასიაში საინტერესო პროექტის განხორციელება დაიწყო. მისი მიზანია, ზრდასრულ მოსახლეობას პროფესიული განათლება მისცეს.*

ნანა ქადაგიშვილი

საქართველოს განათლების სამინისტრო გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის ამ ინიციატივას სიხარულით შეხვდა. თუმცა, როგორც სამინისტროს დაწყებითი პროფესიული განათლების დეპარტამენტი აცხადებს, ეს წამოწყება ბევრ პროფესიულ სასწავლებელს არ გაახარებს.

საქართველოში ამჟამად 70 პროფესიული სახელმწიფო და 118 კერძო სასწავლებელია. აქედან 118-ვე კერძო და 18 სახელმწიფო სასწავლებელი ზრდასრულთა დამატებით განათლებას ემსახურება. ქალაქში თითქმის ყოველი ფეხის ნაბიჯზე გახსნილი კერძო სასწავლებლები ყოველგვარი სტანდარტის გარეშე მოქმედებს. მართალია, მათი უმრავლესობა სერტიფიკატს იძლევა, მაგრამ მის მფლობელს რა ცოდნას აძლევს, არავინ იცის. დაწყებითი პროფესიული განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ალექსანდრე ეჯიბაძეს, მაგალითად მოაქვს ერთ-ერთი კომპიუტერული ცენტრის სერტიფიკატი, რომელიც ცენტრს მხოლოდ იმიტომ მიაჩნია "საერთაშორისოდ", რომ სერტიფიკატის ერთ მხარეს ქართული წარწერაა, მეორე მხარეს კი - ინგლისური.

გერმანელები დამატებითი განათლების სფეროში გამეფებული ქაოსის მოწესრიგებაში გვეხმარებიან. განათლების სამინისტრომ შეარჩია ის პროფესიები, რომლებიც მოსახლეობის დასაქმებას შეუწყობს ხელს. გერმანიის სახალხო უნივერსიტეტის დახმარებით, ამ პროფესიათა შესასწავლად შეიქმნა საგანმანათლებლო სტანდარტები, დამხმარე სახელმძღვანელოები სოფლის მეურნეობაში, ეკომონიკასა და სამართალში. ამის გარდა, 14 პროფესიის 2 400 მასწავლებელს კვალიფიკაციის ასამაღლებელი უფასო კურსები ჩაუტარდება. ბუდაპეშტის ქუჩაზე შეიქმნება ზრდასრულ ადამიანთა განათლების ცენტრი. სოფლებში კი გაიხსნება უფასო საკონსულტაციო კურსები, რაც აგრონომისა და ვეტექიმის მოვალეობას გასწევს. გლეხებს მეცხოველეობისა და მიწათმოქმედების სახელმძღვანელოებსაც უფასოდ დაურიგებენ.

როგორც განათლების სამინისტრო ვარაუდობს, ეს მნიშვნელოვანი სიახლეები პროფესიული განათლების ბაზარს ნელ-ნელა დაარეგულირებს. კონკურენცია დაბალი დონის სასწავლებლებს თავისთავად ჩამოგვაშორებს. ამასთან, თუკი რომელიმე სასწავლებელზე სამინისტროში საჩივარი შევა და ის საფუძვლიანი აღმოჩნდება, სასწავლებელს ლიცენზია ჩამოერთმევა.

# გენერალური პროკურატურა „კულინარიელების„ საქმის ხელახალ გამოძიებას იწყებს

## დაჯგუფების ლიდერს ცნობილი ექიმის - ნოდარ ბოხუას მკვლელობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ახლა ძნელი სათქმელია, 1992-1995 წლებში საქართველოში მიმდინარე კრიმინალური პროცესები ვინმეს საგანგებო ხელის შეწყობით განვითარდა თუ მოვლენების ლოგიკური შედეგი იყო, მაგრამ ფაქტია, იმ პერიოდში საქართველოში არც სახელმწიფო კანონი მოქმედებდა და არც ქურდული. ეს იყო განუკითხაობის ხანა. "მხედრიონის" პირვანდელი ლიდერები ძნელად ან ვეღარ აკონტროლებდნენ მათსავე წიაღში დაბადებულ საძმოებს, რომლებიც ჯერ ერთმანეთს წაეკიდნენ, შემდეგ ნაწილებად დაიშალნენ და ყოფილი მოძმეები მოსისხლე მტრებად იქცნენ. იმ პერიოდში თბილისში ერთმანეთის მიყოლებით მომხდარ მკვლელობათა მთავარ მოქმედ პირებად ხელში იარაღმიჩეჩებული, ყველაფრის უფლებამიცემული და წინასწარ ყველა დანაშაულმიტევებული 16-17 წლის ბავშვები მოგვევლინენ და თბილისი პატარა ჩიკაგოდ აქციეს.

**"დაახლოებით, ათი ავტომატიდან ერთდროულად, შეუჩერებლად 2-3 წუთს გვესროდნენ. შუა სროლისას ინსტიქტურად მანქანის კარი გავაღე და დავუყვირე: ხალხო, რას ჩადიხართ, გონს მოდით, ექიმები ვართ, რატომ გვესვრით-მეთქი. პასუხად ვიღაცამ ბავშვური ხმით დაიღრიალა: "თქვენი ექიმები დედაც..." სროლა რომ დამთავრდა, კიდევ გავიგონე პატარა ბიჭების დიალოგი. ერთმა მეორეს გადასძახა: წადი, კონტროლკა გაუკეთეო... მეორემ ჰკითხა, ქალსაცო? პასუხი ასეთი იყო – ყველას, მაგათი დედაცო... ერთმანეთს ძალიან პატარები, ბავშვები ელაპარაკებოდნენ. ისინი გვესროდნენ..."** – ეს ჩვენება ექიმ ზურაბ ჩიქოვანს ეკუთვნის და მის მიერ პროფესორ ნოდარ ბოხუას მკვლელობის საქმეზე გამოძიებისათვის მიცემული ვრცელი ჩვენების ერთი, მცირე ფრაგმენტია.

**"აღნიშნული ბანდის წევრები, რომელთა საშუალო ასაკი, ბანდის ჩამოყალიბებისას, 16-18 წელი იყო, დარჩნენ განათლების სისტემის, შესაბამისი ორგანოების ყოველგვარი მზრუნველობისა და კონტროლის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული ბანდის მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შესახებ არსებობდა სათანადო ინფორმაციები, შესაბამისი ორგანოების მხრიდან არ ხდებოდა დროული და ქმედითი ზომების მიღება, მათი მხილებისა და დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით. რაც მთავარია, ამ ახალგაზრდების დამნაშავეებად ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მწვავე სოციალურმა, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სიტუაციამ, რომელიც იმხანად სუფევდა საქართველოში... სამართალდამცველი და ხელისუფლების სხვა ორგანოების, ასევე საზოგადოების წაყრუებით, ზოგჯერ კი ხელის შეწყობით, მათ ჩაიდინეს სასტიკი დანაშაულობები,"** – საქართველოს უახლესი კრიმინალური ისტორიის მეტად მშრალი ანალიზის მცდელობა "კულინარიელთა" 12-ტომიანი საქმის საბრალდებო დასკვნიდანაა ამოწერილი და, ამდენად, მრავლისმეტყველია, რადგან, როგორც წესი, ქართული საგამოძიებო დოკუმენტები ვერ იტევენ ხოლმე ამა თუ იმ დანაშაულის წარმოშობის სოციალური თუ ფსიქოლოგიური მოტივების აღწერას. ამ შემთხვევაში კი, გამოძიებამ, როგორც ხედავთ, დაარღვია ტრადიცია. მეტიც, მან სასამართლოსაც კი მიმართა შუამდგომლობით, განაჩენის გამოტანისას ეს ყველაფერი გაითვალისწინეთო.


დათო ძებნიაური

"კულინარიელთა" საძმოს წევრები - დავით ქინქლაძე, დავით ქადაგიძე, გიორგი ლუდუშაური, ნიკოლოზ ქათამაძე, ირაკლი მაშავა, ვალერიან ქორიძე, მამუკა შუბითიძე დაპატიმრებისას ოციოდე წლისანი თუ იქნებოდნენ, ბრალი კი კანონდამცველებმა მართლაც მძიმე დანაშაულთა ჩადენაში დასდეს.

"კულინარიელთა" საქმიანობის დასასრულის დასაწყისად რესპუბლიკური საავადმყოფოს წინ მომხდარი თავდასხმისას მსოფლიოში ცნობილი ექიმის ნოდარ ბოხუას მკვლელობა იქცა.

1995 წლის 24 მარტს, გამთენიისას, მძიმედ დაჭრილი პაციენტის პალატიდან გამოსული დასტაქარი, რომელიც სახლში ბრუნდებოდა, საავადმყოფოს წინ მომხდარი თავდასხმისას ადგილზევე გარდაიცვალა. მძიმედ დაიჭრნენ ცნობილი ქირურგი, პროფესორი ბაადურ მოსიძე, დიდუბის რაიონის მთავარი ექიმი ზურაბ ჩიქოვანი, მისი მეუღლე ნინო ჩიქოვანი და პაატა ღამბაშიძე. ნოდარ ბოხუას საქმის გამოძიება საბურთალოს პროკურატურამ დაიწყო, რამდენიმე დღეში კი გამოძიება თბილისის პროკურატურაში შექმნილმა სპეცჯგუფმა გააგრძელა. სამართალდამცველებისთვის მომდევნო დღეებშივე გახდა ცნობილი "ბოევიკის" მომწყობთა ვინაობა- თბილისის მაშინდელმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ საიდუმლო შეტყობინება თბილისის პოლიციის მაშინდელი უფროსის მოადგილის ნუგზარ ღამბაშიძისგან მიიღო.

რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მომხდარ ტრაგედიას წინ უძღოდა იმ პერიოდის თბილისისთვის დამახასიათებელი ქუჩის ძველბიჭური გარჩევები, რაც სისხლიანი ტრაგედიით მთავრდებოდა ხოლმე. 24 მარტის ვენდეტა საბურთალოელ ბიჭებს - "იოსებიძელებსა" და "დელისელებს" შორის "მერსედესის" მარკის მანქანის გამო დაწყებული კონფლიქტის გამოძახილი იყო. თბილისის სხვადასხვა უბნებში გამართულ შეტაკებებს ამ საძმოს წევრების მკვლელობათა სერიალი მოჰყვა. სისხლის აღების წესის დამკვიდრებული ტრადიციის შესრულებაში მეგობარ "დელისელებს" "კულინარიელები" დაეხმარნენ. ერთ-ერთი "იოსებიძელის" "კრაისლერის" მარკის ავტომანქანისთვის ნასროლი ტყვიები მანქანაში მყოფ სახელგანთქმულ ექიმებს მოხვდა.

სისხლიანი" კონფლიქტი რამდენიმე საათით ადრე, 23 მარტს, ნუცუბიძის ქუჩაზე "დელისის საძმოს" ლიდერს პაატა შატბერაშვილსა და "მხედრიონელ" იუზა თოფურიას შორის მომხდარი შეტაკების გაგრძელება იყო. გენერალური პროკურატურის მტკიცებით, "იოსებიძელ" თოფურიასა და რაზმაძეს პაატა შატბერაშვილი და დათო ძებნიაური დაესხნენ თავს. სახელგანთქმული ექიმი ნოდარ ბოხუა, ახლობელთა თხოვნით, სწორედ იუზა თოფურიას გადასარჩენად გახლდათ საავადმყოფოში მისული. მოგვიანებით, იუზა თოფურია განვითარებული სეფსისის გამო საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ნოდარ ბოხუას მკვლელობის ამბავი "კულინარიელებმა" ტელევიზიით შეიტყვეს და მოულოდნელი ამბით გაოგნებულებმა თბილისიდან გაქცევა სცადეს.

დავით ქინქლაძე, დავით ქადაგიძე, გიორგი ლუდუშაური, ნიკოლოზ ქათამაძე, ირაკლი მაშავა, ვალერიან ქორიძე, მამუკა შუბითიძე, გიორგი ნადარეიშვილი, ლევან დაუშვილი 1995 წლის 5 აპრილს უშიშროების სამინისტროს სპეცჯგუფ "ომეგას" ნიღბიანმა წევრებმა საკმაოდ მშვიდ ვითარებაში დააკავეს – მანქანაში ჩაისვეს და უშიშროების სამმართველოში მიიყვანეს. "საქმე რთულია, ჩასატარებელია ფართომასშტაბიანი მოქმედებები," – ასეთი არგუმენტი მოიშველიეს "ჩეკისტებმა" და "კულინარიელთა" საქმე თბილისის პროკურატურიდან გამოსაძიებლად უშიშროების სამინისტროს გადაეცა. ერთ-ერთმა "კულინარიელმა" ნოდარ ბოხუას მკვლელობა აღიარა: **"იოსებიძის საძმოს" წევრები იტაცებდნენ ხალხს, აწამებდნენ... ვიცოდი, რომ ბევრი მათგანი "მხედრიონელი" იყო, ჩვენს მიმართ ანტიპათია ჰქონდათ... ერთმანეთთან კონფლიქტში ვიყავით... "იოსებიძელები" გვემუქრებოდნენ... 24-ში სიგარეტის საყიდლად რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან მივედით... დავინახეთ ერთ-ერთი "იოსებიძელის" "კრაისლერი", რომელმაც დაამუხრუჭა, რაც სროლის ნიშნად მივიჩნიე, ავტომატი ფანჯარაში გადავყავი და ჯერი მივუშვი,"** – ასეთი იყო აღიარება. მალე დაკავებულები თავდებით გაათავისუფლეს. მოგვიანებით, უკვე გენერალურ პროკურატურაში ჩატარებული გამოძიებისას, გაირკვა, რომ "კულინარიელების" საქმის მოგვარება უშიშროების მინისტრის მაშინდელ მოადგილეს - თემურ ხაჩიშვილს დაავალეს. ამ თემასთან დაკავშირდა გიგა გელაშვილის სახელიც. თემურ ხაჩიშვილმა "კულინარიელების" თემაზე გამოძიებას ჩვენება არ მისცა. გიგა გელაშვილმა კი კატეგორიულად უარყო მათთან კავშირი. უარყო მათთვის საქმის ჩაწყობის ისტორიაც.

მეორედ "კულინარიელები" 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ დააკავეს. პირველი დაკავებისგან განსხვავებით, მათ დაჭერას სპეცრაუნდი მიეძღვნა - 1996 წლის 31 დეკემბერს საბურთალო მძიმე ტექნიკით ჩაიკეტა.

საბოლოოდ, "კულინარიელთა" საქმის გამოძიება გენერალურ პროკურატურას გადაეცა და 1997 წლის 17 იანვარს ბრალდებებით დატვირთული საქმე უზენაეს სასამართლოში შევიდა განსახილველად. სასამართლოში ტუსაღებმა კატეგორიულად უარყვეს მათთვის წაყენებული უმძიმესი ბრალდებები და განაცხადეს, ჩვენებები ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის შედეგად ჩამოგვართვესო. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციებით, შსს-ს მაშინდელ მე-5 იზოლატორში მყოფ ერთ-ერთ "კულინარიელს" წამების დროს ფილტვი გაუსკდა.

უზენაესმა სასამართლომ ნოდარ ბოხუას მკვლელობის გამო 10-წლიანი პატიმრობა მხოლოდ ერთ "კულინარიელს" შეუფარდა, დანარჩენები კი სხვადასხვა, შედარებით მსუბუქი დანაშაულისთვის გაასამართლა. სასამართლომ ერთი გადაწყვეტილებაც გამოიტანა: შეუძლებელია იმის დაზუსტებით თქმა, კერძოდ ვისმა ნასროლმა ტყვიამ გამოასალმა სიცოცხლეს ცნობილი ექიმიო.

გუშინწინ საკუთარი სახლის სადარბაზოში დაკავებული დათო ძებნიაური ნოდარ ბოხუასა და იუზა თოფურიას მკვლელობაშია ბრალდებული. იგი 7 წელია, იძებნება. არსებული მონაცემებით, დათო ძებნიაური თავიდან რუსეთს აფარებდა თავს, მაგრამ, უკვე 5 წელია, თბილისში, საკუთარ სახლში ცხოვრობს და სამართალდამცველებს მისთვის არც ერთხელ არ მიუკითხავთ. გავრცელებული ინფორმაციით, დაგეგმილი იყო დათო ძებნიაურის მკვლელობა, მაგრამ იგი მისმა ადვოკატმა იხსნა. ჩვენი მონაცემებით, სამართალდამცველები ამზადებენ მასალებს, რომლის მიხედვითაც დათო ძებნიაურს კიდევ ერთ ბრალდებას - წელიწადნახევრის უკან, საბურთალოს პოლიციის წინ მოკლული სერგი ბუბუტეიშვილის მკვლელობის ბრალდებასაც წაუყენებენ.

## მოკლედ

**თბილისი.** სექტანტების თემატიკა საქართველოში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა ხდება. ამის შესახებ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ მართლმადიდებელი რადიკალების მხრიდან რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებზე თავდასხმების ფაქტების კომენტირებისას განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემა დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ეროვნულ უსაფრთხოებას დაემუქროს, "თუ მათ დროულად არ გავაკონტროლებთ". "ამჟამად ჩვენ ვიმყოფებით სექტანტობის პრობლემის განვითარების ისეთ სტადიაში, რომ დროა მასზე, როგორც პრობლემაზე, საუბარი, ვინაიდან ეს გახდა დასავლეთისა და, მათ შორის - აშშ-ს კონგრესის შეშფოთების საფუძველი, რომელიც რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას უკავშირდება," - განაცხადა მინისტრმა.

ამასთან, ჯერჯერობით, არც ერთი საქმე რადიკალი მართლმადიდებლების წინააღმდეგ ბოლომდე მიყვანილი არ არის და არ ყოფილა სასამართლოს მიერ გამოტანილი არც ერთი გამამტყუნებელი გადაწყვეტილება მათ მიმართ. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ განაცხადა, ამჟამად განიხილება რამდენიმე ამგვარი საქმე და აუცილებელია, სამართალდამცავმა ორგანოებმა უზრუნველყონ მოსამართლეების უსაფრთხოების დაცვა რადიკალებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი ამგვარი რადიკალურად განწყობილი გლდანის ეპარქიიდან "კავკას-პრესმა" მიიღო განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი მზად არიან სისხლის ღვრისათვის, თუ ხელისუფლება შეეცდება, დააკავოს მათი წინამძღოლი ბასილი მკალავიშვილი. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**ქუთაისი.** წყალტუბო-ქუთაისის მატარებლის მემანქანე გივი კვენეტაძე ქუთაისის რკინიგზის საავადმყოფოში სასტიკად ნაცემი მიიყვანეს. მან ქუთაისელი ლაშა ონიანი სიკვდილს გადაარჩინა. კვენეტაძემ დროზე შესძლო მატარებლის დამუხრუჭება და პირდაპირ რკინიგზის ლიანდაგზე ჩაძინებულ, მთვრალ მდგომარეობაში მყოფ ონიანს საშინელი კატასტროფა აცილა, თუმცა, საზღაურად, ონიანის ახლობლებმა იგი უმოწყალოდ სცემეს. დაზარალებულის თქმით, მას ონიანის ნათესავები ლაშა ონიანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში ადანაშაულებენ. ცემის ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც ქუთაისის სატრანსპორტო პოლიციის საგამოძიებო განყოფილება იძიებს.

როგორც გამომძიებელმა გიორგი მინდაძემ განაცხადა, უკვე დადგენილია მათი ვინაობა, ვინც მემანქანე სცემა, მათ შორის ერთ-ერთი ლაშა ონიანის ძმაა. მინდაძის თქმით, ისინი ნასვამ მდგომარეობაში იყვნენ და კვენეტაძე რკინის ნაჭრებით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე სცემეს. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, ექჰმიტანილები სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით გასამართლდებიან, რომელიც ჯგუფური თავდასხმისათვის თავისუფლების 5 წლამდე აღკვეთას გულისხმობს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიო ბანკი უახლოეს ხანში საქართველოს უზენაესი სასამართლოს შენობის რეაბილიტაციის პროექტს დააფინანსებს.

აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ თბილისში სამუშაო ვიზიტით მყოფმა, მსოფლიო ბანკის დელეგაციის წევრებმა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესთან ლადო ჭანტურიასთან შეხვედრაზე განაცხადეს.

უზენაესი სასამართლოს პრეს-სამსახურის ცნობით, მსოფლიო ბანკი აღნიშნულ პროექტს საქართველოში სასამართლო რეფორმის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს. პროექტი სამ ეტაპად შესრულდება. წინასწარი გამოთვლით, აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხა 600 ათას აშშ დოლარს შეადგენს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ლადო ჭანტურიას ინიციატივით, სამოდელო სასამართლოებში სასამართლო მმართველის თანამდებობა შეიქმნება.

უზენაესი სასამართლოს პრეს-სამსახურის ცნობით, სასამართლო მმართველის მოვალეობა, მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული რეკომენდაციებით, სასამართლოებში საქმის წარმოება, სასამართლოთა მართვა და ორგანიზაცია იქნება.

თავდაპირველად ახალი თანამდებობა ერთ-ერთ სამოდელო სასამართლოში დაინერგება, ხოლო შემდგომ ამ გამოცდილებას სხვა სამოდელო სასამართლოებშიც გამოიყენებენ.

ამასთან ერთად, მომზადდება ერთ-ერთი მმართველი მოსამართლე, რომელიც რეგიონის მასშტაბით მართვის გამოცდილებას დანერგავს. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, რომელიც მსჯავრდებული თენგიზ ასანიძის შეწყალების გარემოებებს ეხება, ამ დღეებში განსახილველად იუსტიციის საბჭოს და იუსტიციის სამინისტროს გადაეცემა, რის შემდეგაც, სათანადო ინფორმაციის მიღების საფუძველზე, ცნობილი გახდება პრეზიდენტის პოზიცია.

„კომისიას იმედი აქვს, რომ ქვეყნის ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მიიღებს შესაბამის ზომებს, რათა აღდგეს კანონიერება", — ნათქვამია კომისიის მიერ მომზადებულ დასკვნაში.

რაც შეეხება ასანიძის შეწყალების გარემოებასთან დაკავშირებით კანონდამრღვევ თანამდებობის პირებს, მათ შორის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეს რუსუდან ბერიძეს, საპარლამენტო კომისიის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით, პარლამენტი მის და, მასთან ერთად, სხვა პირთა პასუხისმგებლობის საკითხს არ დასვამს.

„კომისიამ პრეზიდენტის წინაშე რუსუდან ბერიძის პასუხისმგებლობის საკითხი არ დასვა, თუმცა მის მიერ დაშვებული დარღვევები მოცემულია დასკვნის საკონსტიტუციო ნაწილში", — აცხადებს ოსაძე და იმედოვნებს, რომ პრეზიდენტის საბოლოო გადაწყვეტილება მაქსიმალურად ობიექტური იქნება.

პრეზიდენტმა შევარდნაძემ მსჯავრდებული თენგიზ ასანიძე 1999 წლის ოქტომბერში შეიწყალა. მიუხედავად ამისა, იგი დღემდე პატიმრობაში იმყოფება. **"მედია-ნიუსი"**

## ვაშინგტონელი სნაიპერის მორიგი მსხვერპლი

გუშინ, საღამოს 8 საათზე, ვაშინგტონის სამხრეთით ვაშინგტონელმა სნაიპერმა კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა:

რესტორნიდან ცოლთან ერთად გამოსულ 37 წლის მამაკაცს ტყვია მუცლის არეში მოხვდა. დაზარალებულის ვინაობას ამერიკელი სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ახმაურებენ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სნაიპერის მორიგი მსხვერპლი ცხოვრობს სხვა შტატში და ქალქ აშლენდში, სადაც დაიჭრა, შემთხვევით აღმოჩნდა. მძიმედ დაჭრილი მამაკაცი წაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც რამდენიმესაათიანი ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა.

შემთხვევის ადგილზე ჩავიდნენ სამართალდამცველები, რომლებიც სნაიპერის საქმეს იძიებენ. დაიკითხნენ რესტორნის თანამშრომლები და დაჭრის მომენტის შემსწრე სხვა ადამიანები, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მსროლელი არც ერთ მათგანს არ დაუნახავს. შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ტყვიის მასრა სამართალდამცველებმა ექსპერტიზის ჩასატარებლად სპეციალისტებს გადასცეს. ექსპერტებს ორშაბათს მზად ექნებათ დასკვნა, თუ რა ტიპის იარაღიდან გაისროლა მოუხელთებელმა სნაიპერმა.

2 ოქტომბრის შემდეგ ვაშინგტონელმა სნაიპერმა 9 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა, 3 კი დაჭრა.

# მოტაცებულ ავტომობილს ცხინვალისკენ პოლიციელი მიაცილებდა

*ყაჩაღობის კვალმა გამოძიება პოლიციელის მიერ ჩადენილ დანაშაულამდე მიიყვანა. ამჟამად კი იმის დადგენას ცდილობენ, უშუალოდ მონაწილეობდა აწ უკვე ყოფილი სამართალდამცველი ყაჩაღობაში თუ, როგორც თავად ამტკიცებს, მართლაც შემთხვევით მოხდა გაუგებრობაში.*

სოფიკო ჩხაიძე

პოლიციელი, რომელსაც ამჟამად გამოძიება ყაჩაღობაში დებს ბრალს, დაცვის პოლიციაში მუშაობდა. მაშინ კი, როცა სამართალდამცველებმა ცხინვალის მისადგომებთან, გატაცებული მანქანის გაცილებისას დააკავეს, კადრების განკარგულებაში გახლდათ გადაცემული. ვარაუდი, რომ პოლიციის ლეიტანტი მიხეილ ამირეზაშვილი პირველი და უკანასკნელი პოლიციელი არ არის, რომელიც ნაყაჩაღარის უსაფრთხოდ რეალიზაციას უზრუნველყოფდა, მაღალჩინოსანი სამართალდამცველებისგან მოდის. საერთოდაც, არავისთვის არის საიდუმლო, რომ საქართველოში ეგრეთ წოდებული უკონტროლო ზონების ჩამოყალიბება ჩინოსანთა ჩარევის გარეშე არ მომხდარა და ვერც მოხერხდებოდა. იმავე ცხინვალის რეგიონში გატაცებული მანქანების "გაუჩინარების" მიზეზიც, ცხადია, იქ მხოლოდ საქართველოს იურისდიქციის გაუვრცელებლობა არ გახლავთ. მთავარი ის არის, რომ ეს ერთ-ერთი იმ უკანონო, მაგრამ შემოსავლიანი ბიზნესთაგანია, რომელშიც მონაწილეობას სამართალდამცველთა ნაწილიც იღებს.

**"თავად ამირეზაშვილი ამბობს, რომ ქობულეთიდან მოდიოდა, როცა ნაცნობებმა დაურეკეს და მანქანის ცხინვალამდე გაცილება სთხოვეს. იმასაც ამბობს, ვიცოდი, უკანონობას რომ ჩავდიოდიო, მაგრამ მთხოვნელებს მაინც დათანხმდა,** - გვიამბო შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის წარმომადგენელმა კახა მარკელიამ, - **ამირეზაშვილი მანქანით, რომელსაც მინდობილობის გარეშე მართავდა, წინ გაუძღვა გატაცებულ მანქანას. კარალეთის საგუშაგოს რომ გასცდნენ, მათ აედევნა "ბმვ", რომელშიც პოლიციელები ისხდნენ. ცხინვალს უკვე მიახლოვებულები იყვნენ, როცა ამირეზაშვილის მანქანა გააჩერეს. ამ უკანასკნელმა კოლეგებს აუხსნა, ტრასას ვაკონტროლებ, რომ ჩემს უკან მომავალ მანქანას ვინმემ პრობლემები არ შეუქმნასო. სანამ ამირეზაშვილი პოლიციელებს ესაუბრებოდა, გატაცებულ მანქანაში მსხდომნი მანქანიანად გაიქცნენ. დადევნებულებს მხოლოდ ხევში გადაჩეხილი, მწყობრიდან გამოსული "მერსედესიღა" შერჩათ ხელთ. ამირეზაშვილი კი, ცხადია, დააკავეს".**

და მაინც, რატომ არ გასჭრა ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიციელის საბუთმა? რატომ ვერ უზრუნველყო პოლიციის ოფიცერმა გატაცებული მანქანის ცხინვალში უპრობლემოდ გადაყვანა? ვეჭვობთ, რომ მიზეზები იმ სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა მიუკერძოებლობაში კი არ უნდა ვეძიოთ, რომლებმაც თავიანთი კოლეგა დააკავეს, არამედ თვით იმ მანქანის წარმომავლობაში, რომლის ცხინვალში გადაყვანასაც ცდილობდა ამირეზაშვილი. ეს მანქანა – "მერსედეს-ბენცი" - ყაჩაღებმა ერთდროს საკმაოდ მაღალჩინოსანი და საკმაოდ სკანდალური რეპუტაციის მქონე პოლიციელის, კახა თარგამაძისდროინდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის - რეზო ფოჩხუას ძმას მოსტაცეს.

ყაჩაღობა აგვისტოში მოხდა. სამმა შეიარაღებულმა ყაჩაღმა გლდანის ა მიკრორაიონის 64-ე კორპუსის მესამე სართულზე მცხოვრები ფოჩხუების ბინაში დილის 4 საათზე ფანჯრიდან შეაღწია. მესამე სართულამდე ისინი გაზის მილით აძვრნენ. ბინაში შესულებს შინ ოჯახის უფროსი ზურაბ ფოჩხუა და მისი მეუღლე მაგული ნარსია დახვდნენ. სამმა ყაჩაღმა, რომელთაგან ერთი უნიღბოდ იყო, იარაღის მუქარით გაკოჭა ცოლ-ქმარი და ცემა-წამება დაუწყო. როდესაც მათ ქალის დაუთოებას მიჰყვეს ხელი, ოჯახის უფროსმა ყველა ძვირფასი ნივთისა და ფულის ადგილსამყოფელი აცნობა და მისცა ფარეხის გასაღებიც, სადაც მისი კუთვნილი ავტომანქანა "მერსედეს-ბენცი" იდგა. ბოროტმოქმედებმა წაიღეს 570 დოლარი, 400 მილიონი აზერბაიჯანული მანათი ( დაახლოებით 100 000 დოლარის ექვივალენტი), 2 000 დოლარის ღირებულების ბრილიანტისთვლიანი ბეჭედი, სხვა ძვირფასეულობა და ავტომანქანა.

ყაჩაღების მსხვერპლის ძმას – პოლიციის გენერალ რეზო ფოჩხუას დედმამიშვილებისთვის თავის გამოდებას ადრეც მიაწერდნენ. მაგალითად, "საუკუნის პროცესად" წოდებულ სასამართლოზე ერთ-ერთი განსასჯელი - თემურ ქურდიანი თავის დაპატიმრებას რეზო ფოჩხუას ძმის ბიზნესში ჩარევით ხსნიდა და ამბობდა, ფოჩხუამ ძმის გამო შურისძიების მიზნით დამაპატიმრაო. ძნელი სათქმელია, რამდენად იყო სიმართლესთან ახლოს თემურ ქურდიანის მტკიცება, თუმცა კი იმაში ნამდვილად არაფერია გასაკვირი, თუ სამართალდამცველ ორგანოებში ძველ კავშირებშენარჩუნებული რეზო ფოჩხუა ძმის ქონების დაბრუნებას ცდილობდა და ამ საქმეში განსაკუთრებული მონდომებით ჩართო თავისი ყოფილი ქვეშევრდომები. რასაკვირველია, გატაცებული მანქანის მოსაძებნად განსაკუთრებული ყურადღება გორი-ცხინვალის ტრასისკენ მიმართეს. შესაბამისად, არც ის გახლავთ გასაკვირი, რომ იქ, სადაც თითქმის ყოველდღიურად მოძრაობდნენ გატაცებული მანქანებით, მაინცდამაინც რეზო ფოჩხუას ძმის "მერსედესს" მიაქციეს ყურადღება და არც თავიანთი კოლეგა დაინდეს.

სხვათა შორის, ფოჩხუების ოჯახზე თავდამსხმელი ერთი ყაჩაღი სამართალდამცველებმა ყაჩაღობიდან მეორე დღესვე დააკავეს. მას ნაყაჩაღარი ფულის ნაწილი აღმოაჩნდა. ყაჩაღობაში ბრალდებული თემურ თუნგია ახლა თბილისის მეხუთე საპყრობილეში იმყოფება – სასამართლომ მას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. დადგენილია დანარჩენი ორის ვინაობაც. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათი ვინაობა ემთხვევა ამირეზაშვილისთვის დახმარების მთხოვნელთა ვინაობას. თვით ამირეზაშვილი კი თავდაპირველად ადმინისტრაციულ პატიმრობაში აიყვანეს. პოლიციელის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოკვლევა ჯერ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ დაიწყო.

**"ჩვენთვის მნიშვნელობაც კი არ ჰქონდა იმას, რომ მანქანა, რომელსაც ამირეზაშვილი აცილებდა, გატაცებული აღმოჩნდა. ასეც რომ არ ყოფილიყო, მას მაინც გავათავისუფლებდით შს ორგანოებიდან,** - განაცხადა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ, - **მინისტრის ბრძანებით, პოლიციის მუშაკებს ყოველგვარი გაცილებები ეკრძალებათ, თუ მათ ამგვარ უფლებას უწყებრივი ხელშეკრულება არ აძლევს. შესაბამისად, ჩვენი ვერდიქტი ამირეზაშვილის მიმართ ასეთი გახლდათ: დათხოვნილ იქნას შს ორგანოებიდან".**

უფრო მკაცრი აღმოჩნდა გლდანი-ნაძალადევის რაიონის პროკურატურა, რომელიც ფოჩხუების დაყაჩაღების საქმეს იძიებს. მათ ამირეზაშვილს, არც მეტი, არც ნაკლები, ყაჩაღობაში წარუდგინეს ბრალი და მისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება მოითხოვეს. რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა კიდეც ეს მოთხოვნა. თუმცა, მოგვიანებით საოლქო სასამართლომ, აღმკვეთი ღონისძიების სახით, ამირეზაშვილს პატიმრობა პოლიციის ზედამხედველობით შეუცვალა.

ამირეზაშვილის ადვოკატი ალექსი კობაიძე, ცხადია, საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებას მიიჩნევს სამართლიანად. მეტიც, მისი თქმით, პროკურატურამ ყოფილ პოლიციელთან მიმართებაში საკმარისზე მეტი შესცოდა.

**"ჯერ ერთი, სულაც რომ დამნაშავე იყოს, გამოძიებამ უხეშად დაარღვია პროცესით გათვალისწინებული ვადები. 10 დღის დაგვიანებით მოხდა სასამართლოში აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნა. დაკავებულის ეჭვმიტანილად ცნობიდან ბრალის წარდგენამდე, 48 საათის ნაცვლად, 100 საათი გავიდა და ასე შემდეგ,** - ამბობს ადვოკატი, - **როგორც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ამბობს, მას მანქანის გაცილება ნაცნობებმა სთხოვეს. ამირეზაშვილმა სულ არ იცოდა, რომ მანქანა გატაცებული იყო. უბრალოდ, იმ ხალხისგან დავალებული გახლდათ და დათანხმდა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისთვის ყაჩაღობაში ბრალის წაყენება ნამდვილად აბსურდია. გამოძიებამაც იცის, რომ ყაჩაღობაში მონაწილეობა მას არ მიუღია."**

გამოძიება კი თავის ვერსიას დღესაც ავითარებს, ვადების დარღვევას ათდღიანი ადმინისტრაციული სასჯელით ხსნის, ხოლო რაც შეეხება ყაჩაღობას:

**"მეტი საბუთი რა გინდათ, როცა კაცი ნაყაჩაღარი მანქანის ცხინვალში გადაყვანას ცდილობდა. კი, შესაძლოა, ფოჩხუების ბინაში უშუალოდ არ შესულა, თუმცა, ესეც დასადგენია",** - ამბობს გლდანი-ნაძალადევის პროკურორი ლენა კაპანაძე.

როგორც შევიტყვეთ, გამოძიება ამჟამად თითის ანაბეჭდების ექსპერტიზის პასუხებს ელოდება, რის შემდეგაც, ვარაუდობენ, რომ ყოფილი პოლიციელის ბრალეულობის მტკიცებას უფრო დამაჯერებლად შესძლებენ.

# ამჯერად რატომ დაუპირისპირდა შევარდნაძე აბაშიძეს

## ხელისუფლების ხელშეწყობით ოპოზიციის ლიდერობისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გამწვავდება

ბადრი კოპლატაძე

როგორც მოსალოდნელი იყო, პარლამენტში ახლად შექმნილმა ოპოზიციურმა გაერთიანებამ პირველივე იერიში სახელმწიფო მინისტრზე, ავთანდილ ჯორბენაძეზე, მიიტანა. საბაბი მათ საკმარისზე მეტი აქვთ - ბიუჯეტის შეუსრულებლობას ის დაპირებებიც ემატება, რომელსაც სახელმწიფო მინისტრი წლის დასაწყისში იძლეოდა. ამიტომაც პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლისას განხორციელებულ დემარშს ბუნებრივად მოჰყვა სახელმწიფო მინისტრთან დაპირისპირება. თავის მხრივ, სიტუაციის დათმობას, ცხადია, არც კანცელარია აპირებს. მათი მხრიდანაც, როგორც სჩანს, მზადდება კონკრეტული ღონისძიებები, რომელმაც მრავალპარტიულ გაერთიანებას წინააღმდეგობები უნდა შეუქმნას.

პირველი, რაც აშკარად გამოიკვეთა, კანცელარიის სურვილია, არ დაუშვას, რომ ამ ჯგუფმა ოპოზიციის მებაირახტრის ფუნქცია იკისროს. ეს მათთვის საკმაოდ სახიფათო იქნებოდა. ბოლო წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ ხელისუფლებისათვის ყველაზე საშიშნი სწორედ ის პოლიტიკური ოპონენტები ხდებიან, რომლებიც თავის დროზე იმავე ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. ამის ყველაზე კარგი მაგალითი იყო სიგუა-კიტოვანის დაპირისპირება ზვიად გამსახურდიასთან. მიუხედავად იმისა, რომ არც მაშინდელი პოლიტიკური სცენა განიცდიდა ოპოზიციური პარტიების ნაკლებობას, სწორედ ეს ტანდემი გახდა ის ძალა, რომელმაც საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტს სახელისუფლო ტახტი შეურყია. ამის შემდგომაც იყო მსგავსი პრეცედენტი, როდესაც ერთ დროს შევარდნაძის მოკავშირე გიორგი ჭანტურია ოპოზიციის ლიდერად იქცა და, რომ არა ტერორისტული აქტი, მოვლენები შეიძლება სულ სხვაგვარად განვითარებულიყო. მსგავსი სიტუაციაა ახლაც. ერთ დროს ხელისუფლებაში მყოფი ძალები ერთად უპირისპირდებიან შევარდნაძეს. ამიტომაც კანცელარიის სასიცოცხლო ინტერესს წარმოადგენს, რომ სწორედ მათ არ მოირგონ ოპოციზიის ლიდერის მანტია.

პოლიტიკურ სცენაზე ძალთა განლაგება კი ამ პროცესისადმი ხელოვნურად დაპირისპირების საშუალებას იძლევა. ასეთ დროს ედუარდ შევარდნაძეს, როგორც ყოველთვის, ასლან აბაშიძე ახსენდება ხოლმე. უახლესი ისტორია ადასტურებს, რომ შევარდნაძე-აბაშიძის ურთიერთობები ყოველთვის წრიული ტრაექტორიით ვითარდება. იყო ამ ურთიერთობებში უკიდურესი გამწვავების და, რბილად რომ ვთქვათ, დათბობის ეტაპებიც. ყველა ეტაპი გარკვეულ პოლიტიკურ ლოგიკას ექვემდებარებოდა და ორივე მხარე ცდილობდა, მაქსიმალური სარგებელი ენახა. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს პრეზიდენტი სწორედ ახლა გამოთქვამს საჯარო უკმაყოფილებას აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობის გამო; ეს პროცესი კი უკვე ორ წელზე მეტია, გრძელდება და ამ ხნის განმავლობაში შევარდნაძეს აბაშიძის მიმართ ამ თემაზე საყვედური კი არა, შენიშვნაც არ გამოუთქვამს. შეიძლება პირიქითაც ითქვას. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა აბაშიძის მოღვაწეობის სახელმწიფო ჯილდოებით აღნიშვნა და მისი პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენლად კურთხევაც. თუმცა, როგორც სჩანს, თვითონ შევარდნაძეც ხვდება, რომ საზოგადოება ასეთი დაპირისპირებით, შეიძლება, აღარ მოტყუვდეს და უპრეცედენტო გამწვავებაზე მიდის, როდესაც "აჭარის გამოყოფას" ახსენებს. ბუნებრივია, ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა ბათუმში, სადაც, ნაცად სტილში, ადგილობრივი ინტელიგენცია შეიკრიბა და შევარდნაძეს კოლექტიური წერილი მისწერა (ადგილობრივმა ოფიციოზმა ეს აქცია მოიხსენია, როგორც "წერილი პროვოკატორს"). "აღორძინების" საპარლამენტო ფრაქცია კიდევ უფრო შორს წავიდა და სწორედ გასულ კვირას პრეზიდენტის იმპიჩმენტზე დაიწყო საუბარი. ძალზედ ნიშანდობლივი იყო, რომ პარლამენტში პრეზიდენტის გამოსვლის დღეს ბათუმური ბლოკი არ შეუერთდა ხუთი ფრაქციის დემარშს და სხდომა ცოტა მოგვიანებით, მარტომ, დატოვა. ჯემალ გოგიტიძემ მაშინ პირდაპირ განაცხადა, რომ მათ არ უნდოდათ ამ ხუთ ფრაქციასთან ერთად დაფიქსირება. აქედან გამომდინარე, ეს დაპირისპირება როგორც "აღორძინებისათვის", ისე შევარდნაძისათვის საკმაოდ მომგებიანია - პრეზიდენტი ოპოზიციას ანაწევრებს, "აღორძინება" კი შერყეული ოპოზიციური იმიჯის განმტკიცებას ცდილობს. ერთადერთი ხინჯი ამ სიტუაციაში მაშინ შეიძლება გაჩნდეს, თუ "აღორძინება" და მრავალპარტიული ოპოზიციური ჯგუფი საერთო ენის გამონახვას შეეცდებიან.

ამავდროულად სულ უფრო რეალური ხდება საკრებულოს ამოქმედებაც და ხელისუფლება შეეცდება, ამ მხრივაც სარგებელი ნახოს. ლეიბორისტთა ლიდერი შალვა ნათელაშვილი ღიად აცხადებს, რომ არანაირად არ აპირებს პარლამენტში შექმნილ გაერთიანებასთან თანამშრომლობას. ნათელაშვილის ასეთი პოზიცია სრულიად მისაღებია ხელისუფლებისთვის. მით უფრო, რომ საკრებულოს ამოქმედების შემთხვევაში, ნათელაშვილი პირველივე იერიშს თბილისის მერზე ვანო ზოდელავაზე მიიტანს. ზოდელავა კი კანცელარიაში ავთანდილ ჯორბენაძის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად ითვლება. ნათელაშვილის საკრებულოს მიმართულებით გააქტიურება სახელმწიფო მინისტრს ორ ფრონტზე ბრძოლის საშუალებას მისცემს - ლეიბორისტები კვლავ შეეცდებიან, ყველაზე რადიკალურ ოპოზიციად წარმოჩინდნენ და დაჩრდილონ დანარჩენი ოპოზიციური გაერთიანებები, პარალელურად კი შეტევები განახლდება თბილისის მერზეც.

სხვა ოპოზიციური პარტიების ამ კუთხით გამოყენებისათვის ხელისუფლებას, პრინციპში, რესურსი ამოწურული აქვს. სოციალისტები უკვე აღარ მალავენ კანცელარიისადმი სიმპათიებს, მსგავსი მიმართულებით იხრებიან მრეწველებიც. წვრილ-წვრილი პოლიტიკური პარტიები კი არც რეიტინგით და არც გავლენით ხელისფლების ინტერესთა სფეროში არ ხვდებიან.

უნდა ვივარაუდოთ, არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო გამწვავდება ბრძოლა ოპოზიციურ ფრონტზე ლიდერობის ხელში ჩასაგდებად. ამ ბრძოლაში გამარჯვებულს კი ყველაზე დიდი შანსი ექნება, რათა შევარდნაძის და მისი სისტემის ალტერნატივად ჩამოყალიბდეს.

მოთხოვნა სატენდერო წინადადებების წარდგენაზე საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის განხორციელების მიზნით

btc

**განმარტებები**

**სატენდერო წინადადებასთან დაკავშირებით**

2002 წლის 30 სექტემბერს "BP"-მ, როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის პროექტების ოპერატორმა, ორივე პროექტის აქციონერი კომპანიების სახელით "საზოგადოებრივი ინვესტირების პროგრამის" განხორციელებასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა მოთხოვნა საპროექტო წინადადებებზე საქართველოში რეგისტრირებული ეროვნული და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის.

რამდენიმე დაინტერესებულმა ორგანიზაციამ წერილობით წარმოადგინა თხოვნა განმარტებების შესახებ, როგორც ეს მითითებულია სატენდერო დოკუმენტების პაკეტში.

**განმარტებები მომზადდა და ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:**

თამთა ბენაშვილი, მთავრობასთან და
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება
ბი-პი ექსპლორეიშენ (კასპიან სი) ლიმიტედ
დ. აღმაშენებლის გამზირი 123 ა
თბილისი, საქართველო 380064
ტელეფონი - (995 32) 699 600
ფაქსი - (995 32) 699 624

**განმარტებები ასევე განთავსებულია ინტერნეტ გვერდებზე:**

www.assistancegeorgia.org.ge
www.rec-caucasus.net
www.caspiandevelomentandexport.com

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ აპლიკანტებთან შეხვედრამდე, რომელიც ჩატარდება 2002 წლის 5 ნოემბერს, 14. 00 საათზე თბილისში, საბურთალოს ქ. 38-ში, გაიცემა განმარტებების მხოლოდ ერთი პაკეტი, რომლის მიღებაც შეიძლება 18 ოქტომბრიდან ზემოთ მითითებულ მისამართზე. განმარტებების მეორე პაკეტი გაცემულ იქნება 2002 წლის 28 ოქტომბერს. აღნიშნულ პაკეტში შესატანი შეკითხვები წარმოდგენილ უნდა იქნას 2002 წლის 24 ოქტომბრამდე. ამ თარიღის შემდეგ, ყველა შეკითხვა განხილული იქნება აპლიკანტებთან შეხვედრაზე.

# ოპოზიციონერობა ბათუმურად და ... რეალურად

*ბათუმური ალიანსი გულმოდგინედ ცდილობს ოპოზიციის ბანაკში მონოპოლისტური მდგომარეობის მოპოვებას. იგი დაჟინებით ირწმუნება, რომ მხოლოდ ის წარმოადგენს დღევანდელი ხელისუფლების ღირსეულ ოპონენტს და ყველა სხვა დანარჩენი ძალა მხოლოდ ფსევდოოპოზიციაა, რომელიც მმართველ კლანთან არის გარიგებული და საზოგადოებას თვალში ნაცარს აყრის.*

გიორგი ასანიშვილი

მის გარშემო არსებული კონკურენტული გარემოთი ბათუმური ბლოკის გაღიზიანება განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა პარლამენტის წინაშე პრეზიდენტ შევარდნაძის ამასწინანდელი გამოსვლის დროს. ხუთი საპარლამენტო ფრაქციის დემარშმა ასლან აბაშიძის დროშის ქვეშ გაერთიანებული გუნდი მეტად აღაშფოთა და ოპოზიციას არანაკლები რისხვა დაატეხეს თავს, ვიდრე თავად ქვეყნის მთავარ ხელისუფალს. "აღორძინების", "სოციალისტების" და "XXI საუკუნის" წევრთა განცხადებით, პლენარულ სხდომათა დარბაზის დატოვება შევარდნაძის ფრთის ქვეშ შეფარებული პოლიტიკური ძალების მიერ დადგმული სპექტაკლი იყო და ჭეშმარიტ ოპოზიციონერობასთან მას საერთო არაფერი ჰქონდა. გაისმა აგრეთვე მოწოდებები, რომ ორ სკამზე ჯდომა არაეთიკურია და დადგა დრო, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს, ვინ სად დგას.

ასლან აბაშიძის დროშის ქვეშ მყოფი გუნდის ოპოზიციონერობა სერიოზულად დადგება ეჭვის ქვეშ, თუ უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებაში მის ხელთ არსებულ ბერკეტებს გადავხედავთ. 15 საპარლამენტო კომიტეტიდან 4-ის თავმჯდომარე ბლოკ "დემოკრატიული აღორძინების" წარმომადგენელია. თანაც, ამ ოთხიდან სამი კომიტეტი (იურიდიულ საკითხთა, ეკონომიკური პოლიტიკის და რეგიონული პოლიტიკის), შეიძლება ითქვას, რომ საკვანძოა და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს პარლამენტის მუშაობის მიმართულებებს. თანაც, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელობა (თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოადგილე) მთლიანად "ბათუმელებით" არის დაკომპლექტებული. ამას დაუმატეთ ორი ქვეკომიტეტის თავმჯდომარის, 13 კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის და ორი ვიცე-სპიკერის პოსტი და ბათუმური ალიანსის ოპოზიციონერობიდან, ვგონებ, ბევრი აღარაფერი დარჩება.

დაჩაგრული და ლამის რეპრესირებული პოლიტიკური ძალის მანტიას აჭარის გუნდი, როგორც წესი, მაშინ მოისხამს ხოლმე, როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ასლან აბაშიძის ურთიერთობები იძაბება. მართალია, ასეთი პერიოდები საკმაოდ ხშირია, მაგრამ, სამაგიეროდ, "შტილის" დროს მათ შორის სრული ჰარმონია სუფევს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინა პერიოდი, როდესაც ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია, მაგრამ მდგომარეობა მოულოდნელად განიმუხტა და საკუთარი კანდიდატურის მოხსნისას, ასლან აბაშიძემ შევარდნაძის მხარდაჭერისკენაც კი მოუწოდა თავის ელექტორატს.

როდესაც აჭარული ალიანსი ჟვანია-სააკაშვილის ცრუ ოპოზიციონერობაზე საუბრობს და აცხადებს, რომ ისინი მხოლოდ შევარდნაძის ფრთებქვეშ დამკვიდრებისთვის იბრძვიან, ახლო მომავალში თითქმის ანალოგიური ბრალდება მათაც შეიძლება წაუყენონ: საზოგადოებაში უკვე გამოჟონა ხმებმა თარგამაძე-გელბახიანისა და გოგიტიძე-ბრეგაძის გუნდებს შორის მიმდინარე მძაფრი "შინაომის" თაობაზე. ეს ბრძოლა კი სულაც არ არის მსოფლმხედველობრივი. იგი მხოლოდ და მხოლოდ ბათუმის "სამეფო კარზე" (ანუ, ასლან აბაშიძის ფრთებქვეშ) მდგომარეობის განსამტკიცებლად წარმოებს.

მიუხედავად შიდა ინტრიგების გამძაფრებისა, "მოქალაქეთა კავშირის" მსგავსად ბათუმური ალიანსის რღვევაზე საუბარი არამართებულია. აღსანიშნავია, რომ აჭარის ბლოკს ჯერ კიდევ ჩამოყალიბების დროს უწინასწარმეტყველებდნენ დაშლას და ვარაუდობდნენ, რომ ის მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვერ მიაღწევდა. ასეთი პროგნოზები მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. მართალია, "ტრადიციონალისტები" ალიანსიდან, ფაქტობრივად, გავიდნენ და ვიცე-სპიკერის პოსტის მიღების შემდეგ სოციალისტებმაც დამოუკიდებლად დაიჭირეს თავი, მაგრამ "დემოკრატიული აღორძინების" ბლოკმა, მთლიანობაში, თავისი სახე მაინც შეინარჩუნა და დღემდე საკმაოდ კონსოლიდირებულად გამოიყურება..

მეტად ჭრელი და ამორფული აჭარული საარჩევნო ალიანსის სუბიექტებისთვის შემდუღაბებლის როლს პრორუსული პლატფორმა წარმოადგენს, რომელიც, თავის მხრივ, ასლან აბაშიძის ფიგურაშია "განივთებული". ცოტა უცნაურია ამ ალიანსში ზვიადისტური მიმართულების "XXI საუკუნის" ყოფნა, თუმცა, ამას თავისი ახსნა აქვს: ასლან აბაშიძესთან "ზვიადისტები" ედუარდ შევარდნაძის უსაზღვრო სიძულვილმა მიიყვანა. ისინი მზად არიან, აჭარის ავტონომიის ლიდერის პრომოსკოვურ კურსზე თვალი დახუჭონ იმის სანაცვლოდ, რომ "აღორძინება" არ შეეწინააღმდეგება "XXI საუკუნის" მიერ პარლამენტში ისეთი ნაციონალური ჟღერადობის მქონე თემების დაყენებას, როგორებიც არის, მაგალითად, ეროვნული რეკვიზიტისა თუ სახელმწიფო ენის საკითხები. ეს თემები კი, თავის მხრივ, პარლამენტში წარმოდგენილ ზვიადისტურ ფრთას საზოგადოების გარკვეულ ფენებში გავლენის შენარჩუნების და ამის შედეგად, პოლიტიკურ სივრცეში ადგილის შენარჩუნების საშუალებას აძლევს.

რაც შეეხება ბათუმური ბლოკის პრორუსულობას, იგი განსაკუთრებით თვალშისაცემი გახდა ბოლო პერიოდში, როდესაც ცენტრალური ხელისუფლება მოსკოვის მხრიდან ძლიერი წნეხისა და ზეწოლის ქვეშ მოექცა. აჭარის დეპუტაციის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კარგად გამოჩნდა პარლამენტში იმ დადგენილებების კენჭისყრის დროს, რომლებიც საქართველოს დსთ-დან გამოსვლას, აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანას და ნატო-ში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანების პროცესის დაჩქარებას შეეხებოდა. არც ერთ ამ დოკუმენტს აჭარის დეპუტაციამ ხმა არ მისცა.

სამაგიეროდ, ასლან აბაშიძე და მისი სადეპუტატო კორპუსი დაჟინებით მოითხოვს აფხაზეთის რკინიგზის გახსნას და აფხაზეთისთვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას, რაც, სავარაუდოდ, მოსკოვის კარნახით ხდება. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს ის ფაქტიც იძლევა, რომ ანალოგიური მოთხოვნები დააყენა ამასწინათ თბილისში მყოფმა სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ არმენ ხაჩატრიანმა, რომელმაც, ბათუმური ალიანსის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, "მოსკოვთან სტრატეგიული თანამშრომლობის მიზანშეწონილობის" შესახებ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე განაცხადა. ამდენად, საფიქრებელია, რომ თამაზ ნადარეიშვილისა და აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის, ისევე როგორც, პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნის აფიშირება მხოლოდ მანევრია და იგი მიზნად ისახავს ამ ხმაურზე საზოგადოების ყურადღების კონცენტრირებას, ამასობაში კი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პროცესის მოსკოვისთვის სასურველ კალაპოტში გადაყვანას.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვისა და მის ფონზე ცხინვალის რეგიონში ვითარების გამწვავების კვალობაზე, ასევე ერთობ დამაინტრიგებლად გამოიყურება ვახტანგ რჩეულიშვილის ახალი "ინიციატივაც" სამხრეთ ოსეთისთვის ავტონომიური ოლქის სტატუსის მინიჭების თაობაზე. თუმცა, შევარდნაძის გუნდში "შეძრომის" ღია მცდელობების მიუხედავად, რჩეულიშვილი უკანდასახევი ხიდების დაწვას არ ჩქარობს და ცდილობს, ნორმალური ურთიერთობები ასლან აბაშიძესთანაც შეინარჩუნოს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის ხელისუფლებასთან შეჭიდებული ორი პოლიტიკური ბანაკის დაპირისპირება ძალაუფლებისთვის მებრძოლი ოპოზიციური დაჯგუფებების ჭიდილის კლასიკურ სცენარს სცილდება. ეს უფრო მაღალი ხარისხის პაექრობაა, კერძოდ კი, ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაა. მათ შორისაც არჩევანის გაკეთება საქართველოს მოქალაქეებს სულ რაღაც ორიოდე წლის შემდეგ მოუწევთ, როდესაც შევარდნაძე პოლიტიკური პოდიუმიდან ჩამოვა და მისი ადგილმონაცვლე გუნდის საკითხი მთელი სიმწვავით დაისმება.

**მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაცია**

**აცხადებს კონკურსს საგამოძიებო ჟურნალისტიკაში**

ჟურნალისტური გამოძიების თემა უნდა იყოს მიწა და უძრავი ქონება, ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა და რეგისტრაციის პროცესი, ასევე უკანონო მშენებლობები, მიწის უკანონო გამოყოფა და გამოყენება (განსაკუთრებით, სახელმწიფო იჯარები), მეწარმეთა და მიწის მესაკუთრეთა პრობლემები.

კონკურსში მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობაა წარმოდგენილ პროექტს თანდართული ჰქონდეს კონკრეტული მასობრივი ინფორმაციის საშუალების რედაქტორის სარეკომენდაციო წერილი, რომელშიც აღინიშნება, რომ მომზადებული ჟურნალისტური გამოძიება დაბეჭდება ან გადაიცემა ეთერში. დაბეჭდილ ან ტელევიზიით გადაცემულ ჟურნალისტურ გამოძიებას უნდა მიეთითოს „მომზადებულია მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან თანამშრომლობით".

მომზადებული გამოძიებების გამოქვეყნების უფლება ასევე აქვს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას.

კონკრეტული პროექტისათვის მოთხოვნილი თანხის საჭიროება შეფასდება ავტორთან ერთად.

დაინტერესებულმა ჟურნალისტებმა კონკურსში მონაწილეობის მისაღებად პროექტები უნდა წარმოადგინონ 28 ოქტომბრის 17.00 საათამდე.

**კონსულტაციები გაიმართება ყოველდღე, 15.00 საათზე ასოციაციის ოფისში:**
გაგარინის I შესახვევი, N8; ტელ/ფაქსი: 93-12-76, 93-16-81, 98-62-92

ელ-ფოსტა: office@aplr.org
ვებგვერდი: www.aplr.org

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
სახელმწიფო მმართველობის სკოლა
ამერიკული სამაგისტრო პროგრამები

საბუთების ჩაბარების ბოლო ვადა - 2002წ. 30 ოქტომბერი

ბროსეს ქ. №2, თბილისი 380008, ტელ/ფაქსი 931466, www.gipa.ge

www.24hours.ge 24 B

*მავანნი, პრუსტ-ჯოისის სახელთა ხმარებაში მკლავგამამაცურებულნი, მისაყვედურებენ — რაღადროს სტენდალიაო, — მაგრამ იმ მადლიანის "წითელსა და შავში" ერთი ადგილი რომაა, საცა ამბობს, მწერალი ერთი უბრალო კურტნის მუშაა, ზურგზეც თავისი რომანის სარკე აუკიდია და ისე მიუყვება ცხოვრების აღმართსო, — იმას ნამდვილად ბევრი ვერ შეედრება. ჩვენი გაზეთიც ხომ სარკეა, ზურგზე რომ აგვიკიდია და შიგ ჩვენი საზოგადოების ავ-კარგი ირეკლება. ყველას გვინდა, ეს საზოგადოება რაც შეიძლება დალაგებული იყოს, მისი ანარეკლი კი — რაც შეიძლება ზუსტი. ამიტომ ხან გზას მივადგებით ხოლმე ბარითა და წერაქვით, ხანაც სარკეს — ჩვრითა და ღრუბლით. სარკის მწმენდავად რომ მე დამნიშნეს, ეს ხომ ყველამ იცით, ჰოდა, ეს ჩემი შრომა და გარჯა მთლად უქმად რომ არ დაკარგულიყო, გადავწყვიტე ერთხელაც გზის მშენებლებთანაც გამეცვალა ერთი-ორი კეთილი და საქმიანი სიტყვა.*

ნოდარ ლადარია

ამიტომაც მოვიწვიე სასაუბროდ სამოქალაქო საზოგადოების მესვეური და ამავე დროს ჟურნალისტური გამოცდილების მქონე სამი კაცი: **დავით პაიჭაძე** (რადიო "თავისუფლება"), **სოზარ სუბელიანი** და **ზურაბ ჭიაბერაშვილი** (ორივე - "თავისუფლების ინსტიტუტი"). საუბარი დიდხანს გაგრძელდა და მისი მდინარება ოთხ ძირითად ნაკვეთად შეიძლება დავყოთ. ადგილის დასაზოგად და საუბრის მეგობრული ტონის შესანარჩუნებლად ჩვენს სტუმრებს სახელებით მოვიხსენიებ.

■ ■ ■

ერთხელ უკვე გამოვაქვეყნე ლევან რამიშვილის ნახევრად სერიოზული, მაგრამ მაინც გონებამახვილური აზრი, რომ "24 საათი" დემოკრატიული ძალის ოფიციოზია. ავირჩიოთ ეს დებულება საწყის წერტილად და გავარკვიოთ ზოგიერთი საკითხი.

**რას ელით გაზეთისაგან და როგორ მართლდება თქვენი მოლოდინი? რას კითხულობთ ყველაზე ხშირად?**

- ინფორმაციას ველი, - ალალად მიპასუხა ზურაბმა, - ოღონდ მოწესრიგებული უნდა იყოს, ე. ი. ყოველი მოვლენა გარკვეულ ლანდშაფტში, გარემოში უნდა იყოს ჩართული. სწორედ ამით გამოიხატება გაზეთის მიმართულება. იმის მიხედვით, თუ რა კონტექსტში სვამს ავტორი აღსაწერ მოვლენას, გამოჩნდება, თუ რა იდეოლოგიას წარმოადგენს.

მე, ძირითადად, A-ბლოკის მკითხველი ვარ და იმ დამატებებისა და ჩანართებისა, რომლებიც ამ თემატიკასთანაა დაკავშირებული. რაც შეეხება დამატებებს, ერთხელ წავიკითხე "სპეცსამსახურები", ვკითხულობ "ევროისტორიას", განსაკუთრებით გამოვყოფდი დამატება "სამართალს", სადაც ნიკოლოზ რურუა აქვეყნებს უაღრესად საინტერესო მასალებს. წასაკითხის სელექცია დროის ნაკლებობითაა გამოწვეული. მაგალითად, ვერ ვეცნობი ლიტერატურულ დამატებებს. მაგრამ ამ წაღმა-უკუღმა ბეჭდვას ვერა და ვერ მივეჩვიე.

უკანასკნელმა ფრაზამ საერთო მოწონება დაიმსახურა და ჟრიამული საკმაო ხანს არ ცხრებოდა, სანამ სიტყვა დათომ არ აიღო:

- ზურას ნათქვამის პროეცირება მინდა მოვახდინო ლევან რამიშვილის ზემოხსენებულ დებულებაზე. თუ ყველა მოვლენა წინასწარ მოცემულ კონტექსტში იქნება ჩასმული, გაზეთი მართლაც დემოკრატიულ ძალთა ოფიციოზად გადაიქცევა ამ სიტყვის ყველაზე ცუდი მნიშვნელობით, რადგანაც სულ მალე ადვილად პროგნოზირებადი გახდება. რაც შეეხება იმას, თუ რას ვკითხულობ, უნდა ვთქვა, "24 საათმა" მალე გამოდევნა ჩემი საკითხავიდან დანარჩენი პრესა. მაგრამ, შესაძლებელია, ეს ახალი ცოცხის ეფექტიც იყოს, თუმცა აქ არიან ავტორები, რომელთაც ახალ ცოცხს ნამდვილად ვერ უწოდებ.

კვლავ ზურაბი ჩაერია საუბარში: სულაც არ ვგულისხმობდი, რომ კონტექსტი იდეოლოგიური უნდა იყოს. მე წმინდად ინფორმაციულ კონტექსტზე მოგახსენებთ: ერთი მოვლენა სხვა მოვლენათა გარემოში უნდა მოთავსდეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ყოველი ცალკეული მოვლენის წინაისტორია.

- კი მაგრამ, - შევბედე, - იქნებ მოვლენა კი არა, პროცესია. დღითიდღე ხდება მისი გაშუქება. ყოველთვის ხომ წინაისტორიას არ მიუწერ, ახლა საპნის ოპერებსაც არ ურთავენ წინა სერიების შინაარსს.

არც ზურაბი დამეთანხმა და არც სოზარი, რომელმაც ახლა პირველად დაარღვია დუმილი:

- როცა რადიო "თავისუფლებაში" ვალერი ასათიანისა და "რუსთავი-2"-ის კონფლიქტს ვაშუქებდი, მიუხედავად შეზღუდული საეთერო დროისა, ყოველთვის თავიდან მოვყვებოდი მოვლენებს. მუდამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ არის ვიღაც, ვინც პირველად უერთდება პროცესის გადმოცემას. ტექსტის გამრავალფეროვნება და მოსაწყენობის დაძლევა ყოველთვის შესაძლებელია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნაკლებად ცნობილი რეალობები არასოდეს შემოვიყვანოთ განუმარტებლად. მე, მაგალითად, B-ბლოკის ერთ პუბლიკაციაში წავიკითხე, რომ რაღაც კურდღლებმა ატლანტის ოკეანე გადაცურეს ამერიკიდან იაპონიამ-




დე. კაცმა რომ თქვას, ეს წყნარი ოკეანე უნდა ყოფილიყო, თანაც ძალიან გვიან გავიგე, რომ კურდღელი ჟურნალ "პლეიბოის" სიმბოლო ყოფილა. საკითხავი დრო არც მე მყოფნის, რადგანაც ძალიან დიდი გაზეთია, მაგრამ დღეს ერთი საათი დავხარჯე საერთაშორისო ნავთობკომპანიის პრეზიდენტთან ინტერვიუს წასაკითხად და არც მინანია, რადგან ნამდვილად საეტაპო პუბლიკაცია იყო. განსაკუთრებით ვაფასებ სხვადასხვა დამატებებს, რომლებშიც ზოგჯერ არა მარტო წასაკითხი, არამედ შესანახი მასალებიც იბეჭდება. და ბოლოს: კარგია, რომ "24 საათში" ისეთი მასალები იბეჭდება, სადაც თვით ჟურნალისტის პოზიცია ნაკლებად ეჩხირება თვალში მკითხველს.

■ ■ ■

სამოქალაქო საზოგადოების ჩამოსაყალიბებლად მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენში რაც შეიძლება ფართოდ გავრცელდეს და ღრმად შეაღწიოს შეგნებაში ლიბერალურმა ღირებულებებმა. ამ თვალსაზრისით შემდეგი შეკითხვა შეიძლება დაისვას: **როგორ უნდა ემსახურებოდეს ყოველდღიური გაზეთი საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბებას?**

აქ სოზარმა გაიხსენა ნიკოლოზ რურუას მიერ მომზადებული ერთი პუბლიკაცია, რომელიც ამერიკის ერთი შტატის გუბერნატორის მიერ ჟურნალისტ ზინგერის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს შეეხებოდა. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, რომ XVIII საუკუნეში, როცა საქართველოში ნადირშაჰი ლაშქრობდა, თვით ამერიკაში კი შავკანიანები ადამიანებად არ მიაჩნდათ, ჟურნალისტმა დაიცვა სიტყვის თავისუფლება და პროცესი მოიგო. თან ამგვარი დასკვნა მკითხველს თვითონ გამოაქვს, ყოველგვარი პირდაპირი ძალდატანების გარეშე. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ გაზეთში გამოჩნდებიან კომპეტენტური ექსპერტები და იტყვიან, მაგალითად, რა გადაწყვეტილებას გამოიტანდა საქართველოში არსებულ სასამართლო პროცესზე ევროპის სასამართლო. და საერთოდ, ზოგი მნიშვნელოვანი ადგილობრივი მოვლენა რაღაც მსოფლიო კონტექსტში უნდა ჩაისვას, კომენტარი კი მრავალმხრივი უნდა იყოს.

- მართლაც, - ჩაერია ზურაბი, - ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებას ქადაგების სახე არ უნდა მიეცეს. აი, მაგალითად, იმავე დამატებაში ვკითხულობთ ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ - ეს ხომ მშვენიერი და თვალსაჩინო მაგალითია იმისა, როგორ აღწევს ადამიანი უდიდეს ავტორიტეტს ძალაუფლებაზე მუდმივი უარით. ერთი მხრივ საჭიროა დავანახოთ მკითხველს, არსებობს თუ არა უცხოური გამოცდილების რაიმე პარალელები ჩვენს ქართულ სინამდვილეში. მეორე მხრივ კი, ხომ ვიცით, რომ ჩვენს ხალხს უყვარს პოლიტიკაზე მსჯელობა. ბუნებრივია, ადამიანების საუბრებში უკვე გამომუშავდა გარკვეული ტერმინოლოგია და არგუმენტაციის წესები. ჟურნალისტმა უნდა შეძლოს ყოველდღიური ტერმინოლოგიის გამოყენებით დიდ თემებზე მსჯელობა და ამ ტერმინოლოგიისა თუ არგუმენტაციის ძალდაუტანებლად განვითარება, მასში ახალი ელემენტების შეტანა და მისი აღზრდა. აუცილებელია, რომ ყველამ, რაც მთავარია, უბრალო ადამიანებმა შეძლონ გაზეთში გამოქვეყნებულ თემებზე მსჯელობა...

ამ ეტაპზე დათოს მოუწია იმის დამტკიცება, რომ ფილოლოგია (მისი პირველადი პროფესია), შლეგელის თქმისა არ იყოს, ტექნიკურად ავითარებს ადამიანის კრიტიკულ მიდრეკილებებს.

- არიან კი ეს უბრალო ადამიანები "24 საათის" მკითხველები? - იკითხა მან.

- არა, არა! - მოიგერია ზურაბმა, - ასე საკითხს ვერ დავაყენებთ. აქ მე ვსარგებლობ შემთხვევით და არ ვეთანხმები ლევან რამიშვილის დებულებას დემოკრატიულ ძალთა ოფიციოზის შესახებ. ეს გულისხმობს, რომ ჩვენ დაბალი აზრისა ვართ ჩვენს საზოგადოებაზე. მე კი მჯერა მისი. აი, მაგალითად, ახლა ვაჟა-ფშაველას გამზირზე მიმდინარეობს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების გამოფენა-გაყიდვა, რომელიც "ელკანამ" მოაწყო. საზოგადოებრივი მოძრაობები შეინიშნება და გაზეთმაც უნდა ასახოს ეს ყველაფერი. ამაზე კარგი რა უნდა იყოს საზოგადოებრივი შეგნების ასამაღლებლად.

*დიახაც, უნდა ასახოს და ასახავს კიდეც. აი თუნდაც 10 ოქტომბერს გამოქვეყნებული სტატია ჩურჩხელა და ლობიანი კოკა-კოლას ნაცვლად, რომელიც მწვანეთა მიერ თბილისის ქუჩებში გენეტიკურად დაუმუშავებელი საკვების სარეკლამოდ გამართულ აქციას ეძღვნება.*

საბოლოო წერტილი საუბრის ამ მეორე მონაკვეთს დათომ დაუსვა, ჩემი აზრით, ერთობ არსებითი შენიშვნით:

- ვფიქრობ, რომ მთავარია თვითონ ჟურნალისტი იყოს განმსჭვალული დემოკრატიული ღირებულებებით, თვითონ მან იცოდეს, რას ნიშნავს ეს და იზიარებდეს ამას. მაშინ, რაზეც არ უნდა წეროს, კომენტარების გარეშეც ეს ცოდნა მისგან დამოუკიდებლად იჩენს თავს.

■ ■ ■

მაგრამ კონტექსტში განა მოვლენებია ჩართული, კონტექსტში თვით გაზეთი იმყოფება. მე კი მეშინია, რომ ჩვენს რეალობაში გამჯდარმა პატრიარქალურმა მიდრეკილებებმა თვით სამოქალაქო საზოგადოებაზე არ მოახდინოს არასასურველი გავლენა. აი, მაგალითად, ტრადიციულ საზოგადოებებში ფეიქრის შვილი მხოლოდ ფეიქარი თუ გამოვიდოდა. მაგრამ მერე, საბერძნეთში შეიქმნა ყველასათვის საერთო სამოქალაქო მდგენელი: ფეიქრის გარდა ადამიანი მოქალაქეც იყო. ეს ვითარება ქრისტიანობამ შემოგვინახა, რომლის წიაღში მონაც და ბატონიც ქრისტიანები იყვნენ. **ხომ არ ემუქრება ჩვენში სამოქალაქო საზოგადოების წევრობას ერთ კერძო და საკმაოდ უპრესტიჟო პროფესიად გადაგვარება?**

აქ ინიციატივა სოზარმა აიღო და შემდეგი მოგვახსენა:

- თუკი ჩვენში ლიბერალური ღირებულებების გაშინაგანება საზოგადოების ყველა წევრის, ან ყოველ შემთხვევაში, უმრავლესობის მიერ ერთნაირად არ ხდება, ეს მნიშვნელოვანწილად მედიის, კერძოდ, პრესის ბრალიცაა. ფაქტის გაშუქების სქემა ძირითადად ასეთია: მაგალითად, ბასილი მკალავიშვილის მრევლი არბევს ევანგელისტთა კუთვნილ საწყობს და ცეცხლში წვავს ბიბლიებს. ხდება მომხდარის გაშუქება, რომელსაც მოსდევს ინტერვიუ თვით ბასილ მკალავიშვილთან. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ ეშმაკის მსახურთა მოღვაწეობა აღკვეთა საქართველოში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყოველივე ასეც უნდა იყოს. სხვანაირ კომენტარს არ იძლევიან. ეს კი არათუ ანტილიბერალური, უბრალოდ, ანტიადამიანური ღირებულებების დამკვიდრებაა, რომლის წყალობითაც ჩვენს საზოგადოებაში ხდება არა, მაგალითად, სარწმუნოებრივი ექსტრემისტების, არამედ სამოქალაქო საზოგადოების დამცველი ჯგუფების მარგინალიზაცია, ანუ მარგინალიზაცია იმ პოზიციისა, რომელიც საყოველთაოდ მიღებული უნდა იყოს საზოგადოებაში. ამ მიზეზითაა, რომ ჩვენში დემოკრატიული ღირებულებები გადამთიელთა მიერ "შემოგდებულ" იდეოლოგიებად აღიქმება. ასეთი ვითარება იმას მაგონებს, ვთქვათ, ამერიკაში 11 სექტემბრის ტერაქტის რეპორტაჟის შემდეგ ეროვნული ტელევიზიით ბინ-ლადენის ინტერვიუ რომ გასულიყო, სადაც პირველი ტერორისტი იტყოდა, რომ მას სამართლიანობის აღდგენა და მსოფლიოს ამერიკული დიქტატისაგან გადარჩენა სურდა. უნდა ვთქვა, რომ თვით პოლიტიკური პარტიებიც ხშირად ვარდებიან ამგვარი მსოფლმხედველობის გავლენის ქვეშ, განსაკუთრებით, როცა ამომრჩევლისთვის ბრძოლა უხდებათ. პოლიტიკური ძალების მთავარი თეზისი ის კი არაა, რომ ისინი გადაჭრით ემიჯნებიან უკიდურესად რადიკალურ გამოვლინებებს, არამედ ის, რომ საზოგადოებას პირდებიან იმავე რადიკალური იდეალების უფრო "კარგი" და ზომიერი მეთოდებით დამკვიდრებას. ამ მდგომარეობის გაღრმავებას, ვიმეორებ, ხშირად ხელს უწყობს ჩვენი მედია.

- მე სულაც არა ვარ მომხრე, - სიტყვა ჩამოართვა ზურაბმა, - რომ ბასილ მკალავიშვილზე სიტყვის თავისუფლება არ ვრცელდებოდეს, მაგრამ ყველანაირი თვალსაზრისის გადმოცემა ერთნაირად უნდა მოხდეს. მაშინ მედია თვითონაც დარჩება ლიბერალური ღირებულებების მოქმედების სფეროში და გაავრცელებს კიდეც მათ. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები კი, რა თქმა უნდა, ყოველთვის ცოტანი უნდა იყვნენ დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით.

დათომ კი დამამშვიდა, რომ თუმცა სამოქალაქო საზოგადოების მესვეურთა საქმიანობა პროფესიას მართლაც ემსგავსება (ბუნებრივია, რომ მათაც უნდა ჭამონ პური და მწყემსი სამწყსოსაგან იკვებება), ამაში იგი ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავს.

- მთავარი საფრთხე სხვაგანაა, - თქვა მან, - სამწუხაროდ, ქართული ფული, ქართველ ბიზნესმენთა წვლილი ვერა და ვერ შეეწია სამოქალაქო საზოგადოების საქმეს. მდიდარი ქართველები ამაში ჯერ საკუთარ მოგებას ვერ ხედავენ.

რას იზამ, - გავიფიქრე, - მე საერთოდ არ ვიცნობ მდიდარ ქართველებს. ფულიანებს კი, მაგრამ მდიდრებს - არა. სიმდიდრე ხომ, სიღარიბის მსგავსად, რაოდენობითი კატეგორია არაა, იგი სულის მდგომარეობაა. მდიდარია ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებაში მონაწილეობს და ამ წესრიგს პირველი იცავს. ჩვენში კი მატერიალური სახსრები წესრიგისაგან თავის არიდების საშუალებადაა მიჩნეული. რამდენჯერ მინახავს მოსკოვში მიმავალი ფულიანი და ოდნავ მთვრალი ქართველი "აეროფლოტის" თვითმფრინავში. ხომ გახსოვთ, როგორ პასუხობს ბორტგამცილებლის შენიშვნას ქამრის შეკვრის თაობაზე: "პადაჟდი, რადნაია, მი ზდეს... სულ სხვა გაგება... ვობშემ, მი ზნაემ ტუტ...". საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დონეზე ხომ იგივე მეორდება და ჩვენი ბიზნესმენი უფრო დიდი სიამოვნებით დააფინანსებს ეკლესიის მშენებლობას, ვიდრე საღვთისმეტყველო ჟურნალის გამოცემას, რადგანაც სიტყვებს არ ენდობა, ქვებისა კი სჯერა.

ჯერაც დაბალია ჩვენში კულტურის დონე, - იტყვის რომელიმე საშუალო გაქანების სნობი და ამჯერად მართალიც იქნება.

■ ■ ■

კიდევ რა მინდა გითხრათ, მეგობრებო: სამოქალაქო საზოგადოება და კულტურა მინდა დავაკავშირო ერთმანეთთან. საკითხის გასამწვავებლად შეიძლება ასეთი რამ ვთქვათ: იმის სათქმელად, შევარდნაძის კლანმა საქართველო შეჭამაო, დაახლოებით ისეთივე კულტურული დონეა საჭირო, როგორც თვით შევარდნაძის წიგნებისა და სიტყვების გამოცემისთვის. ასე რომ, ამ ორ შესაძლებლობას შორის არჩევანი კულტურის სიბრტყეზე არ დევს. იქნებ ამიტომაა, რომ დღეს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება, ჩვეულებრივ, აკულტურულია? სულაც არ ვამბობ, რომ კულტურის წინააღმდეგაა მიმართული, უბრალოდ ანგარიშს არ უწევს მას. აქედან გამომდინარე, **როგორ უნდა ჩაერთოს კულტურის სფერო სამოქალაქო საზოგადოების იდეალთა დამკვიდრებაში?**

- ალბათ, B-ბლოკისკენ გინდა მიმართო ჩვენი საუბარი, - მიმიხვდა ზურაბი, - მე შექმნილი ვითარების რამდენიმე მიზეზს დავასახელებდი.

ჯერ ერთი, კულტურის გაშუქებისას არანაირად არ უნდა მიიჩქმალოს გამშუქებლისა და მისი ობიექტის სამოქალაქო პოზიცია. აი, მაგალითად, ჩემს ოჯახში საგრძნობლად ამაღლდა სტეფანეს ავტორიტეტი მას შემდეგ, რაც მან "კურიერის" ეთერში დარეკა და თავისი სამოქალაქო პოზიცია დაიცვა. არა, ქართულ ესტრადას არც ახლა ვუსმენთ, მაგრამ საგრძნობლად შეგვეცვალა აზრი მის ქომაგებზე. ამავე დროს, კულტურის კავშირი სამოქალაქო პოზიციასთან არ უნდა იყოს დაყვანილი რომელიმე ჯგუფის წინასაარჩევნო კონცერტზე. უფრო პოზიტიური მაგალითის სახით მინდა მოვიყვანო ლევ ტოლსტოის წერილი რუსეთის სინოდს ეკლესიიდან მისი განკვეთის შესახებ დაწერილი. ამ ტექსტს ახლა ვამზადებ გამოსაცემად "თავისუფლების ინსტიტუტის" ჟურნალში. აი, აქ ჩანს დიდი მწერლის მოქალაქეობრივი პოზიცია. ყოველთვის გარკვეული უნდა იყოს, ვის გვერდით დგანან კულტურის მოღვაწენი.

მეორე მომენტის ასახსნელად ისევ A-ბლოკში უნდა გადავინაცვლო. მაგალითად, ხშირად ვკითხულობ უცხოეთის ამბებს და სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ აქ უკვე მსოფლიოსთან პირდაპირი კავშირი დამყარდა და თითქმის მთლიანად გამოვედით რუსეთის საინფორმაციო სფეროს გავლენიდან. იგივეს ვერ ვიტყვით კულტურის შესახებ: აქ ჯერ კიდევ იმით ვსაზრდოობთ, რომ ბათუმში ზემფირამ იმღერა, თბილისში კი გრებენშჩიკოვი ჩამოვიდა. თუ უცხოეთის განყოფილების სახით ფანჯარა გაიჭრა, კულტურის სფერო ჯერაც საკმაოდ დაგმანულია.

მესამე მომენტი კი ისაა, რომ კულტურის სფერო სულ ახალბედა ჟურნალისტებსაც ძალიან ადვილად ეჩვენებათ. აი, პოლიტიკაში ვერ ვერკვევით, - ამბობენ ისინი, - კულტურას კი რა უნდა, წახვალ გამოფენაზე და დაწერ რამეს. აქედან მოდის მერე ათასგვარი დეფილეებისა და "ტუსოვკების" რაღაც მაღალი კულტურის რანგში აყვანა.

- ისე კი, - ჩავერთე მე, - ხშირად ჩვენში ამ მდგომარეობის მიზეზად თვით კულტურული პროცესის სიდუხჭირეს ასახელებენ. მაგალითად, ამბობენ, რომ მთვრალი ბაშმეტის მეტი არაფერი დავიმსახურეთ. მაგრამ განა კულტურული პროცესის ნაკლები ინტენსივობა ან თუნდაც არარსებობა მის მჩქეფარე მიმდინარეობაზე ნაკლები საფუძველია გასჯისთვის? განა თვით ვერსია, თითქოს მსოფლიოში აღიარებული ალტისტი, ბაშმეტი კონცერტის დროს მთვრალი იყო, რასაც თვითმხილველთა დიდი და საქმეში ასევე ჩახედული ნაწილი არ ადასტურებს, არ შეიძლება იყოს მშვენიერი საბაბი ჩვენს კულტურულ მდგომარეობაზე დასაფიქრებლად?

- რა თქმა უნდა, - დამეთანხმა დათო, - და მაგალითად ნინო ცინცაძის მიერ ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულ სტატიას მოვიყვან, სადაც ზვიოს ფენომენი დაკავშირებული იყო ჩვენი სამოქალაქო შეგნების დონესთან. იგივე შეიძლება ითქვას გოგი გვახარიას ორ ბოლო წერილზე, რომელიც მის პერსონალურ სვეტში დაიბეჭდა. აქ მე იგივეს ვიტყვი, რასაც ლიბერალური ღირებულებების თაობაზე ვამბობდი, თუმცა კი აზრი თავისთავად ცხადია: თუ ავტორმა იცის, რა არის კულტურა, ეს ყოველთვის გამოჩნდება და მისი პროდუქციაც სასარგებლო იქნება ყველასათვის. კულტურაზე არ უნდა წერდეს კულტურულად მოუმწიფებელი ადამიანი.

ამ თავისთავად ცხადი დებულებით მინდა დავასრულო ჩვენი საუბრის ეს მეტ-ნეკლებად სრული გადმოცემა და იმედი გამოვთქვა, რომ ჭკვიანური აზრები არც ჩვენს გაზეთს მოაკლდება და არც ჩვენს საზოგადოებაში ჩაქრება. მომავალ შეხვედრამდე!



ზურაბ ჭიაბერაშვილი და ნოდარ ლადარია



დათო პაიჭაძე და სოზარ სუბელიანი

ლადო ბურდულის სვეტი

# მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



გაგრძელება

როცა დიდი ხნის არყოფნის შემდეგ ისევ უბრუნდები ასე ნანატრ და გაიდეალებულ სამშობლოს, ალბათ ყველასათვის ნაცნობია ის პირველი დარტყმა, ილუზიების დამსხვრევა და სასოწარკვეთა იმ მკაცრ სიმართლესთან პირისპირ შეჯახების შემდეგ, რასაც ქართული რეალობა ჰქვია.

მაგალითისთვის:

1. აეროპორტის ფანჯრის მიღმა მშიერი თვალებით მომწყდარი, ცხვირში თითშეყოფილი, ცნობისმოყვარე მომსახურე პერსონალი, ასე დაუსჯელი, შემაწუხებელი გამომეტყველებით.

2. მტრულად განწყობილი ძალოვანები, რომელნიც თავიანთი გამჭოლი მზერით უდანაშაულო კაცსაც კი გაამხელინებენ ბავშვობაში ჩადენილ ცოდვებს.

3. ტაქსები თავიანთი ფასებით და როცა საზოგადოებრივი ტრანსპორტის ძიებას შეუდგები, მძღოლები მრავალმეტყველი "გაები ჩიტო მახეში" ღიმილით.

4. და დამაგვირგვინებელი ნომერი: ბნელ ქალაქში შემოსვლა ნაცნობი თბილისური კეთილმოწყობილი გზებით და ცალფარა, გაფუჭებული თბილისური კერძო ტაქსით, სადაც ასე გადამდები და უსიამოვნო ლექსიკონით სავსე "მძღოლის სიმართლის" რეპერტუარის "ვინუჟდენი" მსმენელი ხდები.

საკმარისია, თბილისის აეროპორტში ურთიერთობაში შეხვიდე ერთ-ერთ მათგანთან, რომ მიხვდები - მეტი არც არის საჭირო, რადგან მთელი ქალაქი იდენტურია თავისი ჩაცმულობით, მეტყველებით, გემოვნებით, სურვილებით, აზროვნებით, ხასიათით, ნუ, ცოტა იქეთ და ცოტაც აქეთ; იმიტომ, რომ ასეთ რეგიონებში განსხვავებულობა და ინდივიდუალურობა ფულის მომტანი კი არ არის, როგორც იქ, შორეულ, ველურ დასავლეთში, არამედ სიცოცხლისთვის საშიში და უამრავ პრობლემებში გახვევის საბაბი.

ასევეა ქართული "პოპსა" შოუ-ბიზნესიც. საკმარისია, ერთი მოისმინო და ნახო, რომ უკვე ყველაფერი ნათელი გახდეს. აქ განსხვავებულობა და ინდივიდუალურობა დაპირისპირების და თვითლიკვიდაციის ტოლფასია. ქართული შოუ-ბიზნესი, რომელიც "პოპსავიკებს" და მათ ლობის ასეთი შესაშური ოჯახური პრინციპით და მაფიური იდეოლოგიით აქვთ შეკრული კომუნისტურ პიონერთა ბანაკებში ნასწავლი დევიზით - "ძალა ერთობაშია", ან თუნდაც "ერთი ყველასთვის, ყველა ერთისთვის" და ა.შ., იდენტურია ალა პუგაჩოვას მეგობრული უნიჭო თეატრის, რომელსაც წერტილი ამხელა რუსულ ბაზარზე მხოლოდ ერთმა როკ-მომღერალმა გოგონამ, ზემფირამ ასე უკანდაუბრუნებლად დაუსვა და ჩააბარა დროს.

თქვენ მართლა გგონიათ, რომ საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყოველწლიურად 50 მოცარტი იბადება?

ის ხალხი, ვისაც 80-იანებში რეალურად შეეძლოთ და ქმნიდნენ კიდეც თანამედროვე ქართული მუსიკალური აზროვნების ახალ მაკეტებს (თუ რამეა დღეს ღირებული, მხოლოდ ამ ბაზაზეა შექმნილი და ასე ცუდად და დამახინჯებით იმიტირებული), გაყარეს ან აიძულეს ქვეყნის დატოვება ჩვენთვის ნაცნობი პრინციპების გამო, რასაც ჰქვია განსხვავებულობა და ინდივიდუალურობა პლიუს როკ-ნ-როლი, ანუ გარდაქმნები და უკომპრომისობა გოიმობის და უგემოვნოების წინააღმდეგ: ქიშო გლუნჩაძე, დადა დადიანი, დათო ჭავჭანიშვილი.

მოდით, გავიხსენოთ ის საერთო ფონი, რომელზედაც იქმნებოდა თანამედროვე ქართული მუსიკა და რომელზეც ქართულ არარსებულ კრიტიკას არასდროს არ გაუმახვილებია ყურადღება და ურომლისობამაც დააკანონა და არია ფასეული უფასურში, მარგებელი ურგებელში და ა.შ. რომელიც დღემდე არსებობს მხოლოდ ჭორების, სუბიექტური აზრების ან თვით შემსრულებლების მიერ გაზვიადებულად წარმოდგენილი შეხედულებებით თავის შემოქმედებაზე და როლზე მის მშენებლობაში და მხოლოდ დადებითი მხარეების მისაკუთრებაში.

რა იყო 80-იან წლებამდე, ვთქვათ, ქართულ როკში? ძირითადად, ორი მიმდინარეობა:

1. გიტარულ-ინსტრუმენტალური სკოლა, როგორც საკუთარი, ასევე დასავლური კოლექტივების რეპერტუარის პლაგიატით.

2. ინგლისურენოვანი ჯგუფები - ისიც ჩვენი და ჩვენი წინა თაობისთვის კარგად ნაცნობი ინგლისურენოვანი კოლექტივების რეპერტუარის სრული პლაგიატით ან სავსებით უხარისხო და უგემოვნებო საკუთარი ვერსიით.

სწორედ ამან განაპირობა ის, რომ საქართველოში ქართული როკ-ნ-როლი ვერ შეიქმნა და მან მოდის სახით გადაიარა 70-იანებში, როცა წესით მთელი საზოგადოება მომართული იყო მის მისაღებად, გასასისხლხორცებლად და გასავითარებლად, ისე როგორც ეს სხვა ნებისმიერ ქვეყანაში მოხდა. იმ წლებში, საკმარისი იყო თმები მოგეშვა და უბრალოდ გიტარა დაგეჭირა, რომ გარანტირებული ანშლაგი გქონდა, ყველა ჩატარებულ კონცერტზე, ყველაზე მიყრუებულ სოფლებშიც კი და გაძლიერებული მილიციის დაცვით, ყველანაირი რეკლამის გარეშე. ეს ამ ჩვენს უამრავ FM და TV არხების ეპოქაში დღესაც გასაკვირად და სენსაციურად ჟღერს თვით ქართული პოპსავიკებისთვისაც კი. მაგრამ მას შემდეგ, რაც ასაღები აიღეს და დასადები ვერ დაიდო, ვერ ჩამოყალიბდა შემფასებლობის ინსტიტუტი ანუ კრიტიკა, ხოლო ბუმზე აყოლილი კოლექტივები კი დღევანდელი პოპ ვარსკვლავებივით მომრავლდნენ, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში მოხდა ფასეულობების გადაფასება. მაგრამ, უმთავრესი მიზეზი მაინც ის იყო, რომ ვერ დაიწერა სიმღერები, რომლებიც ხალხის გულებს შეეხებოდა, საზოგადოება მათ აიტაცებდა და დროში დარჩებოდა, როგორც ჭეშმარიტი ხელოვნების ყველა ნიმუში. ანუ მათ ვერ შექმნეს და ვერ მოარგეს ქართული ტექსტი და ხასიათი როკს და ის ქართველი მსმენელისთვის დარჩა უცხოურთან ასოცირებული მიმბაძველობის ნიმუში.

ქართული "პოპსა" კი იმ დროს ასე გამოიყურებოდა: სცენაზე შავ კაბებში ქართველი კლდემამოსილი მანდილოსნები და შარვალ-კოსტუმებში მარად მწვანე მამაკაცები გაშეშებული გიტარებით, უმისამართო ილუზიაში დაკარგული ლექსებით და ტკბილი ჰანგებით.

აი, ამ საერთო ფონზე გამოჩნდა ის, რასაც შეეძლო შექმნილ უფსკრულზე ხიდად გადება და ერთმანეთთან დაკავშირება-გამართლება იმ ძველის და არაორგანულისა და ვაკუუმში მყოფი 90-იანი წლების ქართული როკისა; ეს იყო ყველა სტანდარტის დაცვით და გათვალისწინებით შექმნილი სიმღერები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს, ქართულ ენაზე ხსნიდნენ - რა არის სინამდვილეში მთლიანად ეს კულტურა: "ამ ქალაქში დღეს მეფობენ მგლები", "პროსტიტუცია", "მე ვარ მფრინავი", "მშია", "მეთევზე ნავში", "იქ სადაც ნამდვილი სიყვარულია" და ა.შ

ეს მუსიკოსები, ჩემი აზრით, ქართული კულტურისთვის და თანამედროვე მუსიკისთვის საბედისწეროდ დაიკარგნენ, რაც ქართულ შოუ-ბიზნესში სარეველას მოკიდების და უნიჭობის ერთ-ერთი მიზეზია. რა თქმა უნდა, ქართულ როკ-ენ-როლს დღესაც ყავს ოპონენტების ფენა, რომლებიც ამტკიცებენ მის უაზრობას. მაგრამ მე მინდა მათ შევახსენო, რომ ოპერა იტალიურია და ე.ი. ფალიაშვილს არ ჰქონდა უფლება და ის არ უნდა შეექმნილიყო ქართულად? რომ საქართველოსაც ჰქონოდა ის უფლება, რომლითაც დღეს ასე ამაყობს ქართული საოპერო თუ საბალეტო სკოლა?

**P.S. ალბათ, სულ მალე საქართველოში ახალი ქართველების და ტურისტების გასართობად, მათთვის ასე ნაცნობ და საყვარელ რესტორნებში დაბრუნებული მარტო "პოპსა" თუ გაისმება. ხოლო მუსიკოსების უფრო შემოქმედი, მასშტაბური და ნიჭიერი ახალი თაობა კი, გააცნობიერებს რა იმ ლოკალური ამბიციების შედეგებს, რისი მსხვერპლიც მთლიანად ჩემი თაობა იყო, იმუშავებს შოუ-ბიზნესის და 5 მილარდიანი სამყაროს ენაზე, სადაც ინტერნეტის უსაზღვრო სივრცემ ყველაფერი კომფორტული, კომუნიკაბელური და ადვილად მისაღწევი გახადა. რა თქმა უნდა, თუ შენ გაქვს ღირსეული პროდუქცია, მისი მომხმარებლის მოძებნაში და გაყიდვაში მხოლოდ ერთი უმთავრესი წესის ცოდნით იმღერე გასაყიდ და გასაგებ ენაზე, ლოგიკით: "არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი"**

www.lado.art.ge

# თბილისი უკვე ხუთვარსკვლავიანი ქალაქია

## ანსამბლი "ივერია" 35 წლის იუბილეს ზეიმობს

პირველი გვერდიდან

ფილარმონიის წინ შეკრებილი ხალხი დიდხანს ელოდა ალექსანდრე ბასილაიასა და ანსამბლ "ივერიის" წევრების გამოჩენას. ცერემონიალისათვის სამზადისში უჩვეულო არაფერი ყოფილა. ყველაზე ადრე ჟურნალისტები გამოჩნდნენ და ხელსაყრელი პოზიციები დაიკავეს. "მუზის" გარშემო თანდათანობით მატულობდა ხალხი. თბილისის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი დავით ოქიტაშვილი ბოლთას სცემდა და ჟესტებით საუბრობდა ტელეფონზე. ბავშვები ჯერ კიდევ გაუხსნელი ვარსკვლავის გარშემო დარბოდნენ და ერთი-ორჯერ საგანგებოდ მოპრიალებულ იატაკზე ნაყინიც კი დააწუწნეს. ამას, როგორც ხდება ხოლმე, მავანთა რისხვა მოჰყვა. ერთი მკაცრი ტონით ნათქვამი: "ნაყინი, ჩადი ქვევით" ("ნაყინი" აქ ბავშვების მისამართით იყო ნახსენები), და პატარა "სტაკანჩიკები" ძირს ჩაიძურწნენ. მერე, ნაყინის ჭამას რომ მორჩნენ, სხვებთან ერთად გრძელი წითელი ხალიჩის გასწვრივ ჩამწკრივდნენ; პოპულარული მომღერლების მოლოდინში დრო უქმად რომ არ დაეკარგათ, გულდასმით ცდილობდნენ ხალიჩა საკუთარი ფეხით მოესინჯათ და ვარსკვლავის სიახლოვეს ნაფეხურიც დაეტოვებინათ. იქვე მუშები შუშხუნებს ამაგრებდნენ და სიჩქარით (თუ სიმწრით) სკოჩი კბილებითაც კი გაწყვიტეს.

ამასობაში ანსამბლ "მხოლოდ შენ ერთის" წევრები გამოჩნდნენ, მერე მოვიდა მსახიობი გივი ბერიკაშვილი, ცოტა ხანში კიბეზე პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც ამოვიდა მეუღლესთან ერთად, მოკლედ მომსვლელი არ ილეოდა...



"ივერიელები" ვარსკვლავის გახსნას აღნიშნავენ.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

ამ ლოდინში გულხელდაკრეფილნი არც ჩვენ ვმდგარვართ, ხან ერთი ჯგუფის საუბარს მივაყურადებდით, ხან - მეორისას, (რას ვიზამთ, ჟურნალისტური ჩვევაა). განსაკუთრებით დავინტერესდით, რაზე საუბრობდნენ ქალბატონი ნინო, ბატონი ბადრი და ვარსკვლავთმრიცხველი მიშა ცაგარელი, თუმცა, ალბათ უკვე თქვენ მიხვდით – ჰოროსკოპებზე. როგორც გავიგეთ ქალბატონი ნინო და ბატონი ბადრი ზოდიაქოს ნიშნებით იდეალურ წყვილს ქმნიან. თუ სმენამ არ მიმტყუნა, ბატონი ბადრი კუროს ნიშნის ქვეშ უნდა იყოს დაბადებული, აი, ქალბატონი ნინო ბურჯანაძის ზოდიაქოს ნიშანი კი გამოგვეპარა, ამ დროს განსაკუთრებულად ხმამაღლა ჩართეს მუსიკა და ანსამბლ "ივერიას" გამოჩენას ტაშით შეეგებნენ.

"ივერიას" ვარსკვლავის ლენტი გაიჭრა.

გახსნის ცერემონიალის შემდეგ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში "ივერიელების" საიუბილეო საღამო გაიმართა. "კაი ტიპები არიან ეს ძველი მომღერლები," - გადაულაპარაკა კონცერტის დაწყების წინ ერთმა პატარა ბიჭმა მეორეს და მეგობარს "ივერიელთა" ავტოგრაფი შეახარბა. ანსამბლი "ივერია", რომლის "ჩხიკვთა ქორწილზე" რამდენიმე თაობა აღიზარდა, უკვე 35 წლისაა.

# ტროტუარში უკვდავყოფილი „ქუინი"

პარასკევს, ჰოლივუდის ყველაზე ცნობილ ქუჩაზე, ე.წ. "ვარსკვლავების ბულვარზე" როკ ჯგუფ "ქუინის" ვარსკვლავი ჩაიდგა. "ბითლზთან" ერთად, "ქუინი" ის იშვიათი გამონაკლისი გახდა, რომელიც ამერიკელებმა ჰოლივუდის ტროტუარში უკვდავყვეს. ღამის კლუბ "აივარის" წინ ვარსკვლავის გახსნას ჯგუფის წევრები ბრაიან მეი და როჯერ ტეილორი დაესწრნენ. მალე ისინი, 1991 წელს დაღუპული მერკურის გარეშე, ჯგუფის 30 წლის იუბილეს აღნიშნავენ.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ემთხვევა "ქუინის" ბოლოდროინდელი წარმატებებიც. მათი ახლახან გამოშვებული კომპაქტ-დისკი – "ქუინის" პლატინის კოლექცია", რომელიც სხვადასხვა ალბომებიდან ამოღებული სიმღერებით არის დაკომპლექტებული, აშშ-ს ბილბორდებში 48-ე ადგილზე გავიდა. ამერიკულ მუსიკალურ ჩარტებში ასეთი პრესტიჟული ადგილი არც ერთ კრებულს არ დაუკავებია. ბრიტანეთშიც, იგივე "პლატინის კოლექცია" საუკეთესო ოცდაათეულში 27 კვირის განმავლობაში ლიდერობდა.

მერკურის გარეშე გამოდის ჯგუფის პირველი DVD-იც (ციფრული ვიდეო დისკი). დისკს სახელწოდებით Queen Greatest Video Hits 1 "ქუინის" მუსიკის თაყვანისმცემლები ამ კვირაში ელიან.

გარდა ამისა, დღემდე ანშლაგით ტარდება ჯგუფის მიუზიკლიც, We Will Rock You, რომლის პრემიერაც ლონდონის უესტ-ენდში დიდი წარმატებით მაისში გაიმართა. მიუზიკლს, მთელი ბრიტანეთის მასშტაბით, ყველაზე შემოსავლიან სპექტაკლად მიიჩნევენ.



როჯერ ტეილორი და ბრაიან მეი "ქუინის" ვარსკვლავთან.

REUTERS

ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ, რომ "ქუინი", დაშლის მიუხედავად, დღესაც ინარჩუნებს მაღალ რეიტინგს. შტატებში "ქუინის" მუსიკის პოპულარიზაციისთვის ბევრს აკეთებენ ჯგუფის ამერიკელი ფანებიც. სწორედ მათი მოთხოვნა გაითვალისწინა ჰოლივუდის ვაჭრობის პალატის დირექტორთა საბჭომ და "ქუინს" ამერიკული ვარსკვლავი უსახსოვრა. "ქუინის" ვარსკვლავი ჰოლივუდის პრესტიჟულ ბულვარზე რიგით 2207-ე აღმოჩნდა.

ვარსკვლავის ჩადგმა ამერიკაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზია. ვაჭრობის პალატას ყოველწლიურად სამასამდე მოთხოვნით მიმართავენ. ამა თუ იმ ხელოვანის ვარსკვლავის დამზადებას სხვადასხვა ფან-კლუბები ითხოვენ. თუმცა, საბოლოო ჯამში, ვარსკვლავის ღირსი სამასიდან მხოლოდ 15-20 ხელოვანი ხდება. არჩევის კრიტერიუმი, თითქოს, ძალიან მარტივია – ვარსკვლავის კანდიდატი უნდა იყო კინოს, ტელევიზიის, რადიოს, მუსიკის ან ცოცხალი შესრულების დიდოსტატი. პლუს მას უნდა შეეძლოს ვარსკვლავის ჩადგმისთვის საჭირო 11 ათასი დოლარის გადახდაც. ეს თანხა ფარავს ვარსკვლავის დამზადებისა და საზეიმო ცერემონიალის მოწყობის ღირებულებას. როგორც ჩანს, "ქუინის" წევრებს ვარსკვლავის გახსნა ამ თანხად ნამდვილად ულირდათ. მით უფრო, რომ მალე ერთად ყოფნის 30 წლის იუბილეს გადაიხდიან.

# ოცი წლის შემდეგ საქართველოში

## ფრანგი ხელოვანები ფრანგი მოგზაურის ქუჩაზე

თამარ სუხიშვილი

"საქართველო შესანიშნავი ქვეყანაა. როგორც კი აღმოჩნდებით სპარსეთის ხელმწიფისადმი დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე, მაშინვე ჩნდება ყოველნაირი სურსათი – პური, ღვინო, ქათამი, ღორი, ბატკანი, ცხვარი. ფრანკებს განსაკუთრებით გულღიად ხვდებიან," – წერდა 301 წლის წინ ფრანგი მოგზაური და ბუნებისმეტყველი ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი. ქართველებს ტრადიციისთვის ახლაც არ უღალატიათ და სამი ასწლეულის შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიის 80 წლის იუბილეზე ჩამოსულ საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის დელეგაციას განსაკუთრებული სითბოთი და გულღიაობით შეხვდნენ.

გუშინ, დილის 12 საათისთვის თბილისის ერთი ძველი უბნისკენ, კერძოდ, შარდენის ქუჩისკენ გავემართეთ. ქალაქში ხმა გავარდა, სამხატვრო აკადემიის იუბილეზე ჩამოსული ზურაბ წერეთელი მოსკოვის დელეგაციასთან ერთად ჯერ კიდევ რესტავრაციის პროცესში მყოფი ქუჩის მოსანახულებლად მიდის და აქვე რაღაც ღონისძიებებიც არის დაგეგმილიო. მოგვიანებით გაირკვა, რომ ზურაბ წერეთელი და მისი რუსი კოლეგები წინა ღამით გაფრინდნენ მოსკოვში. თუმცა, შარდენის ქუჩა სტუმრების გარეშე არ დარჩენილა. ამ ქუჩას ფრანგ ხელოვანთა სამკაციანი ჯგუფი ეწვია: საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის უცვლელი მდივანი არნო დ'ოტრივი და ამავე აკადემიის წევრები – მოქანდაკე ჟერარ ლანვენი და კომპოზიტორი სერჟი ნიგი. ისინი თითქმის მთელი ერთი კვირის განმავლობაში იმყოფებოდნენ საქართველოში და ბევრი რამის ხილვა მოასწრეს: ეწვივნენ სვეტიცხოველს, მცხეთის არქეოლოგიურ მუზეუმს, იყვნენ თელავში, ერეკლე II-ის სასახლეში, ბოდბეში, სიღნაღში...

საქართველოში მოგზაურობის ბოლო პუნქტი XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისის ფრანგი მოგზაურისა და იუველირის სახელობის პატარა ქუჩა იყო. სტუმრებმა შარდენის ქუჩის 17 ნომერში მოთავსებული მაღაზია-სალონი და გობელენის მუზეუმი დაათვალიერეს. სალონში დიდი ინტერესით კითხულობდნენ თითოეული ქუდის, ჩოხისა თუ სამკაულის ისტორიას; გამყიდველებიც დაუზარელად უხსნიდნენ, რომ ეს ძველი ჩოხაა, სულ ხელით ნაკეთები, რომ სალონის ვიტრინაში გამოფენილი ქუდები თანამედროვე ოსტატთა ნახელავია, მაგრამ აქაც გამოერევა რამდენიმე ძველი ხევსურული თავსაბურავი.

აქ ისევ ფრანგი მოგზაური ტურნეფორი გამახსენდა: "ყველაზე მეტად განგვაცვიფრა იმ ამბავმა, რომ ქართველებს ფული არ უყვართ და თავიანთ სურსათ-სანოვაგეს არ ყიდიან, თუმცა რაიმე გასამრჯელოს გარეშე მაინც არაფერს იძლევიან. ისინი სურსათს ცვლიან სამაჯურებში, ბეჭდებში, შუშის ყელსაბამებში, პატარა დანებში, ნემსებსა და ქინძისთავებში..." ეს 301 წლის წინ იყო, ახლა – სამი ასწლეულის შემდეგ - პირიქითაა. უცხოელმა სტუმრებმა ერთი თვალის დახამხამებაში შეიძინეს უამრავი სამახსოვრო ნივთი თუ საჩუქარი - ქუდები, ხელნაკეთი თოჯინები, ქისები... მუსიე დ'ოტრივმა შესვლისთანავე დაადგა თვალი ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ძველებურ ვერცხლის გულსაკიდს და ფასზეც (სამკაული 200 დოლარი ღირდა) დიდხანს არ შეყოყმანებულა.



გობელენის მუზეუმში.

არნო დ'ოტრივი პირველად არ არის სტუმრად თბილისში. ის თავის თანამემამულე მოგზაურებს არ ჩამორჩა და უკვე მესამედ ჩამოვიდა საქართველოში. ბოლოს ჩვენი ქვეყანა ოცი წლის წინ მოინახულა, და ახლა, ოცი წლის შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს, სულ სხვა ვითარება დახვდა. რა ცვლილებები შენიშნა ფრანგმა მხატვარმა საქართველოში ოცი წლის შემდეგ, ამაზე მან გაკვრით, მაგრამ მაინც ისაუბრა: "მე ვნახე საბჭოთა პერიოდის საქართველოც ვნახე და თავისუფალ საქართველოშიც ჩამოვედი. მინდა გითხრათ, რომ ძალიან დიდი სხვაობაა იმ საქართველოსა და ამ საქართველოს შორის. მართალია, საბჭოთა პერიოდში მხატვართა მატერიალური მდგომარეობა უკეთესი იყო, მაგრამ დღეს ქართველ ხელოვანთა ხედვაში დიდი ძვრებია და, რაც მთავარია, ქართველებს წინსვლის დიდი სურვილი აქვთ. ჩვენ, საფრანგეთის აკადემიის წევრები, ყველაფერს გავაკეთებთ თქვენს დასახმარებლად და იმედი გვაქვს, რომ ბოლოსდაბოლოს თქვენც დაგვეხმარებით თქვენი კულტურით," – ამბობს არნო დ'ოტრივი.

დღეს საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის წევრები პარიზში გაფრინდნენ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გაქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გაქვთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# ოზურგეთული ამარკორდი

ნოდარ მალაზონია

## ჟენიე ბიცოლა

პატკულიეს გვერდით ჟენიე ბიცოლა ცხოვრობდა, ვანიჩქა ბურძგლას ცოლი.

ჟენია ბიცოლას ჰობი იყო, გინდაც ოხრახუში ეყიდა იაფად, აუცილებლად ტუჩებზედ ხელს მიიფარებდა და ისე ჩუმად გეტყოდათ ყურში, აქაოდა საქვეყნო საიდუმლო სურს გაგანდოთო.

ერთხელ, ომი კაი ხნის დამთავრებული იყო, ჟენია ბიცოლამ დედაჩემი საგანგებოდ მიიხმო ჭიშკართან და ჩვეული მანერით ყურში ჩასჩურჩულა:

- მარგალიტა, ცა, მოი აგერ. ომი დეიწყო ცა, მარგალიტა და არ უთხრა არავის.

## მოსე ბოქსიორი

აქეთ ქვემოთ ჩემი სახლიდან, მეოთხე მოსახლე ბოქსიორი მოსე იყო (ასე ეძახდნენ, რადგან ერთ დროს მოსე კრივით იყო, თურმე, გატაცებული). მოსეს ეზოკარმიდამო მუდამ ბოქლომზე გამოკეტილი და უკაცრიელი იყო, გეგონებოდათ, აქ არც არასდროს უცხოვრია ვინმეს და არც ახლა ცხოვრობსო, ჭიშკარზე კი დიდი აბრა ეკიდა წარწერით: "ეზოში ავი ძაღლია", რომელზედაც ვიღაცამ ასევე საგანგებოდ დიდი ასოებით და ზეთის საღებავით მიაწერა, - მოსე!

## უმანკოს "პრიუტი"

პატკულიასა და მოსეს შუა, მოპირდაპირე მხარეს შესანიშნავი ოთხსართულიანი უდედმამო ბავშვთა სახლი იდგა, წინ ლამაზი ბაღით, შადრევნითა და პალმებით მორთული, რომელსაც ხალხი "უმანკოს პრიუტს" ეძახდა.

ქალბატონი უმანკო მართლაც შესაშური ერთგულებით პატრონობდა ასამდე ობოლ ბავშვს, რომლებიც რატომღაც მუდამ დედმამიანებზედ უკეთ ჩაცმულ-დახურულებიც იყვნენ და გარეგნულადაც ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ, რის დასტურადაც თუნდაც მათი ღაჟღაჟა ლოყები კმაროდა.

ასე რომ, ფეხშიშველა, დედმამიანი ბაღნებისაგან განსხვავებით, "უმანკოს პრიუტი" მართლაც ოაზისი გახლდათ ჩვენი ქალაქის სინამდვილეში.

ერთხელ უმანკომ თეთრი ლამაზი პერანგი მაჩუქა. აი ისეთი, თავის ნაპატრონებ (თუ ქვეყნის) ბავშვებს რომ ეცვათ.

ასეთი ღირსეული საჩუქრისაგან აღფრთოვანება დღესაც მახსოვს.

## კუკურა იაბლონსკი

კუკურა იაბლონსკიც ჩვენი უბნელი იყო, სერელი. კუკურა ვარლამ სიმონიშვილის ხალხური ანსამბლის წევრი იყო, თან მღეროდა და თანაც ცეკვავდა. მუშტისოდენა წელით, წელზე ქართული ქამრითა და კოხტა გალიფე უძიროებით, კუკურა ქუჩაში კი არ მიდიოდა, არამედ მიიკვანწ-მისრიალებდა.

ეს შოლტივით მეტად მომხიბვლელი აღნაგობის პიროვნება, გურული კაცის სიმბოლურ განსახიერებად მიმაჩნდა, მაგრამ იაბლონსკი რომ იყო და არა ნაკაშიძე ან გურიელი, ეს ძალზედ მწყინდა და არ ვიცი, რატომ.

## მამია ყაზაიშვილი

ჩვენი სახლი გზის პირას ისე ახლოს იდგა, ხშირად ქუჩაში მიმავალი ადამიანის ფეხის ხმაც კი მაღვიძებდა.

ერთხელ შუაღამით კაცის ხმამაღალმა ტირილმა წამომაგდო ლოგინიდან.



ნოდარ მალაზონიას ნახატი

ძველი გურია.

- ნეტა რეიზა დევიბადე ამ დასაქცევ ქვეყანაშიო... - მოთქვამდა იგი. ნაბიჯების ხმაურზედ იმასაც მივხვდი, რომ ის კაცი მარტო არ უნდა ყოფილიყო.

მეორე დღეს მთელი ოზურგეთი ლაპარაკობდა - წუხელის უბედური მამიე ყაზაიშვილი დაუჭერიათო.

ტექსელის ქართველ ტყვეთა აჯანყების ტრაგიკული ისტორია ცნობილია. ისიც ვიცით, რომ აჯანყებულებმა მთელი კუნძული თავის კონტროლქვეშ აიყვანეს და საშველად, მანამ გერმანელები დამატებით ძალებს გადმოსხამდნენ, საბჭოეთსა და ინგლისელებს მიმართეს და ამისათვის, სპეციალურად, ოთხი მეამბოხე მისიონერი ნავით ინგლისის სანაპიროსაკენ გაეშურა, რადგან მათ გაცილებით მობილურად შეეძლოთ აჯანყებულთა დახმარება, მაგრამ ისიც ვიცით, რომ როგორც ინგლისელებმა, ასევე ჩვენმა ბელადმა "სამშობლოს მოღალატეთათვის" ყური არ გააბარტყუნეს.

სწორედ ამ ოთხ მისიონერთა შორის ერთ-ერთი, ჩემი მეზობელი მამია ყაზაიშვილი გახლდათ, რომელიც დიდი ტანჯვისა და ვაივაგლახის შემდეგ, როგორც იქნა, თავის ოჯახსა და ქვეყანას დაუბრუნდა, მაგრამ ამაოდ, მის განაწამებ სულს წინ კიდევ ტანჯვათა უსასრულო მარათონი ელოდა თურმე.

## "ჩიჩოლინა"

ოზურგეთსაც ჰყავდა თავისი "ჩიჩოლინა". იგი კინოთეატრის კონტროლიორი იყო.

ქვრივი, ფუმფულა, მკერდსავსე და გავასქელი დედაკაცი, განსაკუთრებით ოზურგეთელ შოფრებს უჩქარებდა გულისცემას.

ბოლოს ფაკუია შოფერმა დაისაკუთრა და ვინც "ჩიჩოლინას" მსუნაგი თვალით შეხედავდა, ფაკუიე ყბებს ამტვრევდა.

## "კურიცა"

ოზურგეთელ ყომარბაზებში ყველაზედ "ნერვნი", "ხრამოი" აჩიკო იყო. ყველაზედ "დასტოინი" - "კურიცა".

"კურიცა" კრუპნიზე თამაშობდა და ხშირად გასტროლიორობდა კიდეც.

"კურიცას" კარიერა მის მიერ ზნეობრივ-მორალური განწმენდის გადაწყვეტილებას შეეწირა, როცა მან, თუ რამ ყომარში ნაშოვნი ავლადიდება გააჩნდა, საკუთარი ხელით მილიციას ჩააბარა.

კურიცას სულიერი განწმენდის შემდეგ განგებამ მისგან ხორციელი მსხვერპლიც მოითხოვა: მალე იგი არათუ საყომარბაზო ასპარეზს, არამედ "სულიერად განწმენდილი", ამ ქვეყნიერებასაც გამოეთხოვა.

## ოთარ აბაშმაძე

ოზურგეთში იმ იშვიათ გამონაკლისთა შორის, ვისაც მაშინ ცილინდრი ეხურა, მესაათე ნოე აბაშმაძე იყო, შემდეგში საკავშირო მნიშვნელობის აფერისტის, ოთარ აბაშმაძის მამა.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, არათუ ჰოლივუდს, არამედ მსოფლიო კინოს არ ჰყოლია ისეთი დენდი, როგორიც "კაზანოვა" (გნებავთ, ვარსკვლავი) ოთარ აბაშმაძე იყო, რომელმაც თავისი სიცოცხლე სადღაც ციმბირში დაასრულა.

## "კაციჭამიე" იაგორა

ოზურგეთის ბაზრის კონტროლიორს იაგორას "კაციჭამიას" ეძახდნენ.

იაგორა ძველი ბოლშევიკი - მაუზერისტი ყოფილა და ეს ზედმეტსახელიც (იქნებ ნამდვილად) ხალხმა მისი "მოღვაწეობის", მჩქეფარე სიცოცხლით სავსე წარსულისათვის შეარქვა ალბათ.

იაგორა შესახედავადაც რომ (უშველებელი ცხენის კბილით) მართლაც კაციჭამიას გავდა?!

მე მისი დანახვა მუდამ შიშის ზარს მცემდა.

# პოლკოვნიკი ჟორჟ ქაჯაია

ბრძენს უთქვამს: ერთი ადამიანის გადამრჩენმა მთელი სამყარო გადაარჩინაო...

ანა კორძაია-სამადაშვილი

მე-20 საუკუნის ათიან წლებში, თბილისში, იმ აფთიაქში, რომელიც ახლანდელი მერიის შენობაში იყო განთავსებული და მაშინ გერმანელ ჰეინეს ეკუთვნოდა, ორი ახალგაზრდა შეხვდა ერთმანეთს. ისინი ფარმაცევტები იყვნენ, შემდეგ პროვიზორები გახდნენ, დაქორწინდნენ და სოხუმში აფხაზეთის პირველი აფთიაქი გახსნეს (შემდგომ ამ აფთიაქის ფილიალი ოჩამჩირეშიც გაიხსნა). 1921 წელს ცოლ-ქმარს შვილი შეეძინა, გიორგი ნიკოლოზის ძე ქაჯაია, ჩვენი გმირი.

მიუხედავად იმისა, რომ გასაბჭოების შემდეგ ოჯახს აფთიაქი, ცხადია, ჩამოართვეს, ქაჯაიებს არ გასჭირვებიათ – შეუცვლელი სპეციალისტები იყვნენ და ამიტომ ძველებურად განაგრძობდნენ საქმიანობას, უკვე სოხუმის წითელი ჯვრის აფთიაქში. გიორგის ხუთ წლამდე ფრანგი გუვერნანტი ზრდიდა – მამამ "გამოიწერა" საფრანგეთიდან. მადამ მონიკას ყოველთვიურად გასამრჯელოს აძლევდნენ და მანაც პატარა ბიჭს ფრანგული ენა და ფორტეპიანოზე დაკვრა ასწავლა. საერთოდ, მამა დიდად ზრუნავდა მის განათლებაზე, არ უნდოდა, რომ მის ვაჟს, თავად ბატონ გიორგის თქმით, თუნდაც "მაიატვაია" რუსული სცოდნოდა, და სასწავლებლად თბილისში გაგზავნა. აქ მან წარმატებით დაამთავრა მე-9 სკოლა, რომლის დირექტორიც იმხანად აკადემიკოსი კაპანელი იყო.

1937 წლის რეპრესიები ქაჯაიების ოჯახსაც შეეხო: ბატონი ნიკოლოზი დახვრიტეს (რეაბილიტაცია მხოლოდ 1957 წელს მიიღო), დედას კი შედარებით გაუმართლა – მხოლოდ წელიწადნახევარი იჯდა საპატიმროში. გიორგი სასწავლებლად მოსკოვში წავიდა და სწორედ იქ მოუსწრო სამამულო ომმა. სამედიცინო სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტი, გიორგი ქაჯაია, ჯარში გაიწვიეს.



პოლკოვნიკი ჟორჟ ქაჯაია.

## მეორე მსოფლიო ომი

ბატონმა გიორგიმ საუბრის დასაწყისშივე გამაფრთხილა, რომ ცალკეულ საკითხებზე ლაპარაკს არ აპირებს. ის სამხედროა – პოლკოვნიკი, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 23-ე ბრიგადის დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელი. მისი სურვილის გათვალისწინებით, მხოლოდ ცალკეულ ფაქტებს გადმოგცემთ, რომლებმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

1941 წელსვე გიორგი ქაჯაია, გარემოებების გამო უკვე გერმანელი ჯარისკაცი, პოლონეთში მსახურობდა, პატარა დაბა კრუშინაში, სადაც ქართული ლეგიონი იყო დაბანაკებული. ის იქ მიავლინეს მას შემდეგ, რაც ბიჩში, ელზას-ლოტარინგიაში, სპეციალური ვერმახტის სკოლა დაამთავრა (ცნობისთვის: მასთან ერთად სწვლობდა გივი გაბლიანიც). ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც არჩევანი მასზე შეჩერდა, ფრანგული ენის ცოდნა იყო. უნდა მოგახსენოთ, ჩვენი გმირი ქართულს, რუსულსა და ფრანგულს თანაბარი წარმატებით ფლობს. თუმცა თვითონ თქვა, გერმანული არ მეხერხებაო, მასთან საუბრისა და ბიოგრაფიასთან თუნდაც ზედაპირულად გაცნობის შემდეგ მის "გულწრფელობაში" ეჭვი შემეპარა – შესაძლოა, ფილოსოფიურ ტრაქტატებს ამ ენაზე არ წერდეს, მაგრამ ლაპარაკით შესანიშნავად ლაპარაკობს; სხვანაირად ვერც იქნებოდა, სხვა თუ არაფერი, ქართველს, რომლის შემართება დღესაც ჩემი თანატოლი მამაკაცების შურის საგანია, რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანელი ოფიცრის ფორმა ეცვა და სადაზვერვო სამსახურის უფროსიც იყო.

მაიორის წოდება ბატონმა გიორგიმ პოლონეთში მიიღო, სადაც უმცროსი მეთაურების სასწავლებლის ხელმძღვანელად დანიშნეს, და აქვე ჩაიდინა მან გმირობა, რომლის მსგავსიც მხოლოდ წიგნებში წამიკითხავს და მხოლოდ ერთ ფილმში - "შინდლერის სიაში" მინახავს.

## სახსოვრად ვარშავის გეტოსგან

სხვა გერმანელი ოფიცრების მსგავსად, გიორგი ქაჯაიამ საშობაოდ საჩუქარი მიიღო: მას უფლება მისცეს, ვარშავის გეტოდან ათამდე ებრაელი გამოეყვანა და ისე მოქცეოდა, როგორც გაუხარდებოდა.

მკითხველი, რომელსაც რამე მაინც სმენია ვარშავის გეტოს და აჯანყების შესახებ, ამ შემზარავ ინფორმაციას იოლად დაიჯერებს. ოფიცრის ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდა მამაკაცებს უსიტყვოდ გადასცეს 18 ქალი და 12 ბავშვი – ებრაელები, იგულისხმებოდა, რომ მოსაკლავად: მოქმედება ხომ ვარშავის გეტოში ხდებოდა.

პოლკოვნიკ გიორგი ქაჯაიას მიერ სიკვდილს გადარჩენილი 30 ადამიანი საბერძნეთში გაამგზავრეს, და მათი კვალი თითქოს დაიკარგა. ისინი მხოლოდ მაშინ გამოჩნდნენ, როცა ომის დამთავრების შემდეგ საფრანგეთიდან ქართველ მოღვაწეთა მიერ მოტყუებით ჩამოყვანილ პოლკოვნიკ ქაჯაიას მიუყენეს მუხლი 58-1ბ; "სამშობლოს მოღალატეს" დახვრეტა ემუქრებოდა, რომ არა მის მიერ გადარჩენილ ებრაელთა წერილი. მარშალმა ჟუკოვმა წერილის შინაარსი თავად სტალინს გააცნო და პოლონეთში ჩადენილი გმირობის წყალობით გიორგი ქაჯაიას განაჩენი შეუცვალეს: "განკარგულების შესრულების შეჩერება საგანგებო დადგენილების მიღებამდე". პოლკოვნიკი ქაჯაია მოსკვა-ვოლგას მშენებლობაზე გაგზავნეს, შჩერბაკოვოში აღმოჩნდა და 1956 წლამდე რეპრესირებული იყო. პასპორტში ბეჭედი ერტყა, 39-ე მუხლი: მისთვის ყველა სასტუმროს კარი დახურული იყო და არც ერთ ცენტრალურ ქალაქში არ ჰქონდა ცხოვრების უფლება. შჩერბაკოვოდან სახლში დაბრუნებული უმალვე დაასმინეს (დავაკონკრეტოთ – მის სახლში მცხოვრებმა ადამიანმა დაასმინა), და ბატონი გიორგი კვლავ იძულებული გახდა, სოხუმიდან წასულიყო. ერთხანს გორკის ოლქში მუშაობდა, სვერდლოვსკში უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და როდის-როდის ეღირსა სამშობლოში დაბრუნება...



საზეიმო ცერემონიალი ტრიუმფალური თაღის ქვეშ.

## გორდონი

ვინმე გორდონმა კი სოხუმში დაბრუნებისთანავე მოახსენა მთელს ქალაქს, რომ სიკვდილს ქაჯაიამ გადაარჩინა, და თან როგორ! ახლა ბატონი გიორგი მშვიდად ყვება, თუ რა დატრიალდა მაშინ პოლონეთში.

გერმანელ სამხედროებთან ზარის თამაშის დროს ერთმა ქართველმა, ქუთაისელმა, რომლის გვარსაც არ დავასახელებ, რადგან სულ არ მიმაჩნია საჭიროდ ყორღანაშვილთან ერთად სხვა გვარიც გამცემლის სინონიმად იქცეს, დიდი თანხა წააგო, და ვალის გასტუმრება ძალიან ორიგინალური ხერხით სცადა. მან განაცხადა, რომ მისი თანამებრძოლი, კოლია ნადარეიშვილი, სინამდვილეში ებრაელია. გაგახსენებთ: ეს ყველაფერი ხდებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს, ფაშისტების მიერ დაპყრობილ პოლონეთში.

ლეგიონის განლაგების ადგილას დაბრუნებულ პოლკოვნიკ ქაჯაიას ქართველებმა უმალვე შეატყობინეს ახალი ამბავი და ადგილიც მიასწავლეს, სადაც კოლია ნადარეიშვილი, იგივე გორდონი, გერმანელების ზედამხედველობით ორმოს თხრიდა – საკუთარ საფლავს. ორ უმცროსჩინოსან სამხედროსთან ერთად - უნტეროფიცერი და ობერუნტეროფიცერი ახლდნენ - ადგილზე მისულ ბატონ გიორგის სიკვდილმისჯილმა დაუძახა, კუკუნია (ასე მიმართავენ გიორგი ქაჯაიას ახლობლები), შენ მაინც უთხარი, ვინ ვარო.

ოფიცრის გამოჩენით შეშფოთებულმა ჯალათებმა თქვეს, ეს კაცი ებრაელია და ამიტომ უნდა დავხვრიტოთო. მაშინ ბატონმა გიორგიმ აუხსნა, რომ სინამდვილეში წინადაცვეთა ებრაელობას არ ნიშნავს, რომ კოლია სოხუმელია, სოხუმი კი თურქეთთან ძალიან ახლოსაა და წინადაცვეთილი მუსულმანებიც არიან. იმათ კვლავ შეწინააღმდეგება სცადეს. "მაგრამ მე ვუთხარი, ეს კაცი მე მიმყავს და მაქვს ამის უფლება, იმიტომ რომ ოფიცერი ვარ, - გვიამბო ბატონმა გიორგიმ, - ტყავის ხელთათმანები წავიძრე, ოფიცრის ფორმა იყო, და ურჩს სახეში გავარტყი."

გორდონი ლეგიონში დაბრუნდა, შემდეგ საბერძნეთში გადავიდა, იქაურ პარტიზნებს შეუერთდა და კარგა ხნის შემდეგ, თურქეთის გავლით, მშობლიურ ქალაქში, სოხუმში შეძლო ჩასვლა. იქ ქაჯაიების სახლში მისულა და ნუგეში უცია ბატონი გიორგის დედისთვის – კუკუნია ცოცხალია და აუცილებლად დაბრუნდებაო...

1943 წლის სექტემბერში ქართველი ლეგიონერი, მაიორი გიორგი ნიკოლოზის ძე ქაჯაია, თამარ მეფის ორდენით დაჯილდოვდა. ორდენთან ერთად მას შალვა მაღლაკელიძის მიერ ხელმოწერილი საორდენო წიგნაკიც მიუღია.

## Montagnes Noires
## "შავი მთები"

ფრანგი პარტიზნების წარმატებული სვლა გერმანიის არმიას დიდ პრობლემებს უქმნიდა. მათზე გადამწყვეტი თავდასხმა დიდხანს და გულმოდგინედ იგეგმებოდა და მებრძოლთა ძირითადი ბანაკის განადგურებას თითქოს არაფერი ედგა წინ.

"ორმაგ თამაშს ვთამაშობდი, - გვიამბო ბატონმა გიორგიმ, - შევატყობინე, ვისაც საჭირო იყო, და ჯარს ცარიელი ადგილი დახვდა – პარტიზანები კონსპირაციულ ბინებს შეეფარნენ."

ფრანგი ერი, ზოგიერთებისგან განსხვავებით, არ ივიწყებს თავის გმირებს. 54 წლის შემდეგ პოლკოვნიკი ჟორჟ ქაჯაია პარიზში მიიწვიეს. ტრიუმფალური თაღის ქვეშ პირველად აფრიალდა საქართველოს დროშა - მარადიული ცეცხლი გიორგი ქაჯაიამ, ჟორჟმა აანთო. იმ დღის შემდეგ მის მკერდს საფრანგეთის ლეგიონის საპატიო ორდენიც ამშვენებს.

*ვეტერანთა და ომის მსხვერპლთა ეროვნული სამმართველოს*

*გენერალური დირექტორი და პრეფექტი*

*პარიზი, 26 მაისი, 1999*

*პოლკოვნიკო და ძვირფასო ბატონო,*

*თქვენი წარსული დამსახურება საფრანგეთის წინაშე შავი მთის მაკის რიგებში იმსახურებს აღიარებას და მე განსაკუთრებით ბედნიერი ვარ მოგანიჭოთ ვეტერანთა ეროვნული სამმართველოს მედალი "ხსოვნა და სოლიდარობა"*

*მხურვალედ გილოცავთ, პოლკოვნიკო და ძვირფასო ბატონო, და გთხოვთ მიიღოთ რწმუნება ჩემი ღრმა პატივისცემისა.*

*კლოდ გიზარი პოლკოვნიკ ჟორჟ ქაჯაიას*

## ისევ ომი

1992 წელს, აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებისთანავე, ვიცე-პოლკოვნიკი ქაჯაია სამშობლოს ერთიანობისათვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა. ომის დროს ის 23-ე ბრიგადის დაზვერვის განყოფილების ხელმძღვანელი და II საარმიო კორპუსის მეთაურის მრჩეველი იყო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის საკითხებში. ამ წლებში მან პოლკოვნიკის წოდება მიიღო, ხოლო ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისთვის გიორგი ქაჯაია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა.

■ ■ ■

წყნეთში ვიმყოფებით, ნათელ, მყუდრო ოთახში. ბატონი გიორგის მეუღლე, ქალბატონი მერი, შინაური მაყვლის ნაყენით, ხილით და ნამცხვრით გვიმასპინძლდება - "ეს თხილი თქვენთვის დავარჩიე". ყველაფერი თითქოს ისევეა, როგორც ყველა სტუმართმოყვარე სახლში. უჩვეულო მხოლოდ ბატონი გიორგი გახლავთ, რომელიც ისევე, როგორც ქალბატონი მერი, ყვება თავისი შვილიშვილების შესახებ, შორეული, რომანტიკის ბურუსით მოცული წლების და ადამიანების ამბებს გვიამბობს: "ოთხჯერ ვარ დაჭრილი. ეს ჭრილობა, - თან ხელს ნიკაპზე ისვამს, - მაშინ მივიღე, დე გოლს რომ ესროლეს. რიკოშეტით მომხვდა." დე გოლი! "გუგუშვილი აქ დაკრძალეს, წყნეთში. მხოლოდ ამის შემდეგ ვუამბე მის შვილებს, რომ ლეგიონში მსახურების დროს ჩემი მდივანი უყვარდა, ებრაელი ქალი, და რომ და ჰყავთ ისრაელში." საფრანგეთში ცხოვრების ამბების მოყოლისას იქაური მეუღლე, ლიონელი ფაბრიკანტის ასული გაიხსენა. ახლა თავად ბატონი გიორგი ლიონის საპატიო მოქალაქეა და გაზაფხულზე აპირებს საფრანგეთში გამგზავრებას, მაგრამ ყოფილ მეუღლეს ვერ შეხვდება: "ერთხელ კი ჩამოვიდა სოხუმში, კრუიზები რომ იყო ხოლმე, სოჭი, ოდესა, სოხუმი. ჩემთან მოვიდა, სახლში, თან უსაფრთხოების კომიტეტის ხალხიც გამოყვა. მაშინ უკვე სხვა კაცზე იყო გათხოვილი. რა თქმა უნდა, მისმა ქმარმაც იცოდა ყველაფერი. მეტი აღარ მინახავს, ბოლოს შტატებში ცხოვრობდა და იქიდან კაცმა დამირეკა, შენი შვილი ვარო, ჩემი გვარი ჰქონდა. მაგრამ რა ვიცი, მეტი აღარ გამოჩენილა..."

სახლი ბაღში დგას - ასეთი ეზოები მხოლოდ დასავლეთ საქართველოში მინახავს. ყვავილებთან ერთად პალმებიც ხარობს - რა უნდა წყნეთში პალმას? ისე, სადაც სამართალია, ალბათ არც ბატონი გიორგი უნდა ცხოვრობდეს თავის სამშობლოში ლტოლვილის სტატუსით...

# ალოგიკური ვაშინგტონური მკვლელობების ლოგიკა

მელორ სტურუა
საქ. კორესპონდენტი,
აშშ. მინეაპოლისი

აშშ-ს დედაქალაქისა და მისი გარეუბნების მაცხოვრებლებს სუპერმარკეტში საყიდლებზე წასვლისაც კი პანიკურად ეშინიათ. ეშინიათ ბენზინგასამართ სადგურებზე ბენზინის ჩასხმა, პარკებში წიგნის კითხვა, უბრალოდ ქუჩაში გამოსვლაც კი და ეს, მიუხედავად იმისა, რომ გარეთ შემოდგომის თბილი და ნათელი ამინდი დგას. შიში ზურგს უწვავთ, უკან ქურდულად იყურებიან. არა, ისინი დამნაშავენი კი არა, თავისუფლად მოსიარულე, მისტიური სნაიპერის სამიზნედ ქცეული პოტენციური მსხვერპლნი არიან.

ყველაფერი 2 ოქტომბერს დაიწყო. ერთმანეთის მიყოლებით, ზუსტი სნაიპერული გასროლით, ოთხი ადამიანი მოკლეს. ზოგიერთი ცნობით, მკვლელი-სნაიპერი თეთრი ფერის სატვირთო მანქანიდან ისვრის (მანქანას მძღოლი მართავს), გასროლის შემდეგ ელვისებურად ქრება და არანაირ კვალს, გასროლილ გულასაც კი არ ტოვებს. სერიული მკვლელის პირველი მსხვერპლი გახდა მამაკაცი, რომელიც დილის 8 საათზე, უაიტ ფლინტის უმსხვილეს სავაჭრო ცენტრთან გაზონს კრეჭდა; ნახევარ საათში მანიაკის ტყვია ასპენ ჰილის ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურზე მყოფ ტაქსისტს მისწვდა; კიდევ ნახევარი საათის შემდეგ იგივე მკვლელმა-სნაიპერმა მოკლა ქალბატონი, რომელიც შლერსპრინტის საფოსტო განყოფილების წინ მდებარე სკვერში იჯდა და წიგნს კითხულობდა; მეოთხე მსხვერპლი სუპერმარკეტიდან პროდუქტებით მომავალი მამაკაცი გახდა; მეორე დღეს კიდევ ორი ადამიანი მოკლეს - შემთხვევითი გამვლელი და ქალბატონი, რომელიც მტვერსასრუტით ხალიჩას წმენდდა. მხოლოდ ერთი ტყვია ვერ მოარტყა მიზანში მკვლელმა - ქალბატონი ზურგში დაიჭრა.

უმალ დადგა ფეხზე ვაშინგტონის, მერილენდისა და ვირჯინიის შტატების პოლიცია. მათ გამოძიების ფედერალური ბიუროსა და საიდუმლო სამსახურის თანამშრომლები შეუერთდნენ. სამძებრო სამუშაოების უფროსად მონტგომერის საგრაფოს პოლიციის შეფი, ჩარლზ მუზი დაინიშნა. ბავშვებს შესვენებაზე სკოლის ეზოში გამოსვლა აეკრძალათ; იარაღიანი პოლიციელები აჩერებდნენ ნებისმიერ საეჭვო მანქანას; პოლიციის ლიმუზინები სირენის გამაყრუებელი კივილით დაქროდნენ კონექტიკუტ ავენიუზე; დამფრთხალი მოსახლეობა ტელევიზიით ადევნებდა თვალს მოუხელთებელ სნაიპერზე ნადირობას; ვერტმფრენებიდან ილებდნენ ყველა თეთრი ფერის სატვირთო მანქანას; პოლიციელები მათ მძღოლებს მყისვე ბორკილებს ადებდნენ და სახით მიწაზე აგდებდნენ.

დეტექტივებს ელდა ეცათ, როცა აღმოაჩინეს, რომ სნაიპერმკვლელსა და მის მსხვერპლთა შორის არანაირი კავშირი არ არსებობს. შეფმა მუზმა - ასე უწოდებს მას ყველა - განაცხადა, რომ "მკვლელობა არც ვენდენტაა, და არც ტერორისტული აქტი". ეს საინტერესო განაცხადი მცირეოდენ კომენტარს საჭიროებს. რაც შეეხება შურისძიებას, აქ ყველაფერი ცხადია - შურისძიების ნიადაგზე განხორციელებულ ტერორიზმს აშშ-ში რასობრივ, ან სექსუალურ, ან რელიგიურ ნიადაგზე ჩადენილ მკვლელობას უწოდებენ. ტერორიზმი აშშ-ში დღესდღეობით ისლამურ ფუნდამენტალიზმთან არის გაიგივებული. თავის განცხადებაში შეფი მუზი სწორედ ამ კრიტერიუმებს გულისხმობდა... ერთი შეკითხვა მაქვს შეფ მუზთან და შესაბამისად მის ხელმძღვანელობასთან პრეზიდენტის ჩათვლით: განა მკვლელობა, რომელიც რელიგიური თუ სექსუალური კუთვნილების გამოა ჩადენილი, არ არის სწორედ სიძულვილით ჩადენილი დანაშაული? არა ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, არამედ - საერთოდ ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაული არაა? ანდა, ვინ დაასაბუთებს, რომ ტერორიზმი არაბი-მუსულმანების პრივილეგიაა? შეფ მუზს ეს ყველაფერი შემთხვევით არ წამოსცდენია. მის მიერ გამოსაძიებელი მკვლელობების ალოგიკურობას თავისი ლოგიკა გააჩნია. როგორც ამ ადგილების ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა - ედიტ ბრაუნმა თქვა, "უკვე აღარ მჯერა, რომ ე.წ. ცივილიზებულ საზოგადოებაში ვცხოვრობ". ტრაგიკული ბენზინგასმართი სადგურის მეზობლად მცხოვრებმა ერიკ ბერტლიმ კი დასძინა: "მკვლელობა განურჩევლად მოხდა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ადამიანი მსხვერპლია, რომ ყოველმა ადამიანმა თვითონ უნდა დაიცვას თავი. მას ხელისუფლების იმედი არ უნდა ჰქონდეს".

არადა, რაიონი, სადაც ანონიმმა მკვლელმა თავისი საშინელი მოსავალი მოიმკა, საკმაოდ მშვიდ უბნადაა ცნობილი. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი მკვლელობა პოლიციის განყოფილების მოპირდაპირედ მოხდა...



მონტგომერის პოლიციის დეპარტამენტის შერიფი - ჩარლზ მუზი



სნაიპერის სავარაუდო იარაღი.

სნაიპერის ძებნა გრძელდება. პოლიციაში ათასობით ადამიანი რეკავს. თუმცა, არც ერთ მათგანს მკვლელი არ უნახავს. დანაშაულის უშუალო მოწმე არავინაა. შეფი მუზი კი დაცინებით იმეორებს: "ეს ხომ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა არ არის. ვილაცამ ხომ რალაც იცის, ვილაცამ ხომ რალაც დაინახა"...

შეფი მუზი მართალია, როცა ამას ამბობს. რომელი მეხის გავარდნაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა 290 მილიონიან ერზე (ცივი იარაღის ჩაუთვლელად), 250 მილიონი საბრძოლო ერთეული მოდის?! რაც შეეხება, იარაღს: ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ მკვლელი 223 კალიბრიანი სამონადირეო, ან სამხედრო იარაღით ისვრის. გარეგნულად ეს ტყვიები დიდი არ არის, მაგრამ ის ჩვეულებრივ ტყვიასთან შედარებით გაცილებით სწრაფია. ამ სისწრაფეს მას დამატებითი ტყვიაწამალი ანიჭებს. ექსპერტების თქმით, ამ ტყვიით სნაიპერი მიზანში 500 იარდის მანძილიდანაც მოახვედრებს, ახალბედა მსროლელს კი 200 იარდი დასჭირდება (ამგვარ იარაღს ოპტიკური სამიზნე აქვს). შეფმა მუზმა თავის მრავალრიცხოვან პრესკონფერენციებიდან ერთ-ერთზე ჟურნალისტებს ეს მონსტრი-იარაღი წარუდგინა. "ნიუ-იორკ თაიმსის" რეპორტიორი, რომელიც ამ ჩვენებას ესწრებოდა, წერს: "იმის გაფიქრებაც კი შიშსა და თრთოლვას იწვევს, რომ ასეთი მძლავრი იარაღი დედაქალაქის გარეუბნის უდანაშაულო მაცხოვრებლების წინააღმდეგ, ღია სივრცეში გამოიყენეს."

შიში მეფობს ვაშინგტონშიც. და ამის მიზეზი ცხრა მთას იქით მცხოვრები სადამ ჰუსეინი კი არა, აქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე მყოფი, თეთრ მანქანაზე ამხედრებული უცნობი თეთრი მკვლელია, რომელსაც თითი სასხლეტზე აქვს მიჭერილი. ასეთი ნახევრადავტომატური, 223 კალიბრიანი იარაღი მერილენდის შტატში თავისუფლად იყიდება. შეფი მუზი მოთმინებას ითხოვს. "მოგვეცით დრო, რათა ამ ირაციონალურ სიტუაციაში რაციონალური მარცვალი შევიტანოთ," - ამბობს იგი.

სიტუაციის უკეთ გასარკვევად კრიმინალისტი, დოქტორი კიმ როსმოა მოწვეული. იგი შედარებით ახლად დანერგილი - ე.წ. "გეოგრაფიული პროფილით" მუშაობს. ამ დარგის მიზანია დაახლოებით მიაგნოს დამნაშავის საცხოვრებელ ადგილს. ამისთვის დოქტორი როსმო კანადაში შემუშავებულ სისტემას იყენებს, რომელიც თვითონ კანადისა და ინგლისის პოლიციებშია აპრობირებული. ამჟამად კრიმინალისტები სნაიპერი მკვლელის შესახებ არსებულ ყოველგვარ ინფორმაციას კომპიუტერში უყრიან თავს. "დანაშაულის გასახსნელად გამოყენებული გეოგრაფიული პროფილის საქმეა ინფორმაციის მენეჯმენტი და არა დანაშაულის გახსნა," - გვაფრთხილებს დოქტორი როსმო, - "ეს პროფილი დაგვეხმარება, ვიპოვოთ ნემსი თივის ზვინში". როგორც დოქტორი როსმო ამბობს, "ჩვენ შეგვიძლია დამნაშავის საცხოვრებელი ადგილის დადგენა ერთი კვადრატული მილის რადიუსით იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი დანაშაულობების არეალი 10 კვადრატულ მილს შეადგენს". იგი ამბობს, რომ კომპიუტერს არ "დააბნევს" ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მკვლელობა სხვა დანარჩენი მკვლელობის ადგილიდან 50 მილის დაშორებით მოხდა.

"დღე, რომელიც მკვლელობის გარეშე ჩაივლის, უკვე კარგია", - განაცხადა პოლიციამ. განაცხადა და - გათვალა კიდეც. მეორე დღესვე, მერილენდის შტატში მკერდისა და მუცლის არეში მძიმედ დაიჭრა 13 წლის მოსწავლე. ბიჭუნას ოპერაცია ვაშინგტონის ბავშვთა კლინიკაში გაუკეთეს. მისი მდგომარეობა კრიტიკულია. დიდი ვაშინგტონის მოსწავლეთა მშობლებმა თავისი შვილები სასწრაფოდ წამოიყვანეს სკოლებიდან. ქაოსის თავიდან ასაცილებლად პოლიციამ მშობლებს ერთობლივი და ორგანიზებული მოქმედებებისკენ მოუწოდა. რაიონში, სადაც ბიჭუნა დაჭრეს, შეფმა მუზმა პოლიციის დამატებითი ძალები გადაისროლა. ექსპერტები ცდილობენ დაადგინონ, ვინ ჩაიდინა ეს - თავად სნაიპერმამკვლელმა თუ მისმა მიმბაძველმა. შეფმა მუზმა შენიშნა - "მკვლელი, ალბათ, ჩვენი მეზობელია და ბოროტი სიხარულით გვადევნებს თვალს, თუ როგორ გამალებით ვეძებთ."

შესაძლოა, მკვლელი სულაც არ ხითხითებდეს ბოროტად, მას რომ არ მფარველობდეს... აშშ-ს კონგრესი. დიახ, დიახ, სწორედ აშშ-ს კონგრესი, მე არც ვხუმრობ და არც ვაჭარბებ. თავად განსაჯეთ: შტატებში უკვე შეიმუშავეს "თითის ბალისტიკური ანაბეჭდების" ამოღების ნაციონალური სისტემა. ეს სისტემა სამართალდამცველებს დაეხმარებოდა იმ ტყვიის წარმოშობის დადგენაში, რომლითაც ვაშინგტონელი სნაიპერის მსგავსი დამნაშავე ისვრის. სამხედრო ბიზნესისა და მისი მძლავრი ლობის წინააღმდეგობის შედეგად აშშ-ს კონგრესმა ამგვარი სისტემის შექმნა აკრძალა. ამის გამო, ექსპერტებს დღეისთვის მხოლოდ იმის დადგენა შეუძლიათ, იყო თუ არა ერთი და იგივე იარაღიდან გასროლილი დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი ტყვიები. ეს სისტემაც, რომელსაც "ბალისტიკური ინფორმაციის ინტეგრაციის ნაციონალური სისტემა" ჰქვია, ახალია. იგი 1999 წელს, პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციის დროს დაინერგა.

იარაღის კონტროლის გაძლიერების მომხრენი იარაღის მწარმოებელთაგან ახალი იარაღის გამოცდის დროს მიღებული ელექტრონული ინფორმაციის შენახვას მოითხოვენ. ეს ინფორმაცია იარაღისა და პისტოლეტების სერიულ ნომრებთან ერთად უნდა იყოს დაცული. ამგვარად, სამართალდამცავ ორგანოებს საშუალება ექნებათ, გამოიკვლიონ დანაშაულის ადგილზე ნაპოვნი ტყვიების ფრაგმენტები და დაადგინონ, რა იარაღიდან ისროლეს. ამის შემდეგ დამნაშავის დაკავებას აღარაფერი უდგას წინ. თითქოს, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ მსროლელთა ნაციონალურ ასოციაციას მიაჩნია, რომ ამგვარი სისტემა, იარაღზე ნაციონალური კონტროლის ტოლფასია, რაც, მათი აზრით, ამერიკელთა იარაღის ტარებისა და თავდაცვის კონსტიტუციურ უფლებას არღვევს. კონგრესი დაჰყვა იარაღის ლობისტთა ნებას და მიიღო "იარაღის ნაციონალური რეგისტრაციის აკრძალვის ფედერალური კანონი". ჰოდა, ახლა ხითხითებს ბოროტად ჯერ კიდევ ვერდაჭერილი სერიული-სნაიპერმკვლელი.

...ერთ საღამოს, სატელევიზიო "პრაიმ-თაიმში" ცისფერ ეკრანებზე აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ უოკერ ბუში აღმოცენდა და თანამემამულეებს წინასწარ რეკლამირებული "საგანმანათლებლო სიტყვით" მიმართა. პრეზიდენტის გამოსვლაში არც ერთი სიტყვა არ იყო ნათქვამი თეთრი სახლის მეზობლად დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ. ბუში ყვებოდა, თუ რატომ აიტეხა ბაღდადში ომით შესვლა.

იმავე დღეს სასამართლომ 1975 წელს 13 ადამიანის იმქვეყნად გასტუმრებისთვის 408 წლით პატიმრობამისჯილ სერიულ მკვლელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. სასჯელი შეიცვალა მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მას კიდევ ორი ადამიანი ჰყავდა მოკლული.

**P.S.** "სნაიპერმა" გუშინ კიედვ ერთი ადამიანი იმსხვერპლა იმსხვერპლა.

# თვალი პატიოსანი

## სვაროვსკი

ანა კორძაია-სამადაშვილი

*თავად დანიელ სვაროვსკი საკმაოდ უცნაური ფიგურაა: ესთეტი და წარუმატებელი მევიოლინე, რომანტიკოსი, რომელიც ამტკიცებდა, რომ მასალას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი ოსტატობაა; ღრმად მორწმუნე კათოლიკე, რომელიც ნამდვილ სინათლეს ხელოვნურ ნათებას ამჯობინებდა, ხოლო ბრილიანტებს – ყალბ ძვირფასეულობას. სვაროვსკის ხელოვნებას კიჩად მიიჩნევდნენ, ავანტიურისტ იუველირს უწოდებდნენ – დღემდე გაუგებარია, რა კაცი იყო დანიელ სვაროვსკი...*

ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ჩრდილოეთში, ბოჰემიაში, მინას უხსოვარი დროიდან ბერავდნენ. იქ, ყოველ თავმოყვარე კაცს სახლში პატარა მინის სახელოსნო მაინც ჰქონდა. გამონაკლისი არც 1862 წელს დაბადებული დანიელის მამა, ბატონი სვაროვსკი იყო. ის, ძირითადად, თავისი ოჯახისთვის ირჯებოდა, დიდი-დიდი, ნაკეთობა ცალობით გაეყიდა. მის "პატიოსან თვლებს" ბიჟუტერიის, თმის სამაგრებისა და აქსესუარებისთვის იყენებდნენ.

დანიელიც ბავშვობიდან დაეუფლა ქვების დამუშავების ხელოვნებას. ის რამდენიმე წელი მონაწილეობდა მამის საქმეში, თან სწავლობდა, ვიოლინოზე უკრავდა... მერე კი მოიწყინა. დანიელმა გადაწყვიტა, რომ დიდი საქმისთვის



იყო მოწოდებული და, რასაკვირველია, ეს საქმე უნდა დაეწყო დიდ ქალაქში, მაგალითად, პარიზში.

პარიზში ახალგაზრდა სვაროვსკიმ შეისწავლა ქიმია, ფიზიკა, მექანიკა და სხვა მეცნიერებები. მერე კი, მსოფლიო ელექტროტექნიკურ მიღწევათა გამოფენაზე მოხვედრილს, კითხვა დაებადა: რატომ არ უნდა გამოეყენებინა ელექტრონული დენი მინის დამუშავებისთვის?

ცნობილია, რომ ძვირფასი ქვების "გაკეთებას" ადამიანები უხსოვარი დროიდან ცდილობდნენ. ეს ხელობა ყოველთვის მოტყუების საშუალებად და უკანონო შემოსავლის წყაროდ ითვლებოდა, დანიელ სვაროვსკი კი ყალბი სამკაულების პირველი ცივილიზებული მწარმოებელი გახდა. მან ძვირფასი ქვების იმიტირება ორიგინალურ, კანონიერ და ფრიად შემოსავლიან საქმიანობად აქცია – ქვების და მინის დასამუშავებლად პირველი ელექტრონული დაზგა გამოიგონა და ბაზარი ყალბი ძვირფასეულობით აავსო.

სვაროვსკი გაერიდა ბოჰემიას, სადაც ყველა იცნობდა და ყველამ ყველაფერი იცოდა მის შესახებ. მან პირველი ფაბრიკა ტიროლის მიყრუებულ სოფელში გახსნა. თავიდან მან ხელოვნური ბროლის დამუშავება, უბრალოდ, მოცალეობის ჟამს სცადა, 1911-ში კი თავის ვაჟებთან – ვილჰელმთან, ფრიდრიხთან და ალფრედთან ერთად, არაბუნებრივად გამჭვირვალე, ბროლის დამზადებისთვის ოპტიმალურ ნაზავს მიაგნო. მსგავსი რამ არავის არასოდეს გაუკეთებია, თუმცა, ბევრი ცდილობდა .



სვაროვსკი არ მალავდა, რომ მისი სამკაული ყალბი იყო –სავსებით კანონიერი ბიზნესი ჰქონდა. მისი ბროლი ბრილიანტივით გამოიყურებოდა, და, შესაბამისად, იმავე სოციალური ფუნქციის შესრულება შეეძლო. თუკი უწინ ამბობდნენ, ბრილიანტი თავად ირჩევს მფლობელსო, სვაროვსკიმ ელიტარობის ხანას ბოლო მოუღო – ამიერიდან საშუალო შემოსავლის მქონე მამაკაციც ჩუქნიდა საყვარელ ქალს ბრჭყვიალა სამკაულს. მერე რა, რომ ნამდვილი ბრილიანტი არ იყო, სამაგიეროდ, როგორ ელავდა!

სვაროვსკის ფაბრიკა შეკვეთებს ველარ აუდიოდა. დანიელს გაფართოება და 200 მუშის აყვანა მოუხდა. მთავარი კონკურენტები, სახელგანთქმული ვენეციელი ოსტატები, გაკოტრების პირას აღმოჩნდნენ. თან ევროპასა და ამერიკაში ტანსაცმლის მასობრივი დამზადება სვაროვსკის ხელოვნების განვითარებას დაემთხვა: კოკო შანელის, კრისტიან დიორისა და სხვა მოდის დიდოსტატების ტანსაცმელს, რომელიც მისი ხელოვნური ბრილიანტებით იყო მოოჭვილი, მსოფლიოს ყველაზე ლამაზი და სახელგანთქმული ქალები ატარებდნენ. მაგალითისთვის, ალბათ, იმის თქმაც იკმარებს, რომ სვაროვსკის ბიჟუტერია მარლენ დიტრიხის საღამოს კაბების აუცილებელ აქსესუარად იქცა.

ვაჟების შემდეგ ოჯახური ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელიც გამოჩნდა – დანიელ სვაროვსკის შვილიშვილი, მანფრედ სვაროვსკი. მან ფერადი ბროლის შექმნის ტექნოლოგიას მიაგნო, და 50-იანი წლებიდან მისი ნაკეთობები შეძლებული საზოგადოებისთვის ფუფუნების საგნად იქცა. "სვაროვსკის" ყველა ტექნოლოგია დღესაც მკაცრად გასაიდუმლოებულია – მხოლოდ ამ ფირმას შეუძლია ასეთი მშვენიერების შექმნა.

1965 წელს "სვაროვსკიმ" ახალი ასპარეზი აღმოაჩინა: ბროლის ჭაღები, ათი წლის შემდეგ კი ახალი ხაზი გახსნა – ბროლის ფიგურების შექმნას შეუდგა.

პირველი ბროლის ფიგურა ჭაღის ოთხი დეტალისგან აწყობილი თაგუნა იყო. წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: თაგუნას ზღარბი, კუ, შვლის ნუკრი, გედი და სხვები მიყვნენ – საკოლექციო ეგზემპლარები. 1988 წელს ბროლის გედი ფირმის სიმბოლო გახდა. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 300-ზე მეტი სხვადასხვა ფიგურა შეიქმნა, რომელთა მოყვარულებმაც "სვაროვსკის ნაწარმის კოლექციონერთა კლუბი" ჩამოაყალიბეს. ამ კლუბის წევრებისათვის დიზაინერების ჯგუფი, ყოველწლიურად, საგანგებოდ უშვებს ერთ ახალ ფიგურას, ძალიან შეზღუდული რაოდენობით, კლუბის თითო წევრს თითო ეკუთვნის.

ტექნოლოგიის საიდუმლოების და ნაწარმის მაღალი ღირებულების შესანარჩუნებლად (პატარა ბროლის ფიგურების ფასები 30-600$ შორის მერყეობს) "სვაროვსკი" გულმოდგინედ ანადგურებს საკოლექციო ნაკეთობების დამუშავების დროს გამოყენებულ ყველა ხელსაწყოს და შესაბამის დოკუმენტაციას. ტექნოლოგიის გარდა, ოჯახური საწარმო "სვაროვსკი", ფინანსურ ინფორმაციასაც საიდუმლოდ ინახავს და არც შტაბ-ბინას იცვლის – კვლავ ტიროლშია, პაწაწინა სოფელ ვატენსში.

1995 წელს კი, როცა უკვე მთელს მსოფლიოში ცნობილი ავსტრიული ფირმა "სვაროვსკი" 100 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადებოდა, გადაწყდა, რომ უნდა გახსნილიყო მუზეუმი, რომელიც ხალხს დაანახებდა ბროლის სილამაზეს, აგრძნობინებდა მის ჯადოსნურ ძალას, "ვარსკვლავების ციმციმს და ალიონის პირველ სხივს". მუზეუმის შემქმნელმა, მხატვარმა ანდრე ჰელერმა, გადაწყვიტა, რომ ეს მიწისქვეშა მუზეუმი ყოფილიყო. ზღაპრულ გამოქვაბულს, "სვაროვსკის ბროლის სამყაროს", ყოველწლიურად 600.000 დამთვალიერებელი ჰყავს.

## ბინები

### იყიდება

იყიდება ლეონიძის (კიროვის) ქუჩაზე 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა სათავსოებით ე.წ. "სტალინის სახლში", III სართულზე. 38-20-89, 899 58-96-31

სასწრაფოდ იყიდება 220 კვ/მ 5 ოთახიანი არასტანდარტული ბინა 10(12), 3 დიდი აივნით. სახლში ორი ლიფტია. საწყისი ფასი 37 000 დოლარი. მის: ფანასკერტელის ქ. XI კორპუსი, ტელ: 38-41-15, 899 94 44 84 (თინა ან რომა).

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი ბინა მე-6 სართულზე ჭავჭავაძეზე. ფასი 27 000. 38 86 95

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება 3-ოთახიანი ბინა გლდანში. 96 78 96, 95 93 39

იყიდება კერძო სახლის კარკასი საბურთალოზე. ს/ფართი 640 კვ.მ. ეზოთი ფართი 450 კვ.მ. 37 03 14

იყიდება არასტანდარტული 4-ოთახიანი გლდანში 8(9), ტელეფონით, ავტოფარეხით და სათავსოებით. ფასი შეთანხმებით. 69 32 97

იყიდება 5-ოთახიანი ბინა 3(9) ავტოფარეხით, ბუხრით ბახტრიონზე. 38 38 44, 8(99) 54 74 20

სასწრაფოდ იყიდება ჩეხური 2-ოთახიანი მეტრო "ახმეტელთან". 8(99) 93 05 33

იყიდება ერთოთახიანი ბულაჩაურის ქუჩაზე. 7 500 $. 37 17 83

იყიდება გარემონტებული უცხოვრებელი 3-ოთახიანი ბინა ავტოფარეხით, ახალი ავეჯით ვაკეში. 98 52 81 (21 საათიდან)

იყიდება ვაკეში საოფისე და სამაღაზიე ფართები დამთავრებულ სახლში. 202 კვ.მ. და 278 კვ.მ. 8(99) 50 30 66, 98 95 67, 99 56 93

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

იყიდება ორთაჭალაში 2-სართულიანი აგურის შენობა (750 კვ.მ.). სარდაფით, მიწის ნაკვეთით. 75 53 55

იყიდება 110 კვ.მ. ბინა 3(8) იოსებიძეზე. 8(99) 59 86 30

იყიდება 3-ოთახიანი ბინა ვაკეში, ჭავჭავაძის პროსპექტზე (მე-9 საავადმყოფოს პირდაპირ). ფასი 40 000 $. 22 25 00

## ბინები

### ქირა, გირაო

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის №10. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

## საოფისე ფართი

სასწრაფოდ იყიდება საოფისე ფართი მეტრო "მარჯანიშვილთან" 7-ფანჯრიანი ფასადით, 135 კვ.მ.+80 კვ.მ. სარდაფი. 8(99) 50 30 66, 98 95 67

## მანქანები

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში (იხ. ფოტო). ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

## სწავლება

მოვამზადებ დაწყებითი კლასის მოსწავლეებს ყველა საგანში. ვასწავლი ხატვას ბინაზე მისვლით. 32 63 91 პაპუნა (საღამოს)

შევასწავლი სასაუბრო თურქულ ენას და გრამატიკას ნებისმიერი ასაკის მსურველს. წერეთლის 8. 34 79 44

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი . Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფო-რმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.
ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

მოვამზადებ გერმანულ ენაში. ფასი 15 $.
ტელ: 68 36 49

## სხვადასხვა

ქირავდება საქორწილო კაბა. 70 12 29

იყიდება ქიმწმენდის აპარატურა და სარეცხი მანქანები. 98 41 46

იყიდება გერმანული ბოქსიორის ლეკვები, საუკეთესო ჯიშის. 69 32 97

ვისესხებ-გავასესხებ. 96 21 10

იყიდება კომპიუტერი PENTIUM II. სრული კომპლექტით, კარგ მდგომარეობაში. ფასი 270$. ტელ: 34-63-57

დაიკარგა არაქილოვი იურის მართვის მოწმობა და მანქანის საბუთები. 96-21-92

ვიყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

ვასრულებ კლასიკურ - ქართულ სტილში ნებისმიერი ინტერიერის დეკორატიულ-ფერწერულ მოხატვას. 79 60 84

შევიძენ მარმარილოს, გრანიტს და კროშკას. 64 81 73

იყიდება ელექტრო ორღანი "იამაჰა" - იაპონური, ორიარუსიანი კლავიატურით, გადამრთველებით. ხის ჩარჩოში. კარგი ხმოვანობის. 99 95 33

იყიდება რესტორნებში, ოფისებში და ა.შ. დასადგმელი ფეხსაცმელების ავტომატური საწმენდი. 2 ცალი. კომპაქტური ელექტროდანადგარები (აქვთ თავისი უფერო გასაპრიალებელი სითხე). 1 ცალის ფასი 300 $. 39 28 11 ბესო

გთავაზობთ სამუშაოს ინტერნეტში უმაღლესი განათლების ახალგაზრდებისა და სტუდენტებისთვის. 93 56 71 ნათია ცანკაშვილი

გვესაჭიროება ექოსკოპისტი სამკურნალო ცენტრში. 79 06 01

იყიდება 20-ტონიანი კონტეინერი. 93 25 11

შევიძენ უჟანგავი მასალისაგან დამზადებულ თაფლის გამოსაწურ ციბრუტს (ცენტრიფუგას). 23 05 06

- პარკეტი გემბანური;
- პარკეტის გერმანული აქსესუარები.
ტელ: 333560
8(77) 739129

იყიდება საძინებელი და სასტუმრო ოთახის გარნიტურები "D-10" I გამოშვება. ფასი შესაბამისად 2 900 და 5 500. 22 46 96

ვისესხებ თანხას კორპუსის ბინის მყარი გარანტიით. პასუხისმგებლობას ვიღებ საბუთების მართებულობაზე. 99 95 75, 8(99) 95 74 55

იყიდება ჭალი საუკეთესო ხარისხის ჩეხური ბროლის 5 სართულიანი "ყურძნის მტევნები". ფასი 450 ლარი. ტელ: 30-26-25

გავასესხებ თანხას ბინის მყარი გარანტიით. დაგეხმარებით საბუთების შეგროვებაში ჩვენი თანხით. 92 09 63, 8(99) 95 74 55

სამრეცხაო "VIP"-ი ინდივიდუალურად გაგირეცხავთ ყველა სახის სარეცხს. სურვილისამებრ, მოგემსახურებით ბინაზე. თამარაშვილის 13 ა. 29 25 90

ვისესხებ-გავასესხებ მყარი გარანტიით. 98 48 34

მოსკოვში კვალიფიციური სპეციალისტი გთავაზობთ ყველანაირ სამღებრო-სარემონტო სამუშაოებს: შპალერის გაკვრა, შეთეთრება, ღებვა ფერებში, ბიაზი (მთლიანად ევრორემონტი),. აგრთვე შემიძლია მაღალ დონეზე კაფელისა და მეტლახის დაგება ხელმისაწვდომ ფაებში. 63-08-69, იკითხეთ ნუგზარი.

### განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
  ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
  მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.

15 ოქტომბრიდან ტელეფონით
მიღებული განცხადების
(12 სიტყვა) ფასი განისაზღვრება
1 ლარით.

98-86-43, 53-76-43

გაზეთი 24 საათი
უფასო განცხადებების კუპონი

2.10.02 N-141

## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"ჩემი გალაკტიონი", რეჟ. ელდინო საღარაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"შიშის ფასი", მთავარ როლებში; ბენ აფლეკი, მორგან ფლიმაკი
დას: 14:00; 20:00 სთ, ფასი 5-7 ლარი
"ცეცხლის ძალა", რეჟ. რობ ბაუმენი
დას: 17:00 სთ, ფასი 5 ლარი
"ესაუბრე მას", რეჟ. პედრო ალმადოვარი
დას: 22:00 სთ, ფასი: 6,7 ლარი

**„რუსთაველი„**
"სამი იქსი", რეჟ. რობ კოენი
დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ლამაზმანი", რეჟ. კამერონ დიასი
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

## სკანდინავიური კროსვორდი





ფეხბურთი

# სფფ „მერანს" ჩემპიონატიდან მოხსნას უპირებს

*შაბათს საქართველოს ჩემპიონატის მე-12 ტურის მატჩი რუსთავის "გორდასა" და თბილისის "მერანს" შორის სკანდალურად ჩაიშალა. "მერანის" ფეხბურთელებმა უარი თქვეს, მოედანზე გასულიყვნენ. საქმე ის არის, რომ, დიდი ხანია, ფეხბურთელებს ხელფასი არ მიუღიათ. კლუბს თითოეული მათგანის 1.400 ლარი მართებს.*

აკა ტონია

საქართველოს ჩემპიონატის მატჩის ჩაშლის გამო, თბილისის "მერანს" სერიოზული სანქციები ემუქრება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რომან შოთაძემ, გაზეთ "24 საათთან" საუბარში განაცხადა, რომ სფფ ოთხშაბათს, ფედერაციის სადისციპლინო ტექნიკური კომიტეტის მორიგ სხდომაზე გამოიტანს თავის განაჩენს. შოთაძის თქმით, კლუბს ჩემპიონატიდან მოხსნაც კი ემუქრება. *"დებულების მიხედვით, ასეთ შემთხვევაში გუნდი ჩემპიონატიდან უნდა მოიხსნას, თუმცა, წინასწარ ძნელია რაიმეს თქმა. გასათვალისწინებელია უამრავი გარემოება, შესასწავლია, თუ რა მიზეზით ჩაიშალა მატჩი. შესაძლოა, ჩვენმა დებულებამ "მერანის" უმაღლეს ლიგაში დატოვების საშუალება არ მოგვცეს. ყველაფერი სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე გაირკვევა"*, - განაცხადა სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.

თუ ფედერაციამ, მართლაც, უკიდურეს ზომას მიმართა და კლუბი ჩემპიონატიდან მოხსნა, ამას ნამდვილად მოჰყვება პროტესტი "მერანის" ხელმძღვანელობის მხრიდან.

### ანზორ მამალაძე: "თუ ჩემპიონატიდან მოგვხსნიან, აუცილებლად გავაპროტესტებთ"

"მერანის" პრეზიდენტი, ანზორ მამალაძე, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ კლუბს ფეხბურთელებისთვის გადასახდელი თანხა ამჟამად არა აქვს, თუმცა, იმასაც ამბობს, რომ მატჩის ჩაშლა ყველა ფეხბურთელის აზრი არ ყოფილა. *"ბოიკოტი მთელ გუნდს არ გამოუცხადებია. მხოლოდ რამდენიმე ფეხბურთელმა განაცხადა უარი. მათი უკმაყოფილების შესახებ "გორდასთან" შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ვიცოდით. ცხადია, ხელმძღვანელობას ესმის ფეხბურთელების, მაგრამ რა ვქნათ... ცალ-ცალკე ყველას ვთხოვე, რომ პროტესტი ასეთი ფორმით არ გამოეხატათ. ვუთხარი, რომ მათ შეეძლოთ, სფფ-ს შესაბამის კომიტეტში შეეტანათ საჩივარი, მაგრამ არ მინდოდა, რომ მატჩი ჩაშლილიყო"*, - ამბობს მამალაძე. შემდგომ მომხდარმა მოვლენებმა გვიჩვენეს, რომ ფეხბურთელებმა ოფიციალური საჩივრის შეტანას ბოიკოტის მოწყობა არჩიეს, თუმცა, "მერანის" პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს გადაწყვეტილება მთელ გუნდს არ მიუღია: *"ეს არ იყო ყველა ფეხბურთელის აზრი. თამაშზე უარი თქვა გუნდის ერთმა, გარკვეულმა ნაწილმა. რუსთავში მოთამაშეთა იმ რაოდენობით ჩავედით, რომლითაც მატჩის ჩატარება შეიძლებოდა, მაგრამ ადგილზე დანარჩენმა ფეხბურთელებმაც უარი განაცხადეს. გასაგებია - ბიჭებმა ერთმანეთს მხარი დაუჭირეს."*

კითხვაზე, რას მოიმოქმედებს "მერანის" ხელმძღვანელობა, თუ სფფ კლუბს ჩემპიონატიდან მოხსნის, ანზორ მამალაძემ გვიპასუხა: *"ცხადია, გავაპროტესტებთ. ამ გუნდში უამრავი ოფლი გვაქვს ჩაღვრილი, აღებული გვაქვს უამრავი ვალი. არავის აქვს უფლება, "მერანი" ჩემპიონატიდან მოხსნას, რადგან მატჩი რამდენიმე ფეხბურთელის ბოიკოტის გამო ჩაიშალა და არა მთლიანად გუნდის გამო. კლუბი დამნაშავე არ არის"*.

### ოთარ გაბელია: "მე ორჯერ მეტი ხელფასი არ ამიღია..."

ანზორ მამალაძის აზრს იზიარებს გუნდის მწვრთნელი ოთარ გაბელიაც. *"აბსოლუტურად მესმის ფეხბურთელებისა. მე მათზე უარეს დღეში ვარ - ორჯერ მეტი ხელფასი არ ამიღია, მაგრამ რა ვქნათ, კლუბს უჭირს და მე გაგებით ვეკიდები ამას. მეც და ანზორიც ყოველდღე ვესაუბრებოდით ფეხბურთელებს. ვურჩევდით, თავიანთი პრობლემის შესახებ ფეხბურთის ფედერაციისთვის ეცნობებინათ.*

*მათთვის ასე აჯობებდა, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, ასეთ ნაბიჯს კლუბისთვის დიდი ზიანი მიეყენებინა, მაგრამ, სამაგიეროდ, გვექნებოდა დრო, რათა გვეპოვა გამოსავალი. ამ ნაბიჯით კი გამოსავალი არ დაგვიტოვეს"*, - ამბობს გაბელია.

მისი თქმით, ეს ფეხბურთელთა მხოლოდ ერთი ნაწილის აზრი იყო, - *"უმეტესობა თამაშს აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში მათაც აუბეს მხარი. ესეც მესმის, ერთმანეთს გვერდში დაუდგნენ"*.

კლუბის ჩემპიონატიდან მოხსნის შესაძლებლობას ოთარ გაბელია კატეგორიულად გამორიცხავს: *"ფედერაციამ კარგად უნდა ჩაიხედოს ამ ამბის ნიუანსებში. ჩემპიონატიდან მოხსნა, ტექნიკური წაგების გაფორმება და სხვა უკიდურესი ზომები მხოლოდ მატჩზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში მიიღება. "მერანი" კი რუსთავში ჩავიდა და თამაშსაც აპირებდა"*.

რალი

# რალი დამთავრდა, ველით განაჩენს

*ახლა, როდესაც "შევრონი რალი საქართველო 2002" ისტორიის კუთვნილება გახდა, მომავალ წელს იმედით შევყურებთ. საქართველოს საავტომობილო ფედერაციის (სსფ) მიზანს, ევროპის ჩემპიონატის კანდიდატი ღონისძიება 2003 წლიდან კონტინენტის პირველობის ერთ-ერთ ეტაპად აქციოს, წლის ბოლოს გაეცემა პასუხი. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად ღირსეულ პატაკს წარადგენს "შევრონი რალი საქართველო 2002"-ის საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (FIA) ბულგარელი დამკვირვებელი ალექსანდრე ბოშნაკოვი. სსფ-ის ხელმძღვანელობას იმედი აქვს, რომ FIA-ში წარდგენილ მოხსენებას ჩვენთვის სასარგებლო შედეგი მოყვება.*

გიგა გურასაშვილი

"შევრონი რალი საქართველო 2002"-ის დასკვნით, მესამე წრეზე, გუშინ უცნაური და უჩვეულო არაფერი მომხდარა. ბაგები-წყნეთის, წყნეთი-კოჯრის, კოჯორი-ტაბახმელისა და შინდისი-სამადლოს მონაკვეთებზე, როგორც მოსალოდნელი იყო, "Mitsubishi Lancer"-ის ვიაჩესლავ პროხოროვისა და ვიაჩესლავ აკიმოვის რუსული ეკიპაჟი დაწინაურდა. სამი დღის ჯამში ეს უკანასკნელნი ყველაზე პრესტიჟული ტიტულის - აბსოლუტურ ჩათვლაში ჩეპიონის თასს დაეუფლნენ. შეჯიბრების მეორე დღეს, ტექნიკური პრობლემის გამო, საკონტროლო პუნქტთან რომ არ დაეგვიანა ვიქტორ თოდაძისა და ვიქტორ ბაგრამოვის "Mitsubishi lancer"-ს, ასპარეზობებს მეტი ინტრიგა ექნებოდა.

არც ის იყო უცნაური და უჩვეულო, რომ გუშინ სტარტზე გასული ათი ეკიპაჟიდან ფინიშის ხაზი ცხრამ გადაკვეთა. მანქანის ტექნიკური ხარვეზების გამო ასპარეზობას გამოეთიშა შეჯიბრების მეორე დღეს მესამე პოზიციაზე მყოფი მევლუდ მელაძისა და ზურაბ ფაღავას "Honda Civic"-ის ეკიპაჟი. თუმცა, მელაძე-ფაღავას წყვილს სულ ერთწუთიანი ბარიერი აშორებდა აბსოლუტურ ჩათვლაში, ახლა უკვე მეორე ადგილზე გასულ, დიმიტრი ზორინისა და ილია გლადიშევის "VW-Golf III" ეკიპაჟთან. ზორინი-გლადიშევის რუსულ ეკიპაჟთან წამოსაწევად და შემდეგ დასაწინაურებლად დრო არ ეყო ლევან ლომაძისა და ბორის საყვარელიძის "Toyota Celica"-ს. თუმცა, მათ აბსოლუტურ ჩათვლაში მესამე ადგილი აქვთ. ამასთან, A კატეგორიაში გამარჯვებაც მოიპოვეს. ეს - რაც შეეხება ტექნიკურ შედეგებს. მას შემდეგ, რაც დასრულდა შეჯიბრება და ავტომანქანების ტექდათვალიერებაც, "ექსპო-ჯორჯიას" საგამოფენო ცენტრის მე-11 პავილიონში, რომელშიც ავტორალის შტაბ-ბინა იყო განთავსებული, პრესკონფერენცია მოეწყო. პრესკონფერენციას ესწრებოდნენ სსფ-ის პრეზიდენტი ვიქტორ თოდაძე, ფედერაციის გენერალური მდივანი შალვა ოგბაიძე და ავტორალის პრიზიორები.

"დიდი მადლობა შეჯიბრების ორგანიზატორებს, - გვეუბნება გამარჯვებული ეკიპაჟის პილოტი ვიაჩესლავ პროხოროვი. - გვიხარია, რომ ისევ საქართველოში ვართ. იმედი გქონდეთ, გაისადაც აქ ვიქნებით. რაც შეეხება პაექრობებს, იგი ძალზე საინტერესოდ წარიმართა. კარგია, რომ გავიმარჯვე. ერთი სიტყვით, მივიღე ის, რაც მინდოდა, ანუ ჩემპიონობისთვის დაწესებული საპრიზო თანხა (4 000 დოლარი - რედ.).

**ვიქტორ თოდაძე**: "უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს ვუმასპინძლებთ. ისე კი, ახლანდელი ასპარეზობები არაფრით ჩამოუვარდებოდა იმ ტიპის შეჯიბრებას, რომლისთვისაც ვიღწვით. სხვაობა მხოლოდ ის არის, რომ ევროპის ჩემპიონატის კანდიდატ ღონისძიებაზე ავტომრბოლები ქულებს ვერ იღებენ. ევროპის ჩემპიონატის მოთხოვნების შესაბამისია საორგანიზაციო საკითხები. ხარჯიც იგივეა. "შევრონი რალი საქართველო 2002"-ის FIA-ს დამკვირვებლის მისიაც სწორედ ამ საკითხების შეფასება გახლავთ. დამკვირვებელი უნდა დარწმუნდეს, თუ რამდენად მომზადებულები ვართ კონტინენტის პირველობის ერთ-ერთი ეტაპის სამასპინძლოდ. ვფიქრობ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. ეს კი, რა თქმა უნდა, ჩვენი სპონსორების - საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის სავაჭრო კომპანიის "შევრონისა" და კავკასიის თასის მასპინძლის "ტრანს ექსპრესის" დამსახურებაა. მართალია, ქართველმა ვერ გაიმარჯვა, მაგრამ ჩვენი პილოტები არავის ჩამოუვარდებიან ოსტატობით. ეგ არის მხოლოდ - მათ შედარებით დაბალი კლასის მანქანები ჰყავთ".



შეჯიბრების მონაწილეები

კალათბურთი

# „დინამომ" ორხელისუფლებიანობა დაარღვია

*საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი კალათბურთში თანდათან ძალას იკრებს. გუშინ მეხუთე ტურის ბოლო შეხვედრები გაიმართა. ტურების დანომვრა პირობით ხასიათს იძენს. იმის გამო, რომ ჩემპიონატში ცხრა გუნდი მონაწილეობს, ყოველ ტურში თითო გუნდი ისვენებს. ასე რომ, ხუთი ტურის შემდეგ ზოგს ხუთი, ზოგს ოთხი, ხოლო ზოგს სულაც სამი მატჩი აქვს ჩატარებული.*

მიხეილ აბაიშვილი

ეს ტური იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ საქართველოს ჩემპიონატის წინა გათამაშების გამარჯვებული ბათუმის "ბასკო" და მეორე პრიზიორი თბილისის "დინამო". მატჩს ინტრიგას ისიც მატებდა, რომ აქამდე ორივე გუნდმა ქულების დაუკარგავად იასპარეზა და სამ-სამი გამარჯვებით პირველ-მეორე ადგილებს ინაწილებდნენ. გუშინდელ შეხვედრაში გამარჯვებული კი სატურნირო ცხრილის სათავეში "თანამეინახეს" ჩამოიცილებდა და ერთხელისუფლებიანობას დაამყარებდა.

წინასწარ გეტყვით, რომ ბრძოლა არ გაიმართა და, საფეხბურთო "დინამოსი არ იყოს, ახლიდან "სულშთაბერილმა" და მყარი ფინანსური საფუძვლის მქონე საკალათბურთო "დინამომ" არავითარი შანსი არ მისცა ჩემპიონს. ბათუმელებმა მხოლოდ მატჩის პირველ წუთებში შეძლეს, მეტ-ნაკლებად ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიათ. თუმცა, უკვე მეოთხე წუთისთვის ანგარიში გახდა 10:4 "დინამოს" სასარგებლოდ. აქედან მოყოლებული, როგორც სათამაშო, ისე მატერიალური უპირატესობა ხელიდან არ გაუშვია. "გიგანტების" - დინამოელი მუპესა და "ბასკოს" შენგელიას დაპირისპირებაში დინამოელის უპირატესობამ გადამწყვეტი გავლენა იქონია მატჩის ბედზე. თბილისელთა აფრიკელმა ლეგიონერმა ფარქვეშ ბრძოლაში აშკარად დაჯაბნა ბასკოელი კოლეგა. "შავი კონტინენტის" წარმომადგენელს კარგად აუბეს მხარი თორთლაძემ და ბეჟანიშვილმა. მათ სამქულიან ტყორცნებს ბათუმელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. შორეული ტყორცნების გარდა, თორთლაძემ ფარქვეშ ეფექტიანი გარღვევებითაც გამოიჩინა თავი. შედეგად, "დინამოს" მატერიალური უპირატესობა გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. თუ თბილისელებმა პირველი მეოთხედი 10 ქულის სხვაობით მოიგეს, უკვე მესამე მეოთხედის ბოლოს ქულათა სხვაობამ 30-ს მიაღწია - 69:38! წუთში "ბასკომ" ისღა მოახერხა, რომ თუნდაც სამი ქულით, მაგრამ ბოლო მეოთხედი მოიგო და ამით თავის გულშემატკივარს მცირე სამომავლო იმედი დაუტოვა. შეხვედრა დასრულდა "დინამოს" გამარჯვებით - 95:68.

"ცენტრალური მატჩისგან" განსხვავებით, გაცილებით საინტერესო და დაძაბული გამოდგა "მაკაბისა" და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდების თამაში. იყო მომენტი, როდესაც სოხუმელები მთელი 18 ქულით დაწინაურდნენ, მაგრამ "მაკაბის" კალათბურთელებმა ფარ-ხმალი არ დაყარეს და თამაშში გარდატეხა შეიტანეს. პირველ რიგში, ეს ბერიშვილის დამსახურებაა, რომლის სამქულიანებიც თითქმის ყოველთვის აღწევდა მიზანს. მატჩის მიწურულს ვაშაკიძის აქტიურმა თამაშმა "მაკაბის" კალათბურთისთვის მინიმალური ანგარიშით - 88:84 გაამარჯვებინა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და "ქუთაისის" შეხვედრაში თბილისელმა სტუდენტებმა სოხუმელთა შეცდომები არ გაიმეორეს და მოპოვებული უპირატესობა არ გაფლანგეს. ქუთათურებმა მხოლოდ ერთხელ, პირველი მეოთხედის მიწურულს დაწინაურდნენ, ისიც ერთი ქულით (17:16). დარჩენილ დროში "თსუ"-ს უპირატესობა აშკარა იყო. საბოლოოდ სტუდენტებმა 29 ქულის სხვაობით (111:82) გაიმარჯვეს.

მორიგი ტურის მატჩები 26 და 27 ოქტომბერს გაიმართება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

"აზოტი" - "აკადემია", შეხვედრის მომენტი

ჭადრაკი

# ადამიანი და კომპიუტერი დაზავდნენ

*ბახრეინში დამთავრდა ადამიანისა და კომპიუტერის ორთაბრძოლა ჭადრაკში. გადამწყვეტ, მერვე პარტიაში, მსოფლიო ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა "დიპ ფრიტცს" 21-ე სვლაზე ყაიმი შესთავაზა, რაც იმას ნიშნავს, რომ მატჩი ყაიმით დასრულდა. შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 4:4.*

კახა ფაჩუაშვილი

ადამიანმა კომპიუტერზე გამარჯვების კიდევ ერთი შანსი ვერ გამოიყენა. ფიზიოლოგიური და ხელოვნური გონის დაპირისპირება გაგრძელდება დეკემბერში, როცა იერუსალიმში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გარი კასპაროვი ასევე ვიცე-ჩემპიონთან "დიპ ჯუნიორთან" მოსინჯავს ძალებს ("დიპ ჯუნიორმა", კომპიუტერთა საკვალიფიკაციო ტურნირზე, გადამწყვეტი მატჩი "დიპ ფრიტცთან" 12:14 წააგო).

მატჩის პირველი ნახევარი კრამნიკის მნიშვნელოვანი უპირატესობით წარიმართა. ოთხი პარტიის შემდეგ ანგარიში იყო 2,5:1,5 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. ამას მოჰყვა ზედიზედ ორი მარცხი, რაც, ექსპერტთა აღიარებით, კრამნიკის ექსპერიმენტებმა გამოიწვია. მეექვსე პარტიაში, შემოქმედებითი თამაშით გართულმა დიდოსტატმა, მეტოქეს ფიგურა შესწირა, შემდეგ კი მდგომარეობა ველარ გამოასწორა. მე-7 პარტია საკმაოდ სწრაფად დასრულდა - 28-ე სვლაზე მეტოქეები დაზავდნენ. საერთო აღიარებით, მსოფლიო ჩემპიონი ზედმეტ რისკს მოერიდა.

გადამწყვეტ პარტიაში კრამნიკი თეთრი ფიგურებით თამაშობდა. დებიუტში მან მცირე უპირატესობა მიიღო. ისევე როგორც წინა პარტიაში, აქაც მოერიდა გართულებას და უკვე 21-ე სვლაზე "დიპ ფრიტცს" ყაიმი შესთავაზა. ასე დამთავრდა ეს დრამატული მატჩი, რომელსაც ჭადრაკის მოყვარულები ხუთ წელიწადს ელოდნენ.

ვლადიმირ კრამნიკი ბახრეინის მონარქისგან 750 000 დოლარს მიიღებს. გამარჯვების შემთხვევაში კი მის ანგარიშზე მილიონი დოლარი გადაირიცხებოდა. "დიპ ფრიტცის" პროგრამისტთა ჰონორარის თაობაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა.

მოკლედ

**ფეხბურთი.** არგენტინული "რივერ პლეიტის" პრეზიდენტმა ხოსე მარია აგილარმა უარყო ხმები ჩილელი მარსელო სალასის "იუვენტუსიდან" არგენტინაში შესაძლო გადასვლის თაობაზე. აგილარის თქმით, სალასის შესაძენი ფული "რივერს" არა აქვს. "კარგი იქნებოდა, სალასის შეძენა რომ შეგვეძლოს, მაგრამ, სამწუხაროდ, კლუბს საამისო თანხა არა აქვს", - განაცხადა აგილარმა.

"რივერ პლეიტი" ელოდება თავისი ვუნდერკინდის ანდრეს დ`ალესანდროს გაყიდვას და მისი ტრანსფერიდან მიღებული ფულით აპირებს გუნდის გაძლიერებას. თუმცა, დ`ალესანდროს მსურველი ჯერ არ გამოჩენილა. რაც შეეხება სალასს, მას "იუვესთან" კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და, როგორც თვითონ ამბობს, მის ამოწურვამდე არსად წასვლას არ აპირებს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** "ლაციოს" მწვრთნელი რობერტო მანჩინი ეთანხმება "ვესტ ჰემის" იტალიელი ლეგიონერის პაოლო დი კანიოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ, ჯოვანი ტრაპატონის გათავისუფლების შემთხვევაში, იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე იდეალური ვარიანტი იქნებოდა ჯანლუკა ვიალი. იტალიური პრესა კი ამ თანამდებობაზე ჯიუტად წინასწარმეტყველებს დინო ძოფის კანდიდატურას.

"ვფიქრობ, ვიალი ტრაპატონის იდეალური მემკვიდრე გახდებოდა. მას ბევრი ახალი იდეა აქვს და ფეხბურთელებიც პატივს სცემენ. ვიალის დანიშვნით ეროვნული ნაკრები მხოლოდ მოიგებს", - განაცხადა მანჩინიმ.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ფილიპ კოკუ თავის მომავალზე ფიქრობს. "ბარსელონასთან" მისი კონტრაქტი 2003 წლის ზაფხულში იწურება. შესწევს თუ არა კოკუს მორალური და ფიზიკური ძალა იმისთვის, რომ "ბარსას" ძირითად შემადგენლობაში მოსახვედრად იბრძოლოს, ამას გაარკვევს ზამთარში, როცა საბოლოოდ დასახავს თავის მომავალ გეგმებს. ცნობილია, რომ "ეინდჰოვენიდან" "ბარსელონაში" გადასვლის წინ ფეხბურთელმა გუნდის ხელმძღვანელობას დაბრუნება აღუთქვა და, გამორიცხული არ არის, კოკუ სწორედ "ეინდჰოვენში" გადავიდეს.

■ ■ ■

**კალათბურთი.** "დალას მავერიქსმა" კონტრაქტი გააფორმა გამოცდილ მცველ უოლტ უილიამსთან. უილიამსი 203 სანტიმეტრი სიმაღლისაა და შარშანდელ სეზონში "ჰიუსტონ როკეთსის" შემადგენლობაში მატჩში 9,4 ქულას, 3,4 მოხსნასა და 1,4 გადაცემას აკეთებდა. უილიამსმა, 10-წლიანი კარიერის განმავლობაში, მრავალი კლუბი გამოიცვალა და, საშუალოდ, მატჩში 12,4 ქულას აგროვებდა.

"დალასს" არც "საკრამენტო" ჩამორჩა. ამას წინათ დაცვის პრობლემები ამ კლუბმაც მოაგვარა. მან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა დეიმონ ჯონსონთან და იმედოვნებს, რომ გამოცდილი მცველი შეძლებს, ოპერაციაგადატანილი მაიკ ბიბის, მეტინ კლივზისა და ბრენტ პრაისის არყოფნაში, გუნდს დაეხმაროს. დეიმონ ჯონსონი შარშანდელ სეზონში "დეტროიტის" ღირსებას იცავდა და მის ანგარიშზე, თამაშში, 5,21 ქულა იყო. ახალი გუნდი ჯონსონისთვის მეშვიდეა თავის სპორტულ კარიერაში.

■ ■ ■

**ჩოგბურთი.** ამას წინათ შვეიცარიაში გამართული ტურნირის ნახევარფინალში ბელგიელმა ჟიუსტინ ენინმა ამერიკელ ლინდსეი დევენპორტთან წააგო. როგორც ჩანს, მან გასამართლებელი საბუთი მოძებნა და დევენპორტი ტრავმის სიმულაციაში დაადანაშაულა. ენინის მტკიცებით, ტრავმირებული დევენპორტის წინააღმდეგ იგი მთელი ძალით ვერ თამაშობდა.

"ლინდსეი მთელი მატჩის განმავლობაში შემზარავად გაჰკიოდა. ექიმსაც ორჯერ მიმართა. ბუნებრივია, ამ მდგომარეობაში ლოგიკურია თამაშის შეწყვეტა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში დევენპორტი ისე დარბოდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ვფიქრობ, იგი სიმულიანტობდა", - განაცხადა ენინმა. შეგახსენებთ, რომ ის მატჩი დევენპორტმა ორ სეტში მოიგო - 7:6 (7:2), 7:6 (7:5).

■ ■ ■

**კრივი.** გუშინ ცნობილი გახდა, რომ ქვემძიმე წონით კატეგორიაში მსოფლიოს საუკეთესო მოკრივემ როი ჯონს-უმცროსმა თანხმობა განაცხადა, სუპერმძიმეწონოსან ჯონ რუისს ეჩხუბოს. პირველადი ინფორმაციით, ორთაბრძოლა 2003 წლის პირველ მარტს ლას-ვეგასში გაიმართება. ამის შესახებ ინფორმაცია გაავრცელა ჯონსის პრომოუტერმა მურად მუჰამადმა, რომელიც რუისის პრომოუტერს დონ კინგს მოელაპარაკა. "კონტრაქტი გაფორმებულია. ბრძოლა აუცილებლად შედგება", - განაცხადა მუჰამადმა.

პირველ მარტს კრივის მოყვარულები უნიკალური ორთაბრძოლის მოწმენი გახდებიან. მეტოქეთა შანსებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ, ლას-ვეგასის რინგზე რომ თვალსასეირო სანახაობა გაიმართება, ეს ფაქტია.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** ლეგენდარული ნიკი ლაუდა მიიჩნევს, რომ შოტლანდიელი დევიდ კულტჰარდი რბოლების დროს ფრთხილად უნდა იყოს "მაკლარენში" თავისი პარტნიორის, ფინელი კიმი რაიკონენის მიმართ. უფრო სწორად, შოტლანდიელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ კიმი რაიკონენი მუდმივად წინ მიდის და, ერთხელაც იქნება, მას პირველობას ჩამოართმევს. "ფინელი მოვიდა არსაიდან და ბრწყინვალედ ასპარეზობს. დევიდი, ალბათ, დაძაბულია. ახალგაზრდა, პერსპექტიული კონკურენტი - მეტი საშინელება რაღა უნდა იყოს მრბოლისთვის", - დასძინა ლაუდამ.

ლაუდას თქმით, მასაც ანალოგიური სიტუაცია შეექმნა 1984 წელს, როცა "მაკლარენში" ალენ პროსტი მივიდა. "1975 წელს, როცა პირველი ტიტული მოვიგე, ალენ პროსტს მართვის უფლებაც არ ჰქონდა. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ყოველ ეტაპზე პარტნიორთან საბრძოლველადაც უნდა ვყოფილიყავი მზად. ამას მომავალში კულტჰარდიც გამოცდის. მას თავისი შესაძლებლობების ზღვარზე მოუწევს ბრძოლა", - განაცხადა ლაუდამ.

■ ■ ■

**ველოსპორტი.** იტალიაში დასრულდა "ლომბარდიის ტური", რომელმაც მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებას წერტილი დაუსვა. ტურის უკანასკნელი ეტაპი იტალიელთა ტრიუმფით აღინიშნა. პირველობა მიკელე ბარტოლიმ იზეიმა. მეორე ადგილზე გავიდა მისი თანამემამულე დავიდე რებელინი.

საერთო ჩათვლაში "ლომბარდიის ტურის" წლევანდელი გათამაშება იტალიელი პაოლო ბეტინის გამარჯვებით დამთავრდა - 279 ქულა. მას 9 ქულით ჩამორჩა ბელგიელი იოჰან მიუზეუვი. მიკელე ბარტოლის ანგარიშზე 242 ქულაა.

■ ■ ■

**ჰოკეი.** ბოსტონელი "დათვების" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ კლუბის ორი მოთამაშე - მეკარე ჯონ გრემი და ფორვარდი მარტინ ლაპოინტი დაშავდნენ და გაურკვეველი ვადით გამოვიდნენ მწყობრიდან. გრემს მხარი დაუზიანდა, ხოლო ლაპოინტმა, "კალგარისთან" გუშინწინდელ შეხვედრაში, ფეხი მოიტეხა.

■ ■ ■

**ფიგურული სრიალი.** 17 წლის ოლიმპიურ ჩემპიონს, ამერიკელ სარა ჰიუზს, როგორც გაირკვა, მკურნალობა მოუწევს. ტრავმა მოციგურავეს არ აძლევს საშუალებას, 2002-2003 წლების სეზონი დროულად დაიწყოს. ჰიუზი გამოტოვებს სანკტ-პეტერბურგის გრან-პრის, რომელიც 28 თებერვლიდან 2 მარტამდე გაიმართება.

ექიმების დასკვნით, სარა ჰიუზს მარჯვენა ფეხის კუნთი აქვს გაწყვეტილი და, გრან-პრის გარდა, "სკეიტ ამერიკასა" და "სკეიტ კანადას" შეჯიბრებებსაც გამოტოვებს. მის ნაცვლად, ტურნირებში ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი მიშელ კვანი იასპარეზებს. ეს შეჯიბრებები სანკტ-პეტერბურგის გრან პრის საწყისი ეტაპებია და, აქ მონაწილეობის გარეშე, სარა ჰიუზი გრან-პრის საგზურს ავტომატურად დაემშვიდობება.

პირველი დიდი ტურნირი, რომელშიც სპორტსმენი გამოვა, ამერიკის ჩემპიონატია, რომელიც იანვარში დალასში გაიმართება. თუ ჰიუზი ქვეყნის ჩემპიონატის მედალს მოიგებს, იგი დაუბრკოლებლად მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს. მსოფლიო ჩემპიონატს მარტის ბოლოს ვაშინგტონი უმასპინძლებს.



D1 ანი ბებერაძე ასაკი-18, 170/78/53/84, თვალის-თმა ყავის, თმა-წაბლის



D 2 თამუნა ოთხოზორია ასაკი-18, 168/88/72/93, თვალის-წაბლის, თმა-წაბლის



D3 თამუნა ქავთარაძე ასაკი-18, 176/88/58/92, თვალის-თაფლის, თმა-შავი წაბლის



D4 სოფიკო ხოლოგაშვილი ასაკი-15, 171/82/67/93, თვალის-ქარვის, თმა-წაბლის



D5 ნატა გულიაშვილი ასაკი-20, 170/90/71/92, თვალის-შავი ყავის, თმა-შავი



D6 მაკა რჩეულიძე ასაკი-15, 169/87/63/90, თვალის-ყავის, თმა-შავი წაბლის




# TV პროგრამა 21 ოქტომბერი

## რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 დრაკონთა მომთვინიერებელნი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 გურმანთა მეგზური
11.10 "ხალხის პირისპირ"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი "ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 01.50 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 ჰერკულესის თავგადასავალი
19.10 სერიალი "ტალღის ქიმზე"
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ხალხის პირისპირ"
22.50 კურიერი
00.05 მხ.ფილმი "ძლიერი დარტყმა". მთ.როლებში: კიანუ რივზი, დაიანა ლეინი
02.00 კლასიკა.

## პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 დრო და ფული
10.00 მხ. ფილმი "შარლოტა გრეი"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ოქროს მართვე"
14.30 "საქართველო და გარესამყარო"
15.15 მხ. ფილმი "ღარიბ შეყვარებულთა ქრონიკა"
17.00 "რამპა"
17.05 50-50 17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-ბუზუ
18.40 "მრავალჟამიერ"
19.05 ვიდეოპატრული
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი "რვაფეხა"
22.10 დოკ. სერიალი "ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
23.00 დღის ბოლოს
23.40 სერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "ლუჟინის დაცვა"

## პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა"
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული". განმეორებით
12.00 "მო". განმეორებით
13.30 "არასარეკლამო ათეული". განმეორებით
13.45 "ცენტრი". განმეორებით
14.45 მხ.ფილმი
17.00 "კომედია". მხ.ფ. "ჯოჯოხეთური ცათამბჯენი"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 უცნობი
22.45 "პა-სეანსი"
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ბლეიდი 2".
02.00 "ღამურა" მხ.ფ. "ყველაფრისთვის მზადმყოფი"
03.10 ნონ-სტოპი

## მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.25 მიზანი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "უფროსი ვაჟი"

## ევრიკა

10.00 მსოფლიო სპორტი
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.30 "ვარსკვლავები გვამცნობენ"
14.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში"
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინალური
20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.40 პირველი ნაბიჯები
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.35 ინტერნიუსი წარმოგვიდგენს
22.50, 00.40 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "ნათლია"

## იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "მოუთვინიერებელი"
10.20 მხ.ფ. "არაფერი რობერის შესახებ"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 ბურთი და მოედანი
20.00 მხ.ფ. "მტრის ზურგში"
22.15 მხ.ფ. "კლუბი"
00.30 ღამის ფილმი

## კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი
15.00 მხ. ფილმი "შეთქმულების საიდუმლო"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "სასიყვარულო ისტორია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "შიშველი პისტოლეტი"
22.30 მხ. ფილმი "ფლიუკი"

## მეცხრე არხი

09.00 მუსიკა
09.10 დოკ. ფილმი "იასონის კვალდაკვალ"
10.00, 15.00 "დილა"
11.00 მხ. ფილმი "იაკუძას ძმა"
12.50 "დავიბადე თბილისში 1951 წელი"
14.00 გადაცემა "მსოფლიო ფეხბურთი"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
14.45 სანახაობა "ყოჩაღები" - "არსენა"
16.00 ბალეტი "გოლერო". "ადაჟიეტო"
16.30 დოკ. სერიალი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "სტონჰენჯი - შორეული წარსულის საიდუმლო"
21.30 "ყრმა სახელად იესო" 1-ლი ნაწილი
22.15 მხ.ფ. "საჰაერო განგაში"
23.50 მუსიკა
00.20 მხ.ფ. "ისტორია ღამღამობით იქმნება"

## აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 ქართ. მხ. ფილმი "ლევან ხიდაშელი"
10.50 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "თეფში"
13.30 თრილერი "სახელმწიფოს მტერი"
16.15, 19.50, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.25 მულტფილმი "ლედი და მაწანწალა"
17.35 მხატვრული ფილმი "დები"
19.30, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
20.00 მხატვრული ფილმი "კლდე"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულლ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მელოდრამა "ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა"
03.30 თრილერი "ლეონი"

## VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.10 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.15 "აჩიკუდა"
09.45 მოკლედ... სპორტი
09.50 "სახლიდან გაუსვლელად"
10.20 მელოდია
10.55 ანიმაცია
11.10 "სახლიდან გაუსვლელად"
11.45 "ობიექტივი"
12.35 "ბრძოლა წესების გარეშე"
12.55 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.00 სპორტი
14.05 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
18.10 პრესა
18.15 "სახლიდან გაუსვლელად"
18.45 მელოდია
18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ლა-ლა-ლა"
21.45 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი
21.50 "ბრძოლა წესების გარეშე"
22.10 მოკლედ... სპორტი
22.15 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
22.20 "სახლიდან გაუსვლელად"
22.55 "კინოკლუბი " - "იპ 5".
00.45 პრესის მიმოხილვა
01.00 "სახლიდან გაუსვლელად"
01.30 "ბიორითმი"
01.55 პრესის მიმოხილვა

## ОРТ

15.00, 19.00 Новости
15.15 Худ.фильм "БРАТСТВО ВОЛКА"
17.50 "По ту сторону волков". Спецрепортаж
18.00 "Большая стирка"
19.25 "Шутка за шуткой"
20.00 Жди меня
21.00 "Кто хочет стать миллионером?"
22.00 Время
22.40 Сериал "ПО ТУ СТОРОНУ ВОЛКОВ", 1 серия
23.45 Независимое расследование
00.35 "Фабрика звезд"
01.00 "Другое время"
01.40 "На футболе"
02.10 "Подводная одиссея "Тихого дома"
02.40 Сериал "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ"

## РТР

перерыв в эфире до
12.45 в связи с профилактическими работами.
12.45 Ток-шоу "Цена успеха"
13.35 ВЕСТИ НЕДЕЛИ
14.30, 19.20, 21.35 ВЕСТИ - МОСКВА.
15.00, 18.00 ВЕСТИ
15.25 "Что хочет женщина"
16.20 х.ф."СЕМНАДЦАТЬ МГНОВЕНИЙ ВЕСНЫ"
17.45 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
18.20 "ДИКИЙ АНГЕЛ. ВОЗВРАЩЕНИЕ"
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ"
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.00, 00.15 ВЕСТИ.
21.55 Сериал "ТАЙГА"
22.55 Сериал "ЛИНИЯ ЗАЩИТЫ"
00.00 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ
00.30 "Культурная революция".
01.35 "Синемания"
02.05 "Дорожный патруль"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"


# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.